

# ლიტერატურული გაზეთი

## ლევან ბრეგაძე როსტომ ჩხეიძეზე



ეს გახლავთ უმთავრესი იდეა ნიგნისა, რაც გამოარჩევს მას გალაკტიონზე შექმნილი სხვა ნიგნებისაგან; უმთავრესი და ამავედროულად სარისკო იდეა. როგორი საქმეა!..

II-III

## დალილა ბედიანიძე ლია სტურუაზე

მეტაფორა ფერადოვანია, რბილია, მრავალნახნავოვანია და ამასთან მძაფრი შეგრძნებების გამომხატველია. იგი ზუსტად ასახავს პოეტისა და მისი მკითხველის განწყობილებას...



VII

## მაკო ჯანჯიბუხაშვილი გიორგი ლობჯანიძეზე



მოლოდინით სავსეებს მოგვეცა ახალი ნიგნი, როგორც საჩუქარი და ჯილდო. ჯილდო, რაკილა ყველა შემთხვევა, რაც ჩვენს ენას ქმედითსა და აქტიურს გახდის, თითოეული ჩვენგანისთვის დიდი საჩუქარია...

IX

## დავიდე კასტილიონე დათო მალრაძეზე

ის, რამაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ვისურვებდი, ხშირად მეხილა იტალიურ პოეზიაში, მოქნილი სტრიქონები და მათი ინტონაციური მრავალფეროვნება...



XI

## ლალი ავალიანი ნიგნებსა და მკითხველებზე

რა მექნა? ნიგნით ხელში ტახტზე მოვკალათდი. ისიც კი მახსოვს, როცა ბომბი „უთავაზეს“ პარლამენტის ბუნკერში „გამაგრებულებს“, ჯოზეფ კონრადს ვკითხულობდი...



VI-VII

## ნინო ჩხიკვიშვილი ნაირა გელაშვილზე




ეს არის სინამდვილე და ფანტაზიაც... ასოციაციური ჯაჭვით სამყაროს შემოქმედსაც ვუკავშირდებით, წარმართული ეპოქის მითებსაც ვიხსენებთ და, ამავე დროს, რეალობასაც უფრო უკეთ აღვიქვამთ...

VIII

## თამარ იაშვილი ნუგზარ შატაიძეზე

იქნებ ახლაც იქა ზის და გადმოჰყურებს ვენახს... ვისაც ნუგზარი თავის ერთი ხელისგულისოდენა ეზოში თალარის ქვეშ პატარა სკამზე ჩამომჯდარი უნახავს, ეს არ გაუკვირდება...



X

## თემურ გაბუნია სამეფო კოდექსზე

დინასტიათაშორისი ქორწინებების მომწყობთა შესახებ ისტორიკოსთა ნაშრომებში ბევრს ვერაფერს ნავიკითხავთ, რადგან უმეტესწილად ეს გავლენიანი ადამიანები ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდნენ...



XIV-XV



ბალატიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილი ჩინებული ნიგნების შემდეგ, რომელთა ავტორები არიან რევაზ თვარაძე, ვახტანგ ჯავახიძე, ნოდარ ტაბიძე, ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ამავე საგანზე ამავე უნარის კიდევ ერთ ახალ დიდი მოცულობის ნაშრომსაც ისეთივე ინტერესით წავიკითხავდი, რა ინტერესითაც ზემოთ დასახელებული ავტორების ნიგნები წავიკითხე. როგორც ჩხეიძის ნიგნის – „კომიკოსი ტრაგედიაში“ – გამოჩენის შემდეგ კი დარწმუნებით შეიძლება ითქვას: გალაკტიონის ბიოგრაფია და შემოქმედება თვალსაზრისით ასპარეზს, ამოუწურავ მასალას სთავაზობს მკვლევართ, რომელთა მიზანი თვით პოეტის შემოქმედების გაღრმავებული შესწავლის გარდა, საზოგადოდ, შემოქმედი ადამიანის ბუნების, შემოქმედების ფსიქოლოგიისა და იმ ურთულესი, უსასტიკესი და, ამავედროულად, კურიოზული ეპოქის თავისებურებებში გარკვევაც არის, რომელშიც პოეტს მოუხდა მოღვაწეობა.

საამისოდ მარტო პოეტური მემკვიდრეობა (თუნდაც ისეთი გრანდიოზული, როგორც გალაკტიონმა დაგვიტოვა) და თანამედროვეთა მოგონებები (თუნდაც ისეთი მრავალრიცხოვანი, როგორც გალაკტიონის შესახებ არსებობს) არ იკმარებდა. ის, რაც გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებას ამ თვალსაზრისით უნიკალურს ხდის, გახლავთ პოეტის არქივი და ციური ურთიერთობები, რომლებმაც მისი ყოველდღიურობის ამსახველი, ერთი შეხედვით, წვრილმანი ფაქტები შემოგვინახეს.

ამ ჩანაწერთა სიმრავლემ დააფრთხო ერთ დროს გალაკტიონის არქივი შესული რევაზ თვარაძე; ამ ჩანაწერთა ლაბირინთებში წლობით მიიკვლევდა გზას ვახტანგ ჯავახიძე და მისი ცნობილი „უცნობის“ მოცულობა ამისდაკვალად იზრდებოდა და იზრდებოდა გამოცემიდან გამოცემამდე.

როგორი უნდობლობითაც არ უნდა ვიყოთ განწყობილი მესხიერების შესაძლებლობის მიმართ, როგორც არ უნდა გვჯეროდეს ამგვარი ყოველდღიური ჩანაწერების შესრულების სარგებლიანობა, როგორც არ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ წლების შემდეგ ეს წვრილმანი ამბები, ქალაქზე გადატანილი, ლამის საგანძურად გადაიქცევა, დამეთანხმებით, რაოდენ ძნელია ამ თითქოსდა უბრალო პროცედურის – ყოველდღიური ჩანაწერების – სისტემატური კეთება – თითქმის ისევე ძნელია, როგორც დილის უბრალო გამამხნეველი ვარჯიშის ყოველდღიურად შესრულება. როგორც ჩანს, ისეთი სისტემატური ქმედება (შრომას ვერც დავარქმევთ ამაღ, იმდენად მარტივი საქმიანობაა), რომლის შედეგს უახლოეს მომავალში ვერ მოიმკის, ადამიანს ძალიან უჭირს.

ადამიანს, მაგრამ არა გალაკტიონს, რომელსაც ცოტა ჰქონდა საერთო „შომო საპიენსთან“ და უცხოზღანეტელს ჰგავდა, რაშიც როგორც ჩხეიძის ეს ნიგნი საბოლოოდ დაგვარწმუნებს.

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს აღიზიანებდა, გულს უკლავდა დროის დინება და უნდოდა, რაც შეიძლება მეტი წამი გამოეგლიჯა წარმავლობისთვის იმ ხერხით, რომ ქალაქზე დაეფიქსირებინა ის, რაც იმწუთას მის ახლოს ხდებოდა. ჩანაწერებს აკეთებდა უბის ნიგნაკში, ქალაქის ნაგლეჯზე, სიგარეტის კოლოფზე... რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდა.

ერთი ნაწილი ამ ჩანაწერებისა თორმეტმომიანი აკადემიური გამოცემის ბოლო ტომში შევიდა, უფრო მეტი ლიტერატურის მუხუშუმის მიერ მომზადებული 25-ტომიანი საარქივო გამოცემის მეშვეობით გახდა მკითხველისთვის ხელმისაწვდომი.

და რაოდენ მნიშვნელოვანია დღეს ისინი ჩვენთვის!

ციტატა რომანიდან:

„...გადავსებულა მისი ჩანაწერები უამრავი „წვრილმანით“, „უსარგებლო“, „სრულიად ზედმეტი“ პასაჟებით, თითქოსდა მოულოდნელად ამდენ დაფარულ გარემოებაში რომ გვახედებს, განსხვავებულად რომ წარმოგვისახავს თითქოსდა კარგად ცნობილსა და თვალნათლივს“ (გვ. 69).

დიახ, მრავალ „დაფარულ გარემოებაში“

გვახედებს როგორც ჩხეიძის ნიგნი. ამაში მას გალაკტიონის ჩანაწერებისა და საკუთარი მახვილგონივრული დაკვირვებების გარდა ბოლოდროინდელი გამოკვლევებიც დიდად შეშველებია, „გალაკტიონოლოგის“ ტომებში წარმოდგენილი, ერთგვარი ლიტერატურული დეტექტივები, თეიმურაზ დოიაშვილის, თამაზ ვასაძისა და სხვათა (გალაკტიონის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, თეიმურაზ დოიაშვილის, ვითარცა ამ მონოგრაფიის დასაწერად მისი შემგულიანების, საგანგებო დამსახურებაზე როგორც ჩხეიძე მისთვის დამახასიათებელი სახალისო მანერით მოგვითხრობს ცოტა ხნის წინ ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებულ ნერილში „ჩემი გალაკტიონიც“).

ზემოხსენებულ „დაფარულ გარემოებებში“ რომ ჩაგვახედოს, როგორც ჩხეიძეს დიდად წადგომია სამწერლო კულტურული ცხოვრების დეტალების ჩინებული ცოდნა, რაც დიდი მწერლის ოჯახში, მწერლურ გარემოცვაში აღზრდის შედეგია, და ამ

ლევან ბრეგაძე

## „დირიჟორი თვით იყო...“



საქმეში (ბიოგრაფიული რომანების წერაში) ერთობ ხელშემწყობ გარემოებას წარმოადგენს, თუკი თვითონაც ადრიდანვე მივიჩნევს გული მწერლობისაკენ და თანაც ამ ნიგნის ავტორივით ინტერესიანი და ხარბი დამკვირვებელ-დამამახსოვრებელი ხარ ერთობ უცნაურ ადამიანთა – კალმის მსახურთა – ქცევებისა, ურთიერთობებისა, სიტყვა-პასუხისა...

თუ ამას დაემატებთ ავტორის დიდ ნაკითხობას, კოლოსალურ ერუდიციას, მთხრობელის არაჩვეულებრივ ტალანტს, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა როგორც ჩხეიძე (და რის თაობაზეც ქვემოთ მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას), გამოვა, რომ დაგვისახელებია (ჩამოგვითვლია) უმთავრესი ღირსებები, რითაც ამ ნიგნმა შეიძლება მიიპყროს ჩვენი გაზარდებული მკითხველის ყურადღება.

\*\*\*

წიგნის სათაურია „კომიკოსი ტრაგედიაში“. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“. მე ამას დავამატებდი: „მომუსხ-

ველი შესავალითა და არაჩვეულებრივი ფინალით“.

სათაურად გატანილი ოქსიმორონი, პარადოქსული სიტყვათშეწყობა – „კომიკოსი ტრაგედიაში“ – პოეტის ოთარ ჩხეიძისეული დახასიათებიდან მომდინარეობს: „გალაკტიონის ბედისწერა იყო კომიკოსის როლი დიდ ეროვნულ ტრაგედიაში“.

ეს გახლავთ უმთავრესი იდეა ნიგნისა, რაც გამოარჩევს მას გალაკტიონზე შექმნილი სხვა ნიგნებისაგან; უმთავრესი და ამავედროულად სარისკო იდეა. როგორი საქმეა!.. თუ ეს ასეა, ანუ, თუკი ოთარ ჩხეიძის ლაკონური თეზისის დასაბუთება მოხერხდა, რა გამოდის? გამოდის ის, რომ გალაკტიონს თავისი სწორუპოვარი ლირიკული შედეგების გარდა, საკუთარი ცხოვრებითაც შეუქმნია ხელოვნების ნაწარმოები! საკუთარ ცხოვრებაში შეუსხამს ხორცი კონსტანტინე გამსახურდიას ფარსმან სპარსის ძნელად განსახორციელებელი შეგონებისთვის, რომელსაც როგორც ჩხეიძეც იმონებდა:

აკის ნაწყვეტ-ნაწყვეტი მანერის, ბოჰემური ყოფისკენ მიდრეკილების...) გამკვეთრების (უტრირების) მეშვეობით როგორ ახერხებს გალაკტიონი კომიკოსის ნიღბის აფარებას, რაც, ავტორის სიტყვით, ათვალსუნებასაც იწვევდა ხალხში (გვ. 285).

მართლაც, ამ ნიღბის გამო პოეტისადმი ხალხის ერთი ნაწილის დამოკიდებულება, მისი სიცოცხლის ბოლო წლებში მაინც, ერთობ ორჭოფული იყო. მეხუთე კლასის მოწაფე ვიყავი, როცა ერთხელ გაკვეთილზე მასწავლებელმა გვთხოვა, ჩვენი საყვარელი პოეტი დაგვესახელებინა. მე გალაკტიონ ტაბიძე დავასახელე, რასაც რამდენიმე ჩემი თანაკლასელის ხმამალალი სიცილი მოჰყვა, რისთვისაც ქართულის მასწავლებლის, ქალბატონ ვენერა ბოჭორიშვილის, მკაცრი მზერა დაიმსახურეს.

კი გვსმენია მანამდეც მის თანამედროვეთაგან, ნიღაბს ატარებდა – არასერიოზული ადამიანის ნიღაბს (საგანგებოდ დაწვრილებული ხმით საუბარი, ამოჩემებული „ძამიკო, ძამიკო“, უადგილო თეატრალიზა, ხან ლოთის, ხან მიამიტი თუ დაბნეული კაცის როლის თამაში), რათა საშიშ ხელისუფალთა (როგორც ჩხეიძის სიტყვით, „ახალ მოწესეთა“) მხრივ, რომელთაც არც მტრის, არც მოყვრის დანდობა იცოდნენ, შემწყნარებლური დამოკიდებულება დამსახურებინა (ირაკლი აბაშიძე ჰყვებოდა, ერთ-ერთი რედაქციის ერთ-ერთ თანამშრომელთან ქუჩაში საუბრისას როგორ მიუახლოვდა მათ გალაკტიონი – გზას ვერ აუქცევდათ, ისეთი ვითარება ყოფილა. დაუძაბავი მანერებითა და ბუნებრივი ხმით წარმოთქვა რამდენიმე ფრაზა და გზა განაგრძო. თანამოსაუბრემ ირაკლი აბაშიძეს გაოცება რომ შეატყო, განუმარტა, ჩემთან ვერ ბედავს – ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს).

„პოლიტიკურ და მხოლოდ პოლიტიკურ რეჟიმს ჩაეგდო ამ ბედუკულმართ მდგომარეობაში, თეატრალური სცენა ყოფაში რომ გადმოეთანა და თამაშობდა, თამაშობდა, თამაშობდა სულის ამოხდომამდე“, – ვკითხულობთ რომანში (გვ. 202).

„დირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა და გათავდა, / და რაც ახლა ხდებოდა, – მისი უინი მართავდა“ – ამას მურმან ლებანიძე გალაკტიონის გრანდიოზული დაკრძალვისადმი მიძღვნილ ლექსში წერს, როგორც ჩხეიძის ნიგნის ნაკითხვის შემდეგ კი პოეტის ეს დაკვირვება შეიძლება გალაკტიონის მთელ ცხოვრებაზე განვარცოთ. ამას შთაგვაგონებს მურმან ლებანიძის ლექსის როგორც ჩხეიძისეული კომენტარებიც და მისი არაპირდაპირი, ქვეტექსტური, დაკავშირებაც შესავალსა და ფინალში მრავალგზის რეფერენციით გამეორებულ ფრაზასთან: „დიპლომი ეგდო მაგიდაზე, დიპლომი ეგდო“ (გალაკტიონის დიპლომზეა ლაპარაკი, რომელიც მის მიერ მოსკოვის ექვსთვიანი სარეჟისორო კურსების დამთავრებას იუწყება). ამ კურიოზული დიპლომისთვის (იგი ერთადერთი დიპლომაა გალაკტიონის ბიოგრაფიაში!) სიმბოლური მნიშვნელობის მინიჭება როგორც ჩხეიძის ამ ბიოგრაფიული რომანის მთავარ მხატვრულ მიგნებად მიგვაჩინა.

ყველაზე დამაჯერებელი საბუთი საამისოდ, რომ გალაკტიონმა თვითონ შეთხზა თავისთვის როლი, რომელსაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე გულმოდგინედ ასრულებდა, გახლავთ ის, რომ მას ჩინებულად ეხერხებოდა თავისი საქმიანობის დაგეგმვა. „ჩინებულად ეხერხებოდა“ კი არა, გენიალურ დამგეგმავად და მერე ამ გეგმების ბოლომდე განხორციელების დიდოსტატად წარმოგვიდგენს მას ეს ნიგნი (იმ სრულიად ფანტასტიკურ ჩანაფიქრთა ვერსიის შესახებაც თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომელთაგან ერთი კონსერვატორიის დარბაზში ზედიზედ ათი და სხვა დროს კი მარჯანიშვილის თეატრში ასი საღამოს ერთი ზაფხულის განმავლობაში ჩატარებას რომ გულსისხმობდა! და კიდევ პოემა „მშვიდობის ნიგნთან“ დაკავშირებით უმეტესად აღდომ – ამ წარუმატებელ პროექტს შთამბეჭდავი თავი ეძღვნება მონოგრაფიაში სათაურით „მშვიდობის ნიგნის“ ილუზიები“). დაუჯერებელიც კი ჩანს! უფაქიზესი ლირიკული შედეგების ავტორი და ამავე დროს მკაცრ რაციონალურ გაანგარიშებაზე დაფუძნებული



გეგმების ცხოვრებაში თანმიმდევრულად განმარტებული პრაგმატიკოსი!

ამ ორი თვისების ერთ ადამიანში ერთდროულად არსებობა რომ თითქოს შეუძლებელია, ეტყობა, ის სტერეოტიპია, რომელიც ხშირად გვიშლის ხელს პიროვნების შესაძლებლობების რეალისტურად შეფასებაში.

შთაბეჭდავად მოგვითხრობს ამ ნიგნის ავტორი, როგორ ჩაიფიქრა და, რაც მთავარია, ვირტუოზულად, შეიძლება ითქვას, ელვანტურადაც კი განახორციელა გალაკტიონმა ის ამბავი, რომ უმძაფრესი კონკურენტის ვითარებაში, უდიდესი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად, იმას მიაღწია, რომ 1924 წლიდან გვარის გარეშე მარტო სახელსა აწერდა თავის პუბლიკაციებს.

ისიც გავიხსენოთ, როგორ ფლობდა თავისი შემოქმედებისა და პიროვნების რეკლამირების ხელოვნებას ადრეული ასაკიდანვე! ნოდარ ტაბიძესაც მოჰყავს ამის შთაბეჭდავი მაგალითები თავის ნიგნში „გალაკტიონი“, რომელთა მიხედვითაც ჯერ კიდევ ჭაბუკი პოეტი პიარმენეჯერის ისეთ უნარ-ჩვევებს ამჟღავნებს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე სპეციალისტსაც შემურდებოდა. უხვად გვანვადის საამისო მაგალითებს როსტომ ჩხეიძეც.

„ტოლფასოვნად (მიაქციეთ ყურადღება ამ სიტყვას! – ლ. ბ.) მიიჩნევდა შემოქმედებით პროცესსა და ახალი თხზულების ჩაბეჭდვას საზოგადოებრივ ცნობიერებაში“; — შენიშნავს იგი და პოეტის ჩანაწერს იმონებებს:

„ერთი საქმეა ნიგნის დანერა – ნიგნის შექმნა, მეორე კი ამ ნიგნის ხალხში გატანა“ (გვ. 7).

თუ რამეს ანიჭებდა მნიშვნელობას – რეკლამასო, წერს როსტომ ჩხეიძე და განაგრძობს: „საგანგებოდ მოიხმობდა ამერიკის შერეული შტატების მაგალითს: იქ ის უმალეს წერტილამდგა მისული, მილიონობით იხარჯება რეკლამისათვის“ (გვ. 521).

აი, კიდევ ერთი ჩანაწერი: „რეკლამის ხერხები ღირსია უაღრესი შესწავლის, კლასიფიკაციის, კარგად გამოყენებულ რეკლამას სრულ გამარჯვებამდე მიჰყავს პოეტი“ (გვ. 522).

\*\*\*

რომანში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გალაკტიონის იმ ჩანაწერებს, რომლებშიც პოეტი თვითგანდიდებას მიმართავს.

„რამდენ ძალას ვგრძნობ, რამდენ ნიჭს, რამდენ ღირსებას ჩემში; არისტოკრატული, შვენიერს, უსათუოდ შვენიერს... მახალისებს ყოველივე. მე გავიმარჯვებ, ჩემი დიდება აუცილებელია, ჩემი შუქმოსილი ბრწყინვალეობა დააბნელებს ირგვლივ ყველაფერს... ეს აუცილებელი მოვლენა და დღე იქნება მალე, ძალიან მალე“ (გვ. 436-7).

სიღრმისეული ფსიქოლოგია გვარწმუნებს, ზღვარგადასული თვითგანდიდების ფუნქცია ზღვარგადასული დაჩაგრულობის გრძობის დამაბალანსებელიაო.

მართლაც, გალაკტიონის არქივში ისეთი ჩანაწერებიც უხვად მოიპოვება, რომლებიც იმ განცდებს გვიმხელენ, რომელთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, საპირწონედაც ზემოთ მოყვანილი თვითგანდიდება გვევლინება. კერძოდ, რომანში ერთგან ვკითხულობთ:

„და მოულოდნელად 1913 წელი წამოუტივტივებოდა:

აუტანელ მატერიალურ ხელმოკლეობას რომ განიცდიდა. დადიოდა უფრო განაპირა უბნებში, იმის მაგივრად, რომ თავისუფლად და დამოუკიდებლად გამოსულიყო „ხალხში“. ეს გარემოება მის გულში ბაძებდა უბოროტეს გრძობებს, როდესაც ადამიანი მზადაა დინამიკით ხელში გამოვიდეს მთელი ამ „საზოგადოების“ წინააღმდეგ“ (გვ. 117).

აი, კიდევ გულახდილობის მაღალი ხარისხით გამოვლენილი ალიარება:

„მეტისმეტად შურიანი რომ არ ვიყო, შეიძლება მეპატიებინა ყველასათვის მათი სტუდენტობა და ჯანდაბები, მაგრამ...“ (გვ. 334).

ამას როსტომ ჩხეიძის ასეთი კომენტარი მოსდევს:

„მეტისმეტად შურიანი... როგორი გადასატანია 22 წლის ჭაბუკისათვის, ყველგან და ყოველთვის პირველობას რომ მიეღობოდა, სტუდენტებით გადაჭრულე-

ბულ ქუთაისში თვითონ ამ სიჭრელიდან სრულიად ამოვარდნილი რომ არის, თორემ რჩეულთა შორის მოხვედრას ვილა ჩივის!...“ (გვ. 335).

ხელმოკლეობის გამო „უსწავლელად“ დარჩენა, დიდად ნიჭიერი ჭაბუკისთვის სიცოცხლის ბოლომდე დარჩებოდა ახალ-ახალი შედეგების შექმნის მძლავრ შინაგან სტიმულად.

ვისაც ზემოთ ციტირებული თვითგანდიდების შემცველი ჩანაწერი ეხამუშება, შევახსენოთ, რას ეუბნებოდა უკვე საქვეყნოდ სახელმწიფოებრივი ჩარლი ჩაპლინი თავის ვაჟს:

„საკუთარი თავის რწმენა უნდა გქონდეს – აი, ეს არის მთელი საიდუმლო. მაშინაც კი, როდესაც ობოლთა თავშესაფარში ვცხოვრობდი და, შიმშილით რომ არ გამძრობოდა სული, ქუჩა-ქუჩა დავწანალებდი (ლუკმაპურის საშოვნელად), მჯეროდა, რომ მსოფლიოს უდიდესი მსახიობი გამოვიდოდი. ვგრძნობდი უძლიერეს ალფრთოვანებას, რომელიც საკუთარი ძალების რწმენას მოსდევს. უამისოდ დამარცხებისთვის ხარ განწირული“.

აქაც, ხელოვნების სხვა დარგის უდიდეს წარმომადგენელთანაც, უკიდურეს გაჭირვებას და დაჩაგრულობის გრძობას საკუთარ ტალანტში მეტისმეტი თავდაჯერება აბალანსებს, რაც ამ შემთხვევაშიც არამარტო პიროვნების ფიზიკური გადარჩენით, არამედ არნახული შემოქმედებითი წარმატებით დაგვირგვინდა.

ყველაზე გასაოცარი კი გალაკტიონთან ის არის, საიდან იცის ამ „უსწავლელმა“ ჭაბუკმა ასე დაბეჯითებით, რომ საკუთარ ქვენა ზრახვათათვის თვალის გასწორება, მათი აღიარება, ქალაქზე გადატანა, მარტო შევების მომგვრელი კი არა, მომავალი დიდი წარმატების გარანტიაც არის!

\*\*\*


როსტომ ჩხეიძის დამსახურებაა ოლია ოკუჯავას მწერლური ტალანტის აღმოჩენა. მისი დღიურები და გალაკტიონთან მიწერილი ბარათები, რომლებიც, საბედნიეროდ შემოგვრჩა, ავტორის მართებული შეფასებით, თითქმის დასრულებული ლირიკული მინიატიურებია. მათ ლიტერატურულ ღირსებებზე ვრცლად მსჯელობს როსტომ ჩხეიძე და უხვდაც მოჰყავს ციტატები მათგან. ოლიონდ რატომღაც არსად არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ ეს თარგმანია – მათი ავტორის მშობლიური ენა რუსული იყო.

ოლია ოკუჯავა ამ ნიგნის ყველაზე ტრაგიკული პიროვნებაა.

\*\*\*

როსტომ ჩხეიძე ჩინებული მთხრობელია, კარგად გრძნობს თხრობის რიტმს, მისი ცვალებადობის საჭიროებას. მრავალი მისი პასაჟი დახვეწილი იუმორით გამოირჩევა. აქვს მდიდარი ლექსიკა, წარმატებით ქმნის ნეოლოგიზმებსა თუ ოკაზიონიზმებს, მაგრამ ეს ყოველივე ცალკე საუბრის თემაა. ამჯერად თხრობის მხოლოდ ერთ საინტერესო სტილისტიკურ ხერხზე შევჩერდები, მას რომ ერთობ კარგად გამოუდის. ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული „განცდილი მეტყველება“ („ერლებზე რედე“), რომელიც ჩვენს ლინგვისტიკასა და ლიტერატურულ რატომღაც უყურადღებოდ არის დარჩენილი, რასაც ის არა და არ იმსახურებს.

„განცდილი მეტყველებით“ შესრულებულ პასაჟებში ძნელი გასარჩევია, ვინ მეტყველებს – ავტორი თუ პერსონაჟი. პერსონაჟის მეტყველება ავტორის მეტყველებას არის შეზრდილი. აქ საქმე აღარა გვაქვს ყოვლისმცოდნე ავტორთან, რომელიც ჩასახლებულია თავის პერსონაჟში და ყველაფერი უწყის მის შესახებ. „განცდილი მეტყველებაში“ ერთმანეთს ერწყმის ავტორისა და პერსონაჟის ხმები. შეიძლება ასეც ითქვას: ეს არის პირდაპირი და ირიბი მეტყველების თავისებური, უცნაური, კოლორიტული შეთავსება (სიმბოზი). თხრობა მესამე პირში წარმოებს, მაგრამ ეს მესამე პირი ამავდროულად პირველი პირიც არის. ამით „განცდილი მეტყველება“ უშუალოდ თავისუფლდება ქმნის. მისი მეტყველებით კარგად გადმოიცემა ლირიზმი და ირონია. „განცდილი მეტყველება“ არ უნდა აფუროთ შინაგან მონოლოგსა და ცნობიერების ნაკადში, სადაც თხრობა მხოლოდითი რიცხვის პირველ პირში მიმდინარეობს.



ენახოთ „ერლებზე რედე“ მანერით შესრულებული ორიოდე ჩინებული ლირიკული პასაჟი, ახალგაზრდა ოლია ოკუჯავას განცდათა გამომხატველი:

ოლია ხომ გამუდმებით გალაკტიონის ან მისი წერილის მოლოდინშია:

„დე დაიტანჯოს ოლია, ვინც დარწმუნებულია, რომ გალაკტიონს ტკიზილად სძინავს და ქალის ტანჯვას არაფრად აგდებს. ნეტა ოლიასაც ჩაეძინებოდეს, და ეძინოს და ეძინოს, ვიდრე გალაკტიონის წერილს მიიღებდეს“ (გვ. 323).

ანდა:

„რა გასაკვირია, იმ წუთასაც გალაკტიონის გარდა არაფერზე რომ არ ფიქრობს და მის გამოჩენას მოეღის... მერე რა, რომ არ შეთანხმებულან – განა მონატრებისათვის რაიმე მნიშვნელობა აქვს შეთანხმება-დაპირებებს? [...] აი, შევა სახლში და ეტყვიან: შენთან ვილაცა ჩამოვიდა ქუთაისიდანო. იმათთვის – ვილაცა, ამისთვის – სიცოცხლის არსი, დასაბამი და უსასრულობაში ჩაკარგული უამი.

აი, შევა და ეტყვიან... შევა და ეტყვიან... ჯერ ვერ მოასწრო ჩამოსვლა? აი, ახლა შემოვა ოთახში, აი, ახლა... დრო გადის?... გზაში დაბრკოლდა, უეჭველად გზაში დაბრკოლდა და ახლა კი... ახლა კი... მაგრამ... არა, არა და არა...“ (გვ. 321).

ეს ლირიკული „ერლებზე რედე“.

ახლა ირონიით შეფერილი „ერლებზე რედეც“ ენახოთ.

ახალგაზრდა გალაკტიონს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება მის უნარებს სათანადოდ გამოიყენებდა. ეს იმედი მას გაუცრუვებდა, ოლიონდ, ცხადია, ჯერ არაფერი იცის ამის შესახებ. მაგრამ ამ ნიგნის ავტორს, ჩვენს თანამედროვეს, ხომ კარგად მოეხსენება, როდენ მიამიტური წარმოდგენა ჰქონია „ახალ მოწესეთა“ გეგმებზე ახალგაზრდა პოეტს!

აი, ეს გარემოება ქმნის საფუძველს იმ მსუბუქი ირონიისთვის, რომლითაც გამსჭვალულია „განცდილი მეტყველების“ მანერით შესრულებული ეს ჩინებული პასაჟი:

„კვირას ხელოვანთა კომიტეტის არჩევნება დანიშნული.

– ყველა ხელოვანები აქ არიან. მთავრობა ხელოვანებს დიდი ყურადღებით ეპყრობოდა. უთუოდ არც მე დავიჩაგრები“, – ჩაუწერია გალაკტიონს.

ახლა ინყება „ერლებზე რედე“:

„სულაც არ აპირებს განზე გადგომას, გვარდიელთა გაზეთის ხელმძღვანელობამ (...) მადა გაუღვიძა მხოლოდ და ასე ადვილად ვეღარ ჩამოეხსენება ასეთ საქმეებს. ჯერ მკაფიოდ ვერ წარმოუდგენია თავისი ადგილი ახალი ხელისუფლების პირობებში, მაგრამ უსათუოდ რომ დაისაჭიროებენ

მის სამსახურს, ეჭვიც არ ეპარება. დაე ნახონ, თავს როგორ გამოიჩენს!...“ (გვ. 422).

\*\*\*

სამი შენიშვნა მაქვს.

1. რომანში ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის შემდეგ „მთაწმინდა აღარ მოსწრებოდა ისეთ სახალხო-ეროვნულ მანიფესტაციებს“, როგორც გალაკტიონის დაკრძალვა იყო (გვ. 861). ამ ორ გრანდიოზულ დაკრძალვას შორის აკაკი წერეთლის არანაკლებ დიდებული დაკრძალვაც ახსოვს მთაწმინდას.

2. რომანში ერთგან ნახსენებია ბერტოლტ ბრეხტის, ოლიონდ მისი სახელი ასე წერია „ბერტოლდ“. საზოგადოდ, ესაა სწორი ფორმა, თავიდან გამოჩენილ გერმანულ მწერალს ასეც ერქვა (მისი სრული სახელია ოიგენ ბერტოლდ ფრიდრიხ ბრეხტი), მაგრამ შემდეგ გალაკტიონის მსგავსად მოიქცა და „ბერტოლტ“ დაირქვა. ქვეყნად უთვალავი „ბერტოლდია“, მაგრამ „ბერტოლტი“ ერთადერთია, ისევე როგორც ბევრი „გალაკტიონია“ საქართველოში, „გალაკტიონი“ კი ერთადერთია. ბერტოლტ ბრეხტის სახელს ჩვენში ხშირად წერენ არასწორად, მაგრამ არასოდეს ამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. ახლა ვამბობ. მით უფრო, რომ როსტომ ჩხეიძე საგანგებოდ საუბრობს გალაკტიონის „ახიერებაზე“, გასხვავებული ორთოგრაფიით წეროს თავისი სახელი.

3. „– მე იმერეთში წავალ, თქვენ საით? – მეც იმერეთში, ჩემო ბატონო. შევყვებით გზაში ცბიერ მუსაიფს (შენ თვლემდი ცაო უკაბადონო)“ (გვ. 417).

მიკვირს, როცა ეს ისე ესმით, თითქოს აქ ორი ერთმანეთს ახალგაზრდობილი ადამიანი ერთმეორეს ეცბიერებოდნენ (ასე ესმის ამ ნიგნის ავტორსაც. – გვ. 417). ჩემი აზრით, თანამგზავრები კი არ არიან ცბიერნი, არამედ მუსაიფი, რომელსაც ასეთი თვისება აქვს: შეგიტყუებს, და დრო ისე გაგეპარება ამ მუსაიფში, ვერც კი გაიგებ. თუ დროის მოკვლა გასურს (თქვათ, მგზავრობისას), ხომ კარგი, მაგრამ თუ სხვა საქმეც გაქვს, მოგაცდენს და შეიძლება კერძოც მიგეწვას ან ლექციაზეც დაგავიანდეს.

\*\*\*

ის გახლავთ ჩემი ამჟამინდელი სათქმელი როსტომ ჩხეიძის ახალ დოკუმენტურ რომანზე. მგონი, შევძელი ამ ნიგნის რამდენიმე, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან თავისებურებასა და ღირსებაზე გამემახვილებინა ყურადღება და მკითხველისთვის გამეზიარებინა აღტაცება, რომელიც დიდი და შთაბეჭდავი ლიტერატურული ქმნილების გაცნობისას გვეუფლება.



ემზარ კვიციანიშვილი

ლიუზა

ლიკანი. აგვისტო

მხოლოდ ქალად ჩაგთვალე. რას ვიფიქრებდი, მეტად არასოდეს შემხვდებოდა შენს გადმომსკდარ სხეულში შავ მაშხალეზად აშხივლებული სასწაული... სად ილტობა ოქროს მძიმე საყურეებით მოსალტული, ალადენილი ლოყები, ვილამ მონუროს მუჭში მბზინავ მუხლებზე გადასრიალებული ქვედაბოლო?... კიდევ კარგი, შენს ნელ ჭკნობას, დაყვავილებას არ შევესწრები. ვერ გამომითქვამს, რამდენად დამთრგუნველი იყო ჩემთვის ამის მიხვედრა – ახლაც, ამ წუთასაც, დაულღელ ნალველს ცრემლებად რომ ვაღვარდვალვებ... შენი მკვრივი, დაბურთული ძუძუების ნამიან ღარს შუა მიიპარება, თავქვე მისრიალებს, ჩაედინება უსასრულო დრო, რომლის შეკავებას, თუნდ მცირე ხნით შებორძიკებას ამაოდ ვლამოდი, მწერივით უმწეო. რა ჯიბრი ამიტყდა, ხომ უნდა მცოდნოდა – დამჯაბნიდა, მაჯობებდა... მიკვირს, მაჯები დღემდე არ გადამემტვრა შენს მნატვრელს, უილაჯოს. ისიც მეყოფა, ფხაალესილი ზაფხულის ათ დღეს რომ ვირეკლებოდი – ნარეკლიან, წინვებმობნეულ მიწაზე დახრილ, კოცონებად ანთებულ თვალბეში (ნეტა სამუდამოდ იქ დავრჩენილიყავი, ფიჭვების კორომს ამოვფარებოდი). ვიცოდი, სიშმაგე არასოდეს გაუნელდებოდა შენს მცხუნვარე ნესტოებს, დასაურვებელი ფაშატის სიველურით რომ ფლეთდა ტყის ლურჯ ჰაერს... გარეულ, გიშერა თვალთა მოუგერიებელ ცეცხლზე ხომ ყველაზე ურჩი, მოუთვინიერებელი გულიც კი დაიბუგებოდა. გათქერილი, აფეთქებული, მუჭისტოლა, ავლგადაკრულ ნაკვერცხლებზე დაიწყებდა კარჩხალს, წვეთვას... მე რომელი უჩინმაჩინი გადამარჩინდა, ყულგამოლადრულს, ღადარში ჩარჩენილს, რაღა აზრი აქვს – ჩავლილს, ჩაგრიალეზულს გავეტირო, სამარემდე ვდიო... ერთ დროს მხურვალე ხერხემალმა ჩემმა, დამჩაგრავი იგრძნო სიგრილე. რა მჭირს, ზამთრისგან გათოშილი, იმ სამუდამოდ გამქრალი აგვისტოს, ყელთან მონოლილ, მობაგუნე, ბანგიან ჟრჟოლას რომ ვერ ვეთიშები?!

მომღერალი ქალი ძირის სუფრაზა

მოცვეთილია თვალები მოცვის, შებერებულა, მოიცვა შიშმა, ყურს აღარ უგდებს დარბაზის გუგუნს. შელებილ თმაზე გადისვა ხელი, ძენკვიც, ოქროსი, უბრწყინავს მკერდზე, ვიცო, ქანდაკად მოელის ყოფნა. გამოცდილება მარწმუნებს – ამას არც ისე დიდი დრო დაჭირდება. საკმარისია, მფეთქავი ყელი გაუჭრან, თიხის ყულაზად იქცეს. (რას ჩაუშვებენ, რა დაგროვდება, მწუხარების და ცრემლების მეტი?) ასეა – თაბაშირიდან ქვამდეც, საკმაოდ მცირე გახლავთ მანძილი. ჯერ, ვიდრე სისხლი არ გაყინვია, შეძლებ, წამოდგე, მიუახლოვდე, სასმისი, ბროლის, მიურანკუნო და ადლეგრძელო. ის გაგიღიმებს, მადლობას გეტყვის. თვით გეამება, თუ ბეჭდებიან, დათილილ თითებსაც ეამბორები და თავს დაუკრავ. არ ფიქრობს ახლა, რომ სარომანსე ხმა ჩაუნყდება. მოძალებული, გაშრება ნერწყვიც. ასე ჯობია. ზის ბანოვანი მაღალ კედელთან, სურნელნაფრქვევი და განბანილი, ატმის ყვავილის გადაკრა ფერმა, ნაკიდებია ლალი საფირონს, მოუნვეს დაყრა ამ სამკაულთა. ჯერ კი საფირმო ლიმონათს წრუპავს და მაგიდიდან უცებ წამოშლილ ძველ ნაცნობებსაც აყოლებს მზერას. ფეთიანს ვგავარ. ათასნაირი უგვანი ფიქრი დაცოცავს, ბორგავს და დაფუთფუთებს მდულარე ტვინში... და ჭირად დამყვა უნარი ამის, ვიჯდე და ვჭვრეტდე ქალს – ქანდაკებას?!



უპონალი, უსახელო

არ მიცნობენ: ლისაბონი, პარიზი და უენეცია... დიდი ვარ თუ პატარა ვარ, ერთადერთის – შენი ვარ! როდის იყო, რამით ვგავდი – ამჩატებულს, ონავარს?! გულზე ნალველმონასევი, მხოლოდ შენი მონა ვარ! ფოლადობას თუ ვერ გავწევ, არც ისეთი ულე ვარ... იოლია ჩემნაირის დაქნევა და შელევა.

გარდასულთა მოფარება

შალვა რატიანს ვეხმეიანები

არაფერი გეცხო ზაფრის, დაფრინავდი ცაში; შენი ერთი გამორჩენა იყო ოქროს ფასი. ქურდულად თავს წამომდგარი, ბნელი ვერ გაფატრე; მიადექი გაღმა ნაპირს, სანუხარად ადრე.

სასიკეთოდ გაჩენილო, სიგლაზე გულს გტკენდა; ველარავინ დამანახვებს – გაცივებას, შენდარს... ზოგჯერ ვშიშობ – მოდგმა ჩვენი, ხომ არ გადაშენდა?!

ნაგყვენ, შენებრ ღვთისნიერი, გუგული და ქიცა, სხვებიც, მკერდით რად არ ანგრევთ – საფლავს, კუბოს ფიცარს.

ესაა, სისხლს რო მინამლავს (რის ვალი და ვახში!), ძმადნაფიცნო, აღარ ზიხართ – „სამაიას“ ბაღში.

არაყი და ცივი ლუდი – გამხმარ ტარანაზე... ის დღეები, ჩაქარვული, ილეოდა ასე.

ლექსთა გაჯიბრება, სიტყვის სიტყვაშივე ჩასმა... სმას თან ახლდა აწყვეტილი შაირობა და ზმა.

სხვანაირი მზე ნათობდა, სხვა ცა იყო, სხვა დრო... დღე არ გავა, თქვენი ლანდი რომ არ მოვიწატრო.

არაფერი იცვლება (ცხოვრების აუვი)

მახსოვს ძველი მისამღერი: „რიმტი-ტარო! რამტი-ტარო!...“ ეს ქვეყანა სულ შენია, უზრუნველო და მდიდარო!

ხანში შესულს, რეგვენსაც კი უთეთრდება წვერი და თმა, ასეც, ისეც, დრო ჭირდება, წინილა რომ იქცეს ქათმად.

ნიგნები რომ დავალაგო, ვერ ვიყიდე ათი თარო... დოღს გაუდის ბაგა-ბუგი: „რიმტი-ტარო! რამტი-ტარო!“

არ იქნება, შენ, ფრთებდაქნილს, არ მოგადგეს შენი წილი; ნოლასაც კი ველარ შეძლებ – დაფუნგული, დაღენილი.

უიხტიბროვ, ის ფინალი გეძგერება სამითა რო, მერე მოდექ და იხტუნე: „რიმტი-ტარო! რამტი-ტარო!“ კვლავაც შენი ამინდია, ნელგაშლილო და მდიდარო!

გაუნაღებელი ზაფრა

ზაფრანისფერი მედება

გვარდნილი ტყე-ღრეში, ნეტა ვიყო ფირალი... გული სკდება, იმდენი რამეა სატირალი.

სანუგეშო, საამო რა დამცდება ბაგიდან?! მარტო დაცლილ სოფლების ნალველი გადაგიტანს.

მამული, სანახევროდ, დაგლეჯილ-წართმეული... ვინ შეკრას საქართველოს დაფლეთილი სხეული?!

ზიარაზის შიმდებ ნათქვამი

შუბლზე ზეთის წაცხება... დავიცხავე თავიც ხო?! მომიწდა — ყველაფერი დავიწყებით დავიწყო.

არ მიცდია გარჩევა – ჭინჭარის და ლოლოსი... მეექვსეა, გავიდე – ამ თავიდან ბოლოში.

მითხრან, ობლად დარჩენილ ბოლო წლებს რას ვწირავდე – სად მაქვს ძალა იმდენი, ჩავაღწიო ძირამდე.

ნატვრისთვალის ძებნაში მომივლია ხმელეთი... იცი, ვის დანახვაზეც მომდის ელეთ-მელეთი, სიკვდილს არად ჩავთვლიდი, შენ თუ გამიხსენებდი.

ყველას თვალწინ ჩაივლის, სისხლმა, ჩემმა, რაც ღება; სხვებიც იუნყებიან – მთავარია დანყება.

ყველაფერი ხდება

მადლი არ გამოგველევა ღვთიშობლის, მარიამის; შევეგუოთ, მწუხარება ენაცვლება სიამეს.

გვირჩევს ბრძენი – ამ ცხოვრებას მივყვეთ წესით, რიგითა; არც ის გაგიკვირდეს, ზოგჯერ – თუ მოხდა პირიქითაც.

დამიბარა მამაჩემმა – ტუნდრა მოსდევს ტაიგას, თავფარავნის ტბასთან შობილს, განახვებენ ბაიკალს... არ იქნება, არ გაუგოს – კაი კაცმა კაი ქალს.

ბევრი ნანობს, უდროო დროს ვინც რო თვალი წალულა; ვერც შეიტყობ, ჩათავდება წლები ისე მალულად.

**საბავსნარო თამაში**

*ოთახი სანთლების შუქზე*

მეც გადმომედო ცახცახი, ტრანსი,  
ხვითი მდის, შევეხეთქები ხე-ქვას...  
ნეტა რა ცეცხლი გაუჯდა ტანში –  
ფანჯრის მინაზე პეპელა ცეკვავს.

ცივ სიბნელეში ცეკვავს გარედან,  
აფართხალდება უფრო მწარედაც...  
დააქანავებს შემშლელი ჟინი,  
თავფეხიანად რომ გაარეტა.

ფარვანა რუხი, ასე რომ ელტვის  
სანთელს, გაშლია ფრთები რუკებად;  
ვერ ხვდება, უნდა დაემსხვრას ეტლი,  
ის ფრთები ალზე დაეხრუკება.

**დააჭვავულის ვიჟივი**

შევწუხდი, მოჩანს ისე ნამცეცად,  
რასაც მე ვჩხაბნი და ვიკიკნები;  
ვის დავუტოვო (შიშმა დამწენა),  
ეს რვეულები ან ეს წიგნები?!

რას შეცვლის რახარუხი და რიხი,  
ვერსად მივაგენ წამალს, უებარს...  
რად ვიქეც, ნუთუ ამდენად მიღირს –  
თავის შექცევა და მოტყუება?!

**მხრალზე დარჩენილი**

*ასედაც უნდა მომხდარიყო*

არც რუსთაველის, შოთასი,  
არც აბაშიძის, მემედის,  
არა ვარ ლაურეატი,  
არაფრის თქმა მსურს მე მეტის.

იყუჩე, რა გემლერება,  
შენ, ჩემო თავო ამაცო!..  
ადვილი მისახვედრია –  
სამშობლომ ხელი ამაღო.

**გადაქვდილია ნიგნის პაპარი**

ტივრთს, ამხელას, გაუძლებს –  
რა ზურგი და რა სიქა?  
თითქმის თავზე საყრელად,  
დაგვიგროვდა „კლასიკა.“

მადლსა გაეს ღვთისმოსავთა –  
ზვავის დარად მოზავდა;  
ჩაამწკრივეს ტომები,  
ლექსადაც და პროზადაც.

შთაგონებას, მწერლისას,  
ბნელში უწევს ფათური;  
სისხლი გვიხურს, გვახარებს –  
წინსვლა ლიტერატურის!

**იასამინეაპურად დაბურული სიმწვანე**

*დამრეცი ქურა*

გლიცინიებს კედელი  
ისე დაუტბორავს;  
თვითონ სახლიც და ეზოც,  
ცისფერს მოგავს ბორანს.

რა სანადელს ეწევი,  
ქარს თუ დაედევნე,  
რომ არ ითქმის, ისეთ ფერს  
ვინ შეარჩენს მტევნებს?!

ყვავილებს, ჩვილს, ბუნება  
ტივფრავს მინანქრებად;  
სილამაზე იმითაც  
ფასობს – მალე ქრება.

ქართა ქროლა... აჩქარდი,  
წრე იკვრება, კრული!  
თვალს ზამთარშიც ახარებს –  
მინა, მინამქრული.

**სად გაამახსენდი**

*ორმოცი წელი გასრიალდა*

თარი გაკლდა და კითარა,  
იყავ ნამდვილი ჰეტერა,  
დაგხსომებოდა, ისეთი  
მეც ვერა გაგიკეთე-რა,  
ვერც გრემ-სასახლე გაჩუქე,  
არც ამიგია კვეტერა...  
თავი სიზმარში მეგონა,  
შენს კალთას გამოვედე-რო,  
„ზამთარ და ზაფხულ“ ჰყვოდო,  
ახლა სადა ხარ, ეთერო?!

**ვერსად დამავიწყებს**

ძაბუნა, აღარც ვეძებ –  
მიზეზს სხვათა და სხვათა;  
გულს მიკლავს, ისეც მოკლულს,  
ისე მაკლია ვატა.

სოსნების დამარბეველ  
ქარის მიფეხები სისინს...  
მომაცოცხლებდა ხელად –  
ერთხელ დარეკვაც, მისი.

როგორ ამძიმებს, წინხავს –  
სამძიმარს ჩემსას, ულევს;  
სად მივაკითხო, ვნახო,  
ვერსად ვერ დავიგულე.

**მთაწმინდის აღმართზე**

*ელზა*

ბლის ხე, აყვავებული,  
შენი, გავდა ჯვარცმას...  
გაქრი, ნუთუ ესა ვართ,  
რა იფიქროს კაცმა?!

მენამული მზე ჩავა,  
სანუთრო მსხვერპლს ლეჭავს...  
ბოლო, თეთრი აპრილი,  
არ გელირსა ბეჩავს.

ხსნა არა ჩანს არსაით,  
არაფერს ცვლის ფიცი...  
ცივ ქარში რომ განიბნა,  
ვისხენებ შენ სიცილს.

**ასე იწყება შემოდგომა**

ისევე აენტო ცაზე –  
ასი ვარსკვლავი, ასგან,  
სანთლის ბოლოში ალმა  
კუდი გამოინასკვა.

ღვარღვალა, ცხელი წვეთი,  
თითებზე დამეცა მე;  
შექანდა, აშიშინდა –  
ფერისცვალობის ღამე.

თვალი შევაგვლე მანამ  
ქერქს ვენახისას, ჯავშანს...  
გატრუნულიყვნენ, დიდხანს  
ვეფერე მტევნებს, შავ-შავს.

დამცხრალს, ვიზოგავ დღეებს,  
ოქროს ზოდებად ვადნობ;  
შენს მეტს ვენდობი არვის,  
გლოცავ, სიმწიფის მადლო!

**გარეუბნის ეზო-კარი**

ვაშლიჯვარში ვიხილე  
მწკრივი ყურძნის ჯიქანთა,  
გაძეძგილი ქარვისფრად –  
გული გადამიქანდა.

დამეხინდა გონება,  
იგუგუნონ ტაძრებმა...  
ღმერთო, ამ სასწაულის  
მინყალობე გაძლება.

გასაკვირიც რა არი,  
შესათოკი შეთე ვარ;  
შემოდგომის, მომდგარის,  
გადამიტანს შეტევა.

ფხა ვინ მომცა დაფეხვილს,  
სულ ამაოდ ვფაფხურობ;  
რომ დამბუგა, ის ცეცხლი  
შენ შემინთე, ზაფხულო!

**საუბრაში სამყაროს წარმოშობაზე**

*ასტროფიზიკოსები*

ვუყურებდი და ვისმენდი,  
წუხელი შიში მქონდა;  
ბევრჯერ ახსენეს მანძილი –  
მიუნდომელი გონთა.

ვინ ჩაულრმავდეს, რასაც რო  
პირველსაწყისი მალავს;  
ითქვა, ყველაფერს წარმართავს –  
გრაფიტაციის ძალა.

განვდი მილიონ ორბიტებს,  
თუ ვაჟუკაცი ხარ, სცადე –  
დაუთმე არე მილიონ  
სინათლის წელიწადებს.

გეცლება ბურჯი, ზედ მკერდზე  
მობჯენილია ბარჯი...  
გაჰყევ მილიარდ ტეხილებს  
და სრულ ჭკუაზეც დარჩი.

**პოლო სიმღერა**

სულ არ გავრიდებოვარ  
სიყვარულის ნარკოტიკს;  
მუდამ შენი ვიყავი,  
სანამ რამედ ვვარგოდი.

ნაჩუქარი სიცოცხლე  
მოლანდება, კვამლია...  
აღარ ვმალავ, ბებერიც  
შენზე ფიქრმა გამლია.

თვალეზედაც მეტყობა,  
ვისგანა ვარ დამთვრალი;  
თუ გადმოგცა ნაფოტმა  
ჩემი შემონათვალი?!

**დავაპიანა**

ხნულის მწაღია გავლება,  
მარტო გავმართავ ამ გუთანს...  
ყელს მობჯენილი სურვილი  
მომძალეობა, გამგულავს.

ღარიბული მაქვს სადილი,  
არას ვიტოვებ სამხარად;  
წამოპარულმა სიბერემ  
წელში გამხარა, დამღარა.

ჟოლოს, კრიალას, ობი ჭამს,  
იცრემლებიან მაყვლები...  
ხეს და ქვას ჩემი ნამღერი,  
ვინ მწყალობს, ვის ვენაღვლები.

ყამარის კოშკო, ბროლისა,  
ბრიალავ, ცაში აწვდილო,  
მაბრმავებ, მგონი არცა ღირს,  
ხმა, ჩემი, რო მოგანვდინო.

მარტო ვილოცებ, ნეტავი  
გაჭრიდეს ჩუმი მუდარა...  
გენუკვი, ეგებ გამოვდგე  
სენაკში დასაყუდარად.

**ყველაფერს ვეპუაბი**

რა ხანია, არ მინახავს  
დართვილული სამყურა...  
იმასაც ვერ მოვკარ თვალი,  
ვინც რო ეს ცა დამხურა.

ვის მოძებნით, მთვარეს ჩემებრ  
აჰყევს, მხარი აუბას?  
რამდენ რამეს და შენსასაც  
ვითმენ უნახაობას.

**სხვა არაფერი გავაჩნია**

მიზანი – ერთი, გზაც – ერთი,  
მისი წესი აქვს ყველას,  
ვნევარ, ტყე, ჩემი, გაშიშვლდა,  
არვისგან ველი შევლას.

ყუჩი, საშენოდ მორთული,  
სიკვდილო, გიცდი, მორთი! –  
დაგხვდება: მიყრილ-მოყრილი  
ნიგნების ნატურ-მორტი.





„არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი“... „მკითხველები“, ლვით მადლით, დღესაც არიან და, ალბათ, მუდამ იქნებიან — „გადამკითხველთა“ რიცხვი კი უსაშველოდ გაიზარდა: ბურთი და მოედანი მათია, მკითხველი დაზარალებულია და გულ-დანყვეტილი.

\*\*\*

რომლოც სიყვარულსა და ომში, ბავშვისათვის კითხვის შესაყვარებლად ყველა ხერხია ნებადართული — ტკბილი სიტყვა და მოფერება, გამომგონებლობა და ფანტაზია, ტყუილი და ქრთამი, ეშმაკობა და შანტაჟი, დაძალება „ლაითად“; ყველაფერი — უხეში ძალადობის გარდა: ბოლო კეთილია. მხოლოდ დედ-მამის პირადი მაგალითიც (სამწუხაროდ, მკითხველი მშობლების რიცხვი კატასტროფულად მცირდება) აღარ ჭრის.

ზემოხსენებული „მეთოდი“ თავად მაქვს გამოცდილი: რამდენიმე ზაფხული მოვანდომე პატარა ნინუკა ზანდუკელის წიგნით დაინტერესებას. დღეს იგი უკვე სტუდენტი გახდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ „ღრმა“ ბავშვობაში („ღრმა სიბერე“ — გასაგებია და მიღებული გამოთქმაა, ბავშვობის „სიღრმე“ ვინ გაიგონა! არადა, უკვე დამკვიდრდა; „ადრეულმა ბავშვობამ“ რა დააშავა? დაუოკებელი ცელქი იყო: თავუკულმა ეკიდა ტოტზე, ხან მალა-ლი ალაყაფის კარის ზემოთ გამავალ გაზის მიღზე იყო გადამჯდარი, ხან ველოსიპედით ისე დაჯლიგინებდა ოღროჩოლო ეზოში, რომ ერთხელ „გამიტანა“ კიდევ; როიალისხელა ძაღლთან ერთად ბალახზე გორაობდა, ავზე ავ თურქმენულ ნაგაზს გაჩხიკინებულ ხელს ვეება ხახაში იდაყვამდე უყოფდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ენაზე ექარებოდა; ძაღლს ისე უყვარდა ნინო, რომ ეზოდან მისი გასვლისთანავე შეუჩერებლად, გამაყრუებლად წკავნკავებდა და მოთქვამდა; ფეხბურთსაც თამაშობდა და თვითნაკეთი მშვილდ-ისრითაც ერთობოდა.

ძალიან პატარა იყო, „ბაში-აჩუკი“ რომ ნაფუკითხე. მოთხრობის დასაწყისს ვერაფერი გაუგო და გაქცევა დააპირა, მხოლოდ მაშინ დაოკდა და დაცქვიტა ყურები, როცა ტექსტს „გადავახტი“ და მღვდელი კირილეს სიზმარი ნაფუკითხე, მერე კვლავ დასაწყისს მივუბრუნდი და მშვიდობიანად ჩავათავეთ „ბაში-აჩუკი“.

კითხვა რომ ისწავლა, რიგრიგობით ვკითხულობდით ხმამაღლა. ძნელი სათქმელია, რომელმა მეტი სიამოვნება მიიღო „ჰეკლბერი ფინის“ ნაკითხვისას; ადრე „ტომ სოიერს“ რომ ვამჯობინებდი, ახლა „ჰეკლბერის“ იუმორზე გადავირთი, სიცოცხლისაგან კურცხლები მცვიოდა, ნინოს კისკისი ცას წვდებოდა.

11-12 წლის ასაკში შექსპირის „მეფე ლირი“, „ვენეციელი ვაჭარი“ და „ოტელო“, პაუზებით და კომენტარებით, მაგრამ მაინც დიდი ინტერესით „ჩავაბულ-ბულენიე“: შთაბეჭდილება მეტად მძაფრი იყო; ჰოლივუდურ „ჰეფი ენდს“ შეჩვეულმა ბავშვმა ერთი კი თქვა სინანულით — რა იდიოტი ყოფილა შექსპირი, როგორ ამოხოცა ყველაო. მეორე ზაფხულს ნინუკასა და მის მეგობარ სალომესთან ერთად „რომეო და ჯულიეტა“ ნავიკითხეთ. ფინალში, გოგოების გულამომჯდარი ტირილის გამო, ცოტა კი შემანუხსა სინდისმა, მაგრამ შთაბეჭდილების გასამყარებლად ფრანკო ძეფირელის „რომეო და ჯულიეტასაც“ (რა თქმა უნდა, კომპიუტერის ეკრანზე) ვუყურებ. ბავშვები კვლავ აზღუქუნდნენ, თუმცა კათარზისის ცნებამ სინდისის ქენჯნა გამიქარწყლა.

ყველა იმ წიგნს რა ჩამომავლევინებს, ერთად რომ ნავიკითხეთ; ბოლო წლებში ნინო ჩემს შერჩეულ წიგნებს ნაკლებად ეტანება: ბალზაკის „შარენის ტყავი“ ბოლომდე აღარ ნავიკითხა; უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“ და პატრიკ ზოუსკინდის „სუნამო“ ამჯობინა. მე კი მითხრა — არ გენყინოს, მაგრამ ცოტა მოძველებული შეხედულებები გაქვს; მე გავიზარდე, უწინდებურად აღარაფერი იქნებაო (ცოტა არ იყოს, არასტანდარტულად, „ფილოსოფიურად“ აზროვნებს, რაც მხოლოდ მახარებს; იმაზეც მადლობელი ვარ, ხანდახან მაინც რომ ემთხვევა ჩვენი გემოვნება). ახლახანს ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“ სულ ძალით გავატანე

სახლში (რა დროს კითხვაა, გამოცდები მაქვს); იმ დამსვე წაეკითხა და მეორედღეს გაოგნებულმა დამირეკა — შედევი ყოფილაო. ძლიერ მოეწონა კოტე ჯანდიერის მოთხრობები, „დაპატივებას კინოში“ ხომ ზედ დააკვდა.

\*\*\*

ამ ზაფხულს ნინუკა 18 წლის გახდა, ყველა სიკეთე ნინა აქვს, გურამ დოჩანაშვილის კლასიკად ქცეული „კარცერ-ლუქსი“ წარმატებით გამოვატარე. ახლა უკვე მისი გადასაწყვეტია, ინტერნეტით შემოიფარგლება თუ თავად გაიკვლევს გზას „გლობალურად“ ნიველირებული მასკულტურის ოკეანეში და, თანამედროვე მწერლობასთან ერთად, კლასიკის მარადიულ ნიბლსაც ეზიარება (ისე, ბოკაჩოს „დეკამერონი“ რომ ნავიკითხა, დიდად არ ეპიტიწავა, მითხრა, XIV საუკუნის მწერლისაგან ასეთ უხამსობას არ ველოდიო).

„დეკამერონი“, თანაკლასელის „რეკომენდაციით“, ოჯახისაგან მალულად, მეოთხე კლასში ნავიკითხე: ინფანტილურმა ღლაპმა, ბევრი ვერაფერი გავიგე; მაშინ ზოგ ჩემს თანატოლს ეგონა, რომ პატარები მმარში ხელმოწერის შედეგად ჩნდებოდნენ. ახლანდელ ბავშვებს მშობლი-

ლალი ავალისანი

# მშვიდობით, ნიბნაზო?!



ური ტელევიზიისა და, მეტადრე, ინტერნეტის „წყალობით“, ლამის პორნოკადემია აქეთ დამთავრებული! ამას დაურთეთ მწერლობაში (არა მხოლოდ უცხოურიდან თარგმნილს ან ეპატაჟურ-ახალგაზრდულში) გადამეტებული „დოზით“ შემოჭრილი, ზოგჯერ აშკარად უფუნქციო სკაბრეზი.

ხშირად გამიგია — ახალი თაობისათვის „ენაგარყვინილებანი“ (საბა) იაფფასიანი ფანდია ყურადღების მისაქცევად, ხანდაზმულმა მწერლებმა ნეტავ რისთვის აიქაფეს პიროო...

\*\*\*

ნამდვილ ამბავს მოგახსენებთ ან რა მრჯის, რომ ვიცრუო: მეთორმეტკლასელს ნესტანი და დარეჯანი ცოლ-ქმარი ეგონა; ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა „ბაში-აჩუკის“ ავტორი ვერ დაასახელა, ფილმიც არ ჰქონდა ნანახი (ტელეეკრანზეც კი; აბა, თბილისის კინოთეატრებში ძველ ქართულ ფილმებს, სანთლით რომ ეძებო, ვერ ნახავ).

რატომღაც ნავიკითხე მგონია, რომ ბავშვობიდანვე აუცილებელია „ფიზიკური“ კონტაქტი წიგნებთან.

ახლანდამოჩინებული ბავშვისათვის კარდებდა თუ უჯერებში ჩაძრომა, იქაურობის საგულდაგულო დათვალეირება, ზოგჯერ მოულოდნელი აღმოჩენები — საუკეთესო გასართობია (აკრძალვა არ ჭრის). წლინახევრის ალექსანდრეს, რომელიც სანიმუშოდ ნესიერი კაცია, ავეჯის კარისა თუ უჯერების გამოღება-დაკეტვას, ზოგჯერ რაიმე ნივთის დათრევას არაფერი ურჩევნია. ამ დროს დედ-მამა, დეიდა, ბებია და ბაბუა სრულ მზადყოფნაში არიან, ბავშვმა თითები რომ არ მოიჭეჭყოს.

იმედია, მომავალში ალექსანდრე ნიგნის თაროებითაც დაინტერესდება.

ოცდამეერთე საუკუნის ბალებსაგან განსხვავებით, ინტერნეტში ძრომილის ნაცვლად, წიგნებში „ქექვა“ ჩვევად გვექონდა გადაქცეული. ყველაზე იოლად ხელი ბროკაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაზე მიმიწვდებოდა, რადგან ღია „ეტა-

ჟერკაში“ ინახებოდა. მაშინ კითხვა არ ვიცოდი, არც ქართულად და, რასაკვირველია, არც რუსულად; მხოლოდ ილუსტრაციები მაინტერესებდა: ზოგი თვალწარმტაცო იყო, ზოგიც ძრწოლისმომგვრელი, მაგალითად, „ლაოკონი“, რომელიც შიშის ზარს მცემდა და მაინც მწუსხავდა. რა გასაკვირია, რომ დღევანდელ ბავშვებს ასე იზიდავს „თრილერის“ ჟანრი — ლიტერატურაშიც და კინემატოგრაფიაშიც. ნინუკამ, ჩემდა გასახარად, „ჰარი პოტერის“ ნაკითხვა არ მოსურვებ; თვითონვე გამოარჩია (მაშინ პატარა იყო, ალბათ, სათაურმა დაინტერესა) ან განსვენებული და უსამართლოდ მივიწყებული (თუმცა, ვინაა არ არის დღეს მივიწყებული) კინოდრამატურგისა და მწერლის ამირან ჭიჭინაძის მშვენიერი საბავშვო წიგნი — „ჭკუა“.

წერა-კითხვის სწავლის შემდეგ წიგნების თვალეირებამ მათი ნაკითხვის სურვილი გამიმძაფრა. წიგნებში ქექვის „ცუდი“ ჩევივადღეს ინტერნეტში „ჩათაობამ“ ჩანაცვლა. მართლაც რომ დრონი მეფობენ და არა მეფენი.

ბევრჯერ თქმულა, რომ წიგნს ალტერნატივა არა აქვს (მსიამოვნებს, როცა ამას ტელეეკრანიდან მალიმალ იმეორებს ნარმატებული პროზაიკოსი და ბუნებით

„მთხრობელი“ დათო ტურაშვილი), ისევე, როგორც ინტერნეტს; ამიტომ დაპირი-დებია აქეთ დამთავრებული! ამას დაურთეთ მწერლობაში (არა მხოლოდ უცხოურიდან თარგმნილს ან ეპატაჟურ-ახალგაზრდულში) გადამეტებული „დოზით“ შემოჭრილი, ზოგჯერ აშკარად უფუნქციო სკაბრეზი.

\*\*\*

წიგნზე საიმედო თავშესაფარი მართლაც რომ არ მეგულება.

თბილისის ავადსახსენებელი და ბრიყული „ომი“, დედის დაჟინებით, სახლში, გრიბოედოვის ქუჩაზე გავატარეთ. მთელი სახლი გაიხიზნა, მხოლოდ სამი ოჯახი დავრჩით. ბევრჯერ მოგვაკითხეს ნასაყვანად, დედა არ თანხმდებოდა, არც მე გამომიღვია თავი, მეგონა, კომპარულ სიზმარს ვხედავდი: თბილისის გულისგული — ძმათამკვლელი „ბრძოლის“ ასპარეზი? რალაც ატროფია მომეძალა, შიშის გრძნობა სულ გამიქრა, ჩემი ოთახის ფანჯრიდან აღარც ენ. ძერჟინის კლუბისა და გრიბოედოვ-ბესიკის გადაკვეთაზე აღმოდებული სახლების ყურება მაკრთობდა და არც რუსთაველის მხარეზე, აივნიდან დანახული ერთმანეთის მოპირისპირე ტყვიების წვიმა (უკუნეთ ღამეში აპოკალიფსურ ფოიერვერკს რომ ნააგავდა). რა მექნა? წიგნით ხელში ტახტზე მოვკალათდი. ისიც კი მახსოვს, როცა ბოძში „უთავაზეს“ პარლამენტის ბუნკერში „გამაგრებულებს“, ჯოზეფ კონრადს ვკითხულობდი. სახლი ისე შეზანზარდა, კინაღამ იატაკზე გავახლართე ზღართან. დედას, ალბათ ჩემი ხანითთავი, ვაუკაცავდა რომ ეჭირა თავი, აქ კი უღალატა თავშესაფარებამ (რაც ორიოდე კვირის შემდეგ უმძიმესი ინსულტით და რვათვიანი უკურნებელი ავადობით დამთავრდა) და ამიკვლდა — რა დროს კითხვაა, ქვეყანა იქცევაო!

ამაზრუნენ იყო ახალი, 1992 წლის „აღნიშვნაც“: „მხარეები“ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ მეტჯერ გაისვრიდა — გაუსაძლის კანონადას ბოლო არ უჩანდა.

ისედაც პაციფისტი ვარ და საბოლოოდ შემჯავრდა ომი. ასე და ამგვარად „გადავტრიალდით“, ჭკუა კი ვერ ვისწავლეთ; სამოქალაქო ომი გრძელდებოდა. ერთი თუ

ორი წლის შემდეგ ტელევიზორში გაგონილმა ფრაზამ — „ოფშკვითი საქართველოს იურისდიქციას დაუბრუნდაო“, ისეთი ჰომერული ხარხარი მომგვარა, რომ შემრცხვა, ვინწეს არ გაეგონა. სასაცილო კი მართლაც იყო, მაგრამ იმ გაუსაძლის ყოფაში ნეტავი რა მაცივებდა, თანაც „შავი“ იუმორის მოყვარული ნამდვილად არ ვარ.

მაშინ წიგნიც კი აღარ მშველოდა...

\*\*\*

პროფესიონალი ლიტერატორისათვის კითხვით მიღებული სიამოვნება — უდიდესი მადლი — ნელ-ნელა კლებულობს; შენდაუნებურად „მუშტრის“, შემფასებლის თვლით კითხულობ ტექსტს, სიამოვნება კი ხელიდან გისხლტება (თუ, რასაკვირველია, წიგნმა ანდამატივით არ მიგიზიდა).

თუ გავითვალისწინებთ კულტურის გლობალურ კრიზისს, უცხოური და მშობლიური მდარე მასკულტურის ლავას, ეროვნული ფასეულობების დაბინდულ ნიშანსვეტებს, წიგნის „კომერციალიზაციას“ და ზოგიერთ ავტორის, ბოდიში და, გაუნათლებლობას, მართლაც რომ ქუფრი სურათი გამოგვივა.

მწერლობაშიც გავივალდა „შოუ“ და „კინი“, რაც მხოლოდ ზერელე გართობას გვირდებდა და არა ესთეტიკურ ტკობას. პიკანტური ამბების, სკანდალისა და ვითომდა სენსაციის გამოდევნებამ ლიტერატურის ისტორიასაც მიაყენა ზიანი. ამის ნიმუშია პაოლო იაშვილის ბრწყინვალე ლიტერატურული მისტიფიკაციის — „ელენე დარიალის დღიურების“ გამოკვლავ ავორებული (უკვე მერამდენედ!), ამჯერად ძვირადღირებული და კარგად „შეფუთული“, ცილისმწამებლური და სამარცხვინო პიარ-კამპანია. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: XX საუკუნეში ეჭვმიუტანელი, წარმატებული, ერთადერთი ქართული ლიტერატურული მისტიფიკაცია გვაქვს და ისიც მავანთა ამბიციას (ევბებოროტ განზრახვასაც კი: არცოდნა ყოველთვის არ არის არცოდვა) გადავყოლოთ?

როგორ ზედმინეწით ესადაგება ამ ვითარებას სერგო კლდიაშვილის ჩანაწერი: „კარგად ვიცო, რომ ჩემი სიცოცხლის დასარული ძალიან მოახლოებულია. ის ყოველდღე მოსალოდნელია მოხდეს... მე ცხოვრობ, უკვე რომ ვთქვა, ცხოვრებას ვამთავრებ იმ დროს, როცა ქართულ ლიტერატურაში განუკითხაობის ეპოქა დგება... ლანძღვენ და ჭორიკანობზე პაოლოზე, ტიცინაზე და სხვებზე. ამით ცდილობენ, თავიანთი უნიჭობა, უფერულობა და ზედმეტობა დაფარონ“ („უბის წიგნაკი“, თბ., 2000 წ. გამოცემულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ).

\*\*\*

„მე მირჩევნია სიამოვნება მივანიჭო აკადემიკოსს, ვიდრე ჩემს მენალეს. XXI საუკუნეში დემოკრატია ლიტერატურაში უცილობლად გააბატონებს სიმდარეს, შეზღუდულ, მედროვე და ლიტერატურული თვალსაზრისით უხამს ადამიანებს“...

პატივებს ვითხოვ „მცირე“ თვითნებური ჩასწორებისათვის: XIX საუკუნეს XXI ჩავუნაცვლე.

ეს სიტყვები, არც მეტი და არც ნაკლები, 177 წლის წინ დაინერა, მისი ავტორია ანრი ბელი ანუ სტენდალი, რომელიც მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ „აღმოაჩინეს“ და XIX საუკუნის II ნახევრიდან „უკვდავების ბინადრად“ შერაცხეს. სიცოცხლეში იგი არ „შეუმჩნევიათ“; მეგობრები ეხუმრებოდნენ: „თქვენი წიგნები წმინდა ნაწილებივით არის, მათ არავინ ეკარებაო“...

როგორც ჩანს, ქართულ მწერლობაშიც ჩრდილში მყოფი, ნაკლებად „ხმაურიანი“ მწერლებისაგან უნდა ველოდეთ სიკეთეს; ისეთებისაგან, როგორც იყვნენ ან გარდასული ერლომ ახვლედიანი და ზაზა თვარაძე — სხვადასხვა თაობის და ლიტერატურული გემოვნების ორი უნიკუმი.

ძალიან მინდა, ეს მცირე „იგავური“ ჩანართი ახალბედა მწერლებმაც გააცნობიერონ.

თუ თავისუფლება თავაშვებულობასთან, ცინიზმთან და ეროვნულ ნიჰილიზმთან იქნა გაიგივებული, თუ საბჭოური



„ბილინგვიზმი“ თავადვე ჩავანაცვლეთ „ბაბილონიზაციით“, თუ როგორც წყალნალეული ხავსს, ისე არ ჩავეჭიდეთ ჩვენს ფესვებს, „ცხოვრება ისე გაგვთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.

რა სიმწრით არის ნათქვამი — „მშობლიური ენისა და ნიგნის უარყოფა, გამოუხადებელი რამედ ჩათვლა, თავისთავის უარყოფა, თავისთავის გათახსირება“ (იაკობ გოგებაშვილი).

\*\*\*

დედაენისა და ნიგნის სიყვარულს საფუძველი ბავშვობიდანვე ეყრება. ბავშვებზე მშობლიური ენის (სიმღერის, ფოლკლორის) სასიკეთო, დადებითი ზეგავლენა ფრანგმა სწავლულებმა (ფიზიოლოგებმა, პედაგოგებმა, ფსიქოლოგებმა) მრავალნობიანი კვლევის შედეგად დაადასტურეს. დედაენისადმი ასეთ დამოკიდებულებას თურმე ემბრონიც და ჩვილასაკიანებიც ამჟღავნებენ; დედაენას პოზიტიური გავლენა ჰქონია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნერვულ სისტემაზეც; ამიტომაც მიუღებლად მიმართა პირველკლასელთათვის ქართული და ლათინური ანბანის სინქრონული სწავლება, „ბუქების“ გაფეტიშება, ე.წ. „სუფთა ნერის“ უგულვებელყოფა და ისიც, რომ ლექსის დაზეპირება აღარ არის სავალდებულო. დედაენის პოეზიით გამოხატული მაგიური მუსიკა ხომ მთელი სიცოცხლე მიგყვება.

საქართველოში ბავშვის კულტი მუდამ იყო და დღესაც არის (თუმცა, სამწუხაროდ, ნაკლებად). ეს თვისება ქართული მენტალობის დამამშვენიებელიც გახლავთ და იმედიანი მომავლის საწინდარიც.

ანზორ ერქომაიშვილმა, ქართული ხალხური მუსიკის უდიდესმა მოამაგემ და ქომავლა, მართებულად შენიშნა — თუ გინდა, ხალხური სიმღერა შეინარჩუნო, ბავშვებს უნდა ასწავლო და ასეც მოიქცა!

რას ისმენს, რას ბაძავს, რას სწავლობს, რას მღერის, როგორ ერთობა ქართველი ბავშვი? სამწუხაროდ, პასუხი ყველამ ვიცით: ტელევიზორთან თუ კომპიუტერთან საათობით ტვიპასავით მიმჯდარი პატარები ღრუბელივით ისრუტავენ ჩვენი მსოფლმხედველობისთვის მიუღებელ, მათთვის სრულიად შეუფერებელ და უცხო ნაირგვარი ინფორმაციის ზღვას.

უკვე ერთობ შეგვებღალა ტრადიციული ზნეობრივი და სულიერი ფასეულობები, ჯოხი კი, უპირატესად, ბავშვებზე ტყდება. ისიც ყველამ ვიცით, რომ „გზა ხსენისა“ განათლებაა, ნიგნის კი პანაცეა.

ხელოვნების „კომერციალიზაციისა“ და შოუ-ბიზნისის დომინანტობის ბორბალი, როგორც ჩანს, უკულმა აღარასოდეს დატრიალდება; მაგრამ წინდახედული, მიზანსწრაფული სახელმწიფოს მართებელი კულტურული პოლიტიკის წყალობით, ჯერ კიდევ შესაძლებელია ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებაც და მოსახლეობის გემოვნების ამაღლებაც (რამდენადმე მაინც).

\*\*\*

„მართალია, უფსკრულში ძლიერ დაბლა დავეშვით, მაგრამ გზის მაჩვენებელი ძაფი ჯერ არ გამწყდარა. ფარული კულტურული ფონდი სავსებით არ განიავებულა და ჩვენს შეუგნებელ ბუნებაში სიზმრის მოჩვენებასავით თვლემს დიდი ქართული სტილის გრძნობა, კიდევ შეიძლება მისი აღდგენა“ (გერონტი ქიქოძე, 1917 წ.).

„სამყარო ინგრევა... არსად ისე არ ცნაურებულა ეს ნგრევა როგორც პოეზიაში და საერთოდ ხელოვნებაში.

...რას შვრება ამ დროს საქართველო? ყველაფერი ინგრევა და სამყაროს ტორტმანში იგი მხოლოდ ქანაობს.

...საქართველო ქანაობს საქანელაზე. მაგრამ საქანელა უფსკრულზეა გამართული და ადვილი შესაძლოა საქანელა სახრჩობელად გადაიქცეს.

...საქართველო ქანაობს უდარდელი; მაგრამ სახრჩობელას ჩვენება სტანჯავს მას... ხანდახან აქ სახრჩობელა სისხლიან ჯვარად იქცევა. ჯვარი უფრო ძნელია ვიდრე სახრჩობელა; მაგრამ ჯვარცმაში კათარზისია ნათელი“ (გრიგოლ რობაქიძე, 1920 წ.).

ქართველ მოაზროვნეთა გამონათქვამები, თითქმის საუკუნეს რომ ითვლის, დღესაც აქტუალურად აღიქმება.

ლია სტურუას ახალი, ბოლოდროინდელი ლექსების ნიგნი — „დავინყების დღე“ — მოცულობით პატარაა, მაგრამ შიგ ბოხოქარი ვნებები ტრიალებს. ნიგნი ერთობ წარმატებულია და უთუოდ ამან განაპირობა, რომ ამ ნიგნით ლია სტურუა წლებადედალი „საბას“ ლაურეატი გახდა. ნიგნის წინასიტყვაობა ავტორს ეკუთვნის და ასე მთავრდება: „მე კი ღმერთს ვთხოვ, ლექსის წერის უნარი დამიტოვოს სიკვდილამდე, რადგან, როგორც ერთგან მინერია დედაჩემზე:

მან არ იცოდა, თავიდან რომ ლურსმანს ამოვიღებ, მაშინვე მოგვედები.“

ამის წამკითხველი მიხვდება, რა ტკივილითაც იწერება ლია სტურუას ლექსები და რა ლურსმანზეც არის აქ ლაპარაკი. იგი დიდებული მეტაფორაა და გამოხატავს შემოქმედებითი პროცესის დროს განცდილ ექსტაზს, ნებაყოფლობით თავსდება სამყაროს ტკივილით აღქმისა და ამ ტკივილის მეტაფორულ გადმოცემას. ტკივილი აქ მაცოცხლებელ ძალად მოიაზრება. ნათქვამია, პოეტი სხვაზე ერთი ტკივილით მეტია და ლია სტურუას ამ ლექსში სიცოცხლე უმძაფრეს ტკივილს უდრის, ტკივილს ნიშნავს.

დალილა ბედიანიძე

# ოქროს ბასალები

მეტაფორა ლია სტურუას პოეზიის ოქროს გასაღებია. მის ყოველ ლექსში ვხვდებით არაერთ მდიდარ მეტაფორას, მეტაფორების მთელ კასკადს, რაც სახეობრივად ამდიდრებს ამ ლექსებს და აიძულებს მკითხველს, ჩაფიქრდეს და ისე ჩანდეს ლექსის დედააზრს და სიღრმეს.

ლია სტურუას პოეზია სტილურად ევროპული პოეზიის სტანდარტებს შეესაბამება, თუ შეიძლება პოეზიაში სტანდარტი არსებობდეს. იგი ევროპეიზმის ხაზის გამგრძელებელია ჩვენში და, ამავე დროს, უაღრესად ქართულია, მშობლიურია. პირველი, რაც ამას განაპირობებს, არის ქართული სამყარო აღწერილი სათანადო მეტაფორებით და მეორე — ფოლკლორის გამოყენება, უპირატესად ქართულისა:

„მოცოცავენ ლოკოკინები თეთრად, ჭიები ვარდისფრად, ატმის მომყოლით, რბილი სხეულები — ბალიშების ილუზია გზაში მკვდრებისთვის, ისიც არა, შიშისგან თუ დაიგრიხნენ — ნაოჭები სწორ ხაზზე, რომლებთანაც რას მოვა ჩემი გრეხილება: მთების, კითხვის ნიშნების, მონუმენტურ-აზრიანი: აქეთ ნახვალ, ინანებ, იქით — მანქანა გაგიტანს, პირდაპირ ნახვალ, დაილუპები. მერე, არჩევანის თავისუფლება?..“

ამ ლექსში გამოყენებულია ქართული ხალხური ზღაპრებისეული ფორმულა, როდესაც ზღაპრის გმირი საგმირო საქმეების ჩასადენად მიემართება და გზაჯვარედინს მიადგება. იგი ირჩევს გზას, რომელსაც ანერია „ველარ დაბრუნდეს“, მაგრამ წარმატებით გაივლის ამ გზას და უკანაც გამარჯვებული ბრუნდება. ამ ფორმულას მრავალი ვარიანტი აქვს, შეიცავს დადებით მნიშვნელობასაც, მაგრამ ლია სტურუას მხოლოდ მისი უარყოფითი მნიშვნელობები გამოიყენებია და შემოქმედებითად აუთვისებია. მისთვის სამივე გზა დალუპვისაა და არჩევანის თავისუფლებაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამით იგი ემსგავსება ზღაპრის გმირს, რომელიც იოლ გზას არ ირჩევს და რომლის ჭეშმარიტ გმირობასაც ამტკიცებს ძნელი გზის ბოლოს მისი გამარჯვება.

ლექსში „თანხვედრა დროში?“ ასევე ქართული ფოლკლორია გამოყენებული. მის ფინალში ნათქვამია:


„არული, არული კუდიანებს! სტამბის სუნთან ნიგნებს, მეტაფორის უხერხულობას XXI საუკუნეში! კულისებში გაიტანეთ!“

„არული კუდიანებს“ ცნობილი შეძახილია, ქართული ხალხური ჭიაკოკონობის (იგივე ჭეჭეთობა) დროს, ჭიაკოკონაზე გადახტომის დროს რომ ყვირიან რიტუალის მონაწილენი. მისი ვარიანტია „კუდიანო, დაინვი!“ იგი სხვა პოეტების შემოქმედებებშიც გვხვდება, მაგრამ ლია სტურუას თავის ამ ლექსში ახალი სიცოცხლე მიუნიჭებია მისთვის, ახალ კონტექსტში მოუქცევია იგი. თუ

რატომ არის მეტაფორა უხერხული XXI საუკუნეში და რატომ ეუბნება პოეტი „არული“ სტამბის სუნთან ნიგნებს, ამას თვითონ ლექსის დედააზრი მიგვახვედრებს, სადაც რუსთაველის შესახებაც არის ლაპარაკი და გალაკტიონ ტაბიძის სამკურნალო კომბინატის ფანჯრიდან გადახტომის შესახებაც — ეს კი ნიშნავს, რომ ჭეშმარიტ ნიჭს, ჭეშმარიტ პოეტს ყოველთვის ებრძვიან ბნელი ძალები და „არულიც“ ამ ბნელ ძალებს უნდა ვუთხრათ, ჩვენს სამყოფელი ცეცხლით განვწმინდოთ.

ანტიკური მითოსის, კერძოდ, სიზიფის პოპულარული მითის გამოყენების შემთხვევაც გვხვდება ლია სტურუას ლექსში „შენს მერე.“ ეს მითიც კარგად არის ცნობილი და არაერთგზის გამოყენებული ქართულ პოეზიაში, მაგრამ ლია სტურუა წარმატებით ახერხებს მის განახლებას, მისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებას:

„სიზმარში გხედავ. მითოლოგიური მხრებით ლოდს აღარ ატარებ, გვერდით გიდექს ჩემოდანივით, ცხენის ლანდი მაინც ვერ გეწევა, ბრინჯაო მეხსიერებაშიც მძიმეა შენს მერე“...



აქ სიზიფეს ლოდზეა ლაპარაკი, რომელიც ამოიბის სიმბოლოა, რამდენჯერაც არ უნდა აიტანოს სიზიფემ მთაზე, იმდენჯერვე დაუბრუნდება. ლექსის ადრესატი აქ სიზიფესთანაა შედარებული, ოღონდ ამჯერად უკვე ლოდის გარეშე, ლოდი გვერდით უდევს ჩემოდანივით, როგორც ლექსშია ნათქვამი. აქ მეტაფორის წყაროც არის მითითებული — მითოლოგია — და სიზიფეს ლოდზეც ახალი თვალთაა დანახული.

ლია სტურუას მეტაფორა ფერადოვანია, რბილია, მრავალნახნაგოვანია და ამასთან — მძაფრი მეგრძნებების გამომხატველია. იგი ზუსტად ასახავს პოეტის და მისი მკითხველის განწყობილებას და ქმნის ჯადოსნურ სამყაროს, სადაც ყველაფერი დაუჯერებლად ლამაზი და სიკეთით სავსეა.

„არც ერთი ზარი არ რეკავს, არც ერთ კარზე არ აკაკუნებენ. ასეთი უქმე თუ არსებობს — დავინყების დღე? ჩრდილმა აბსტრაქციის ჭამა რომ არ დაიწყოს, სარეცხის თოკზე გაფენ ყბადაღებულ „დედის კალთას“, იქნებ მზესთან რეაქციაში შევიდეს, თორემ შეხების სითბო გამოიქმეს, ხელებზე კანის აგლეჯასავით, სისხლის წრეხაზით შემონერილი ვარ არავის გარშემო, ხსოვნა, კლასიკური ფრთიანობის მიუხედავად, ტანს ვერ გაიკეთებს, ტვინის სიმალლიდან როცა მივარდება, ხელებსაც ვერ ვაფარებ სახის ადვილზე, რომელიც სტკივა და სირცხვილი შემოაქვს სახლში, მის სიღრმეში ვიხედები.“

(„უცნაური უქმე“) ლია სტურუას ლექსებში ოსტატურად არის ერთმანეთთან დაპირისპირებული ყოფითი და ამაღლებული, სილამაზე და

სიმახინჯე, სიკეთე და ბოროტება, სიცოცხლე და სიკვდილი, წუხილი და სიხარული, ტკივილი და სიამე და ეს ყველაფერი მდიდარი მეტაფორებით არის გამოხატულ-გადმოცემული. მისი მეტაფორა მეტად მოქნილია, ტვეადია და ბასრია. როცა პოეტი ამბობს, „სახე მრგვალი, კუნძულივით, თვალში დრომა მეტყინაო“, აქ იგულისხმება შემოქმედის მარადიული მარტოობა, მისი მონყვეტა მინიერი ყოველდღიურობისგან და ტკივილი, რომელსაც დრომ-სამშობლოს მეტაფორა იწვევს, რადგან პოეტს არა მოზემე, არამედ გაჭირვებული და მისაშველებელი სამშობლოს ბედი აწუხებს. ლექსი ასე მთავრდება:

„მკვდარიც რომ იყო, სულ გგონია, რომ გკლავენ, ჩონჩხიდან სისხლი გამოგდის, ზოგჯერ რძეც, განწყობილების შესაბამისად... ღმერთო, უშველე

ფეთქებად ნაციებს!“

ის, რომ საქართველო პოეტისთვის „ფეთქებადი ნაციაა“, მხოლოდ მისი თვალით დანახული საქართველოა, რძით და სისხლით სასვე, რომლის სიკვდილშიც სიცოცხლე იგულისხმება და სიცოცხლეში კი — მოკვლის შიში, რამეთუ მტერი არ აკლია, რომელიც მის დროშას, მის თავისუფლებას ემუქრება.

ლია სტურუა მოხდენილ შედარებებსაც ქმნის, რომლებიც ლექსის სხეულზე ასხმული სამკაულებივით მოჩანან და განწყობილებას ქმნიან:

„მთებს არწივების პერპენდიკულარი ჰქონდათ გარჭობილი, მატარებელს — ჩემი თეატრი — იმპროვიზებული სცენა ბოძებს შორის, ელექტრონი შუბლში!“

ეს „არწივების პერპენდიკულარი“ ზუსტად ასახავს აფრენილ არწივს, ამავე დროს ძლიერ, არწივივით ადამიანს გვიხატავს, რომელიც ცხოვრების სიმბოლოებს — თეატრს და მატარებელს ერწყმის და ჯადოსნური ზღაპრის გმირივით თვითონ ქმნის თავის დროს, უამთასვლას არ ემორჩილება:

„მოდრავი თეატრი ტემპერამენტის ნახევებს ისვრის მიწაზე,

ამათი პულსიც საათის ისრებს ვერ უთანხმდება, სანამ დროს მივდეგ“...

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ლია სტურუას ამ ახალ კრებულში ბევრი კარგი ლექსია პოეზიის მოყვარულთა გასახარებლად. მომხიბვლელია პოეტის ხელწერა, სამყარო, აზრთა მდინარეობა, ტკივილიან სიხარულს რომ გამოხატავს. პოეტს ყველა და ყველაფერი უყვარს და ამ სიყვარულს სისხლსავსე სტრიქონებით გამოხატავს. „წავიდა, თითქოს ნათურა ჩაქრა“ ასე აღწერს ერთგან იგი განშორებას და ამ შედარებით ზუსტად გადმოსცემს განშორებით გამოწვეულ ტკივილს.

კრებულში ერთ-ერთი საუკეთესოა პატარა უსათაურო ლექსი, რომელიც მეტაფორული და ასოციაციური აზროვნების ნიმუშს წარმოადგენს:

„თავიდან როგორ ავაშენო? ნეკინდანაც არ გამოვა, თუმცა მარილიც მეყოფა და ტყვილიც, ახალგაზრდობის ფოტო, გუშინდელ ხორცზე შემდგარი, უფრო იოლად ეწერება სიზმრის ფაქტურაში, ახლა, გარემო: ჰაერში კავკასიონს შევუვრე, უთოვლოდ, ჩემთვის არ მინდა? ფუტკარსაც ვერ ავცდები, ყველა მცენარეში თავლის მასალას იპოვის

და ისევ მოგკლავს. რა ვქნა? სინონიმების ლექსიკონში შაქარი კარგი სიტყვაა. ლექსივით რომ გამოვიგონა? თან ზაფხული უნდა იყოს, როცა დღე კი არ გიკვდება, თავდება, მზის ბეჭედს უსვამს საბუთის ბოლოში“...

ვუსურვებ ლია სტურუას, არასოდეს სიკვდილოდეს დღე და არ ეგრძნოს დღის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი, დავინყების დღის ტკივილი, ხოლო მისი ლექსების ბოლოს გზის ბეჭედივით ყოფილიყოს ავტორის ხელმოწერა, რამეთუ მისი პოეზია მზიურია და სისხლსავსე ცხოვრების ამსახველი, „ტკივილითა ტკივილისა დამთრგუნველი“.



ნაირა გელაშვილი საყმაწვილო ლიტერატურაზე მინდა, გელაშვილი: კარგად იცო, რატომაც მიყვარს ნაირა გელაშვილი, ყოველთვის დინების სანინალმდეგოდ მიცურავს, როგორც ყველა ნამდვილი მწერალი და იმიტომ!

შეუძლებელია, არ მოგვინდეს მისი სტილი — სადა, სევდანარევი იუმორით, უბოროტო ირონიით (ხშირად თვითირონიით) და ჩვენი, ნამდვილი სამშობლოსადმი ფარული ნოსტალგიით სავსე. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება და თუ რაიმე მიმინააღმდეგები, შეგიძლია თამამად განმიცხადო (მაგრამ იცოდეთ, აზრს ვერ შემაცვლევინებ)!  
გახსოვს, სკოლაში რომ სწავლობდი და ლექსებს წერდი, რილკეს მისეული თარგმანები წაგაკითხე, შთაბეჭდილებებით იყავი სავსე.

და... ეს ყველაფერი ახლა რამ მომავლანა? იმან, რომ... ამ შაბათს კვლავ გიგზავნი საყმაწვილო წიგნების მორიგ დასტას შენი პანია ქალიშვილისთვის და ამ კრებულებში ნაირა გელაშვილის მრავალტომეულთაგან ერთ-ერთს, მეექვსე ტომს, აღმოაჩენ და არ გაგიკვირდეს:

რატომღაც აქამდე შენთვის არასდროს მითქვამს, რომ ნაირა გელაშვილი საყმაწვილო ლიტერატურასაც წერდა. სამწუხაროდ, არ წამიკითხავს შენთვის არცერთი სტრიქონი. ამაზე გული მწყდება, მინდა, შეცდომა ახლა გამოვასწორო — ჩემს შვილიშვილს წავაკითხო (ჩემს ნაცვლად ნაუკითხო, აბა, შენმა უცხოელმა ცოლმა ქართული არ იცის და...) ეს ფაქიზი მოთხრობები და ლექსები.

\*\*\*

ამჟამად, შეგიძლია, ნაირა გელაშვილის შემოქმედების ერთ ნაწილს სხვა რაკურსით შეხედო, რათა დარწმუნდე, იგი, როგორც მწერალი, როგორც მოაზროვნე, სრულიად გამორჩეულია თანამედროვე ქართულ სალიტერატურო სივრცეში. ნამდვილად არავის ჰგავს. თანამედროვე საყმაწვილო მწერლობაში მისი საბავშვო თხზულებანი საერთო კონტექსტიდან ამჟამად ამოვარდნილია (ის მომავლის მწერალია)! განყენებულად, ზოგადად კი არ წერს ზღაპარს, საყმაწვილო ამბავს, მოთხრობას, ლექსს, არამედ ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე ყმაწვილის ალზრდის თავისებურებაზე. ისეთ თემებზე ესაუბრება, გაგიკვირდება: ვთქვათ, როგორცაა „ნატო“ (ჩვენში ასე რიგად ყბადალებული, ვისაც არ ეზარება ყველა „ნატოზე“ საუბრობს), ცისფერჩაფხუტიანებს აცნობს, საერთაშორისო ნითელ ჯვარსა და გაეროს სამშვიდობო მისიაზე უყვება. ამ თემასა და პრობლემაზე ჯერ არავის უსაუბრია ქართულ სინამდვილეში ბავშვებთან ასე გასაგებად და ასე ლოგიკურად.

აი, რას წერს „დიდი დაგის ორდენში“: „არსებობს ერთი დიდი გაერთიანება, — ნამოიწყო კამრიამ, — მისი სასახლე ცათამბჯენებიან, მდიდარ და ხმაურიან ქალაქშია. ამ გაერთიანებას ევალება ერთმანეთზე ნაკიდებული ხალხები გააშველოს და შეარიგოს. თუ ამას ვერ ახერხებს, მაშინ უფრო სუსტი ხალხი უნდა დაიცივას. მაგრამ ეს ამოცანა უმეტესად ვერ სრულდება. დიდი ხნის წინათ დიდი დაგი ამ კავშირის ხელმძღვანელად აირჩიეს. და მან, უპირველეს ყოვლისა, ცისფერაბჯრიანთა არმია შექმნა, ურომლისოდაც გაერთიანება თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს. თუ ერთი ხალხი მეორეს ანადგურებს, იძულებული ხდება, დაიცვა. ასე არ არის? და დიდმა დაგმა მაშინვე შექმნა აგრეთვე დარბაზი ლოცვისათვის. ამ დარბაზის შუაგულში შავი მაგნიტის ოთხკუთხედილო დიდი, რომელიც შორეული სამშობლოდან ჩამოიტანა, და კედელზე პირველი რანგის უხილავი რაინდის — მიქალის — სურათი ჩამოჰკიდა.“

ეს არის სინამდვილე და ფანტაზიაც... ასოციაციური ჯაჭვით სამყაროს შემოქმედსაც ვუკავშირდებით (უხილავი რაინდის მიქალის სურათი ხომ მიქაელ მთავარანგელოზის მეტაფორაა), წარმართული ეპოქის რითებსაც ვიხსენებთ და, ამავე დროს, რეალობასაც უფრო უკეთ აღვიქვამთ; ამ ნაწარმოების — „დიდი დაგის ორდენის“ — ავტორისეულ მინანქრში ვკითხულობთ, ზღაპარი უფრო მართალია, ვიდრე სინამდვილე! და საყურადღებოა ეს თეზა, რაკი მხოლოდ მისი მეშვეობით ახერხებს მწერალი სიმართლის მკითხველამდე მიტანას:

აქ, ამ მხატვრულ ტექსტში, ცოცხლდება საქართველო თავისი უძველესი ისტორიით, მითებით, წარმართული, მართლმადიდებლური კულტურითა და... ამავე დროს, დათრგუნული, წართმეული დღევანდელით.

მწერალი, ამ შემთხვევაში (მერე რა, რომ საყმაწვილო ლიტერატურასთან გვაქვს საქმე), პალიმფსესტის პრინციპს ირჩევს: ქმნის მრავალშრიან ტექსტს. ის, რაც ზედაპირზე ჩანს, რაც იოლად აღიქმება, მხოლოდ ერთგვარი „სატყუარა“... სწორედ ამ პირველი შრის ქვემოთ იმალება (იკითხება) მთავარი სათქმელი, რისთვისაც შეიქმნა საერთოდაც ეს საბავშვო რომანი.

მოგეხსენება, მწერლები სიმართლის თქმას, ცენზურის გამო, ხშირად საყმაწვილო ლიტერატურის მეშვეობით ახერხებენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა კომუნისტური ეპოქის ქართული საბავშვო ლიტერატურა.


ნაირა გელაშვილთანაც ზოგჯერ ფოტოგრაფიული სიზუსტით, ზოგჯერ კი სურეალისტურადაა ნაჩვენები სინამდვილე. ეს ხერხი სრულიად მოულოდნელია ქართულ საბავშვო ლიტერატურაში: ჯერ მხოლოდ ყანრი — რომანი — საინტერესო და ორიგინალური. ერთგვარი ნოვაციაა, სურვილი იმისა, პატარაობიდანვე შეამზადო მკითხველი ინტელექტუალური, დიდტანიანი მხატვრული ტექსტების წასაკითხად. გაცნო ჩვენი დიდი კლასიკოსები (თითქოსდა თამამ-თამამით კრებულიდან „აკამუკის გზები“), ბარათაშვილის ისეთი ლექსები წაკითხო, როგორცაა „ფიქრნი მტკვრის პირას“, „საყურე“...

გეკითხები, არ არის ეს სითამამე? ...მაგრამ ამას ნაირა გელაშვილი არა

ნინო ჩხიკვიშვილი

## მომავლის მწერალი ანუ ჩაკლული სულის გადასარჩენად...

ციკლიდან „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაჟს“



მხოლოდ მწერლური ოსტატობით ახერხებს, არამედ (მგონია) ქალური ინტუიციითაც გრძნობს, რომ დადგა დრო, საყმაწვილო მწერალმა პატარა მკითხველს სიმართლე გაანდოს, მოამზადოს სასტიკი რეალობის აღსაქმელად. თან ყოველივე ეს შესაშური სიფაქიზით მოახერხოს. ესაუბროს სიკვდილზე, სევდაზე, ომზე, პოლიტიკაზე, სიმდიდრესა და ქველმოქმედებაზე. ქართულ ტრადიციებზე. ქალისა და მამაკაცის სიყვარულზე და... მათთვის ყველაზე, ყველაზე მტკივნეულ საკითხზე, იმაზე, რაზეც ხშირად თვითონ დედებს და მამებსაც კი უჭირთ მათთან საუბარი — დანგრეულ ოჯახებზე.

აი, ასეთი მწერალია ნაირა გელაშვილი; უფრო კარგად რომ ავიხსნა, ახლა მორიგი საბავშვო რომანის — „ტროლიბუსის ასტარონი და მისი მგზავრების“ — მთავარ პერსონაჟს გავაცნობ და მაშინვე მიხვდები, როგორია ამ რომანის ავტორი, რადგან რომანის მთავარ პერსონაჟს — ქალბატონ დიდუდას, ავტორის ერთგვარ პროტოტიპად მივიჩნევა, ალბათ არის ამ ქალის ხასიათში ბევრი ისეთი თვისება, რაც ქალბატონ ნაირასაც ახასიათებს. ქალბატონი დიდუდას ხასიათის გასახსნელად თუნდაც ერთი შტრიხიც კმარა:

„ქალბატონი დიდუდა უკვე აღფრთოვანებული იყო იმის წარმოდგენით, თუ როგორ გამოაცხობდა გრანდიოზულ

ტორტს, დატენილსა და მოკაზმულს ალუბლებით, მარწყვებით, გარგარის, ატმის, ანანასის ნაჭრებით ... და როგორ ჩამოურიგებდა მერე მეზობელ ბავშვებს“...

„არნახული დაბადების დღე გამოიშვა! თან 50 წლისა ვარ! მართალია, ამასწინათ გავხდი და არა ხვალ, მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს! მთავარი ისაა, რომ თავს სულ უფრო ახალგაზრდულად ვგრძნობ. სულ უფრო ვცელქვები და ვხალისდები, სხვები კი ამის გამო დამციინიან, რადგან თვითონ სულ უფრო ბერძენიან და მოწყენილობით იხრჩობიან!“ — ასე ფიქრობდა ქალბატონი დიდუდა, თან ღლინებდა და მიქსერს ატრიალებდა.

სახსიათო დეტალია... ასეთი და მსგავსი უამრავი მაგალითის მოტანაა შესაძლებელი, მაგრამ მაინც მგონია, ჯობს, ახლა ვისაუბროთ, ზოგადად (და ნაწარმოების ცალკეული დეტალების განხილვა შემდეგისთვის გადავდოთ) რა არის ამ მხატვრულ ტექსტებში მთავარი? რას ლამობს ავტორი?

იმას, რომ... ჩვენს უმოწყალო დროში პატარებს შეუნარჩუნოს სულიერი ხედვა, ხალასი და ნამდვილი იუმორი (და არა ისეთი, დღევანდელ შოუში რომ მოისმენ). ამავე დროს, მათ მშობლებში, უფროსებში ჩაკლული სული გააცოცხლოს! ამ ნიშნითაცაა გამორჩეული მისი საყმაწვილო ლიტერატურა, რადგან პატარა მკითხველთან ერთად, მწერალს არასდროს ავიწყდება, რომ ამ ტექსტს ჰყავს „უფროსი“ მკითხველიც და თუ მის გაუხეშებულ სულს არ უნამალა, ისე არაფერი გამოვა. სხვანაირად მშობელი ვერასდროს შეძლებს შვილის აღზრდას იმ მოქალაქედ, რომელიც საკუთარ ქვეყანას შეიყვარებს, შეძლებს სხვათა თანალმობას და როგორც წმინდა

კალამი ეჭირა. ეგ რა წიგნია-მეთქი, ვკითხე. ეს ჩემი ლექსები და მოთხრობებიაო. მეორე კაცს კი შლაპა ეხურა და მხარზე ყუთი ჰქონდა გადაკიდებული. ყუთი გახსნა, იქ ფუნჯი და საღებავები აღმოჩნდა. მე ჩემი სახატავი რვეული გავუწოდე და კაცმა ხატვა დაიწყო. იგი ცხოველებს ხატავდა. დახატა თირაფი, აქლემი, ლომები, დათვი, კატა, დიდი თეთრი ღორი, დათვი თავის ბელებიანად“...

რომ იცოდეთ, ამ სიზმარს რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი — კაზო ჰყვება, რომანში რამდენიმე მთავარი პერსონაჟია. ზოგიერთს ჩამოგივთვლი: მევილინი — გოგონა კაზო, კნუტი კამა — ფლეიტისტი, თავუნა კირკიმელი — მედოლე, ბიჭი გინგუ ფაგოტზე უკრავს, ლეკვი ამუ კონტრალასზე დამკვრელია და, როგორც ხედავ, შესანიშნავი ჯგუფია, არა?!

ყველა ეს პერსონაჟი, რეალური და არარეალურიც, ულამაზესი ზღაპრული ტროლეიბუსის მგზავრია.

ტროლეიბუსი თბილისის ქუჩებში შენ არ გახსოვს. არ გახსოვს, როგორი ჭრიჭინითა და ტააჩით დაყვავდით გაჩერებიდან გაჩერებამდე და რაც მაშინ მამრავებდა (ნელა დადიოდა, გადაჭედული იყო), ახლა სულ სხვაგვარად მაგონდება.

თუმცა... ტროლეიბუსი — ასტარონი იმ ძველებური ტროლეიბუსის მსგავსი როდია, იგი ოცნების მატარებელია (ოცნების მატარებელი კი ისეთი წარმომადგენელია, როგორსაც მარკ შაგალი ხატავდა)... და მგზავრებთან ერთად სიმბოლოა იმ ნანატრი სამშობლოსი, ყველა ქართველს გულისგულში რომ უფეთქავს, ასე რომ ველოლიანებით და ანდერძით თაობიდან თაობას გადაცემთ!

ეს ყველგან მაგალი მატარებელი, მისტიური, კოსმოსური ხომალდივითაცაა, ზეციურ საქართველოს თანამედროვე ყოვასთან აერთებს. ლამობს, გადაარჩინოს სააქაოს დარჩენილი ქართველობა, ჩვენი ტრადიციები, ქართული ენა, მშობლიური მინა-წყალი, სიკეთე დაამკვიდროს დედამიწაზე. სხვანაირად შეუძლებელია, სხვანაირად არც კაცობრიობას და არც საქართველოს მომავალი არ უწერია — აი, რისი თქმა სურს მწერალს!

თან, არ დაგავიწყდეს, ნაირა გელაშვილის საყმაწვილო მხატვრულ ტექსტებში ერთმანეთს „ხვდება“ და ჰარმონიულად თანაარსებობს ქართული და ევროპული კულტურული მემკვიდრეობა.

მაგალითად, „მამლის მატარებელი“ ჯორჯ ორუელის „ცხოველთა ფერმას“ თუ მოგვაგონებს, სადაც ნოვალისის, სადაც, მეტერლინკის, აკუტაგავას და სხვათა და სხვათა ლიტერატურული ალუზიებიც გამოკრთის (ეს შენ აუცილებლად უნდა შეამჩნიო) და... აქვე, ევროპელ ნოვატორთა გვერდით (სკოლამდელი ასაკისთვის განკუთვნილ შესანიშნავ ზღაპრებში) ვაჟა-ფშაველას სულიც ცოცხლდება.

ასეთი საინტერესო და მრავალფეროვანია ნაირა გელაშვილის საყმაწვილო ლიტერატურა.

\*\*\*

მამები იტყვიან, ნამდვილი მოყვასი შეიქმნება!

ეს რთულია, ფაქიზია, სათუთი! ხომ გინახავს ცირკში ან კიდევ ექსტრემალური სპორტის მოყვარულები ბაგირზე, უდაზღვევოდ რომ გადიან, ოდნავი ბიძგი და... განწირული ხარ! ჰოდა, მერწმუნე, მწერალიც ასეა, მით უფრო თუ ყმაწვილოთათვის წერს.

ნაირა გელაშვილიც ბენვის ხიდზე შემდგარა, ცხოვრების უფსკრულს ჩასცქერის... და რაკი ასეთ რისკზე შეგნებულად მიდის, თავის მოვალეობებსა და შესაძლებლობებს რაციონალურად აფასებს. ამიტომაც, თამამად ვიტყვიან, ახალ ქართულ ეპოსს ქმნის: მისი პერსონაჟები: ცხოველები, უსულო (გასულიერებული საგნები) და ადამიანები ერთდროულად, მთლიან მხატვრულ ქსოვილში, ერთ ტექსტში, ჰარმონიულად თანაარსებობენ; თხრობაში შემოჰყავს ქალმერთი დალი და იქვეა ილია, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებავშილი, ფიროსმანი (მათი მდიდარი შემოქმედება, მათივე პერსონაჟებიც). ისეთ ფანტასმაგორიულ სურათებს აღწერს, შეუძლებელია, მკითხველში ემოცია და ფიქრი არ აღძრას.

ნიმუშისთვის მაგალითს მოგიყვან ტექსტიდან: „ერთ კაცს ჩოხა ეცვა, ხელში წიგნი და

რულებზე, გეტყვი, რომ ამავე წიგნში დაბეჭდილია ოთხმოქმედებიანი პიესა — პოლიტიკური პამფლეტი. პიესას ეწოდება — „ტროლეიბუსი ასტარონი და აივნებიანი ქალაქი“, (ეს ის ნაცნობი ტროლეიბუსია „ტროლეიბუსი ასტარონი და მისი მგზავრების“ მთავარ პერსონაჟად რომ გვევლინება). სადაც, ზოგჯერ, ლამის დოკუმენტური სიზუსტითაა აღწერილი ჩვენი ქალაქის უახლოესი წარსული, თუ როგორ ვანგრევდით და ვანადგურებდით (და მგონია, არც ახლა შეცვლია მაინცადამაინც არსებული სურათი) ყველანი ერთად ჩვენს საყვარელ თბილისს და მის მშვენიერებას — ძველ, ნამდვილ ქალაქს.

არ მისხვებია, აგრეთვე, საინტერესო ორიგინალური ციკლი — „სანდროს ლექსები“. ამ ციკლში რამდენიმე ქართული ხალხური ლექსის მოტივებზეა შექმნილი, ზოგიერთი კი იაპონურ ტანკასაც მოგაგონებს, უცნაური სიმშვიდე ჩაგვერება სულში.

ამ ყველაფერზე აუცილებლად ვისაუბრებთ... აუცილებლად!

მომავალ შეხვედრამდე... იმედია, ამ გაზაფხულზე მაინც ჩამოხვალ სამშობლოში...

შენი მოსიყვარულე დედა



მეგობარო, ეს არ არის წიგნი, ხელი ახლე და კაცს შეეხები... უოტ უიტმენი

პარბა ხანია, რაც „არაბულის მასწავლებლის“ მოლოდინში ვიყავით ყველა, ვისაც გიორგი ლობჯანიძის ნაწარმოები ეძვირფასება. მოლოდინს ორი მიზეზი ჰქონდა – პოეზიის სიყვარული და ავტორის სიყვარული. ვინ უარყოფს, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ქართული სიტყვიერების გამდიდრებას თუ ვინმემ დასდო ამავგი, ჩვენი მეგობარი მათ შორის ერთერთი უპირველესია და ვინ დაინყებს იმის მტკიცებას, რომ გიორგის სიტყვას გულის მიძვრა-მოძვრა არ შეუძლია?!

ამ მოლოდინით სავსეებს მოგვეცა ახალი წიგნი, როგორც საჩუქარი და ჯილდო, ჯილდო, რაკილა ყველა შემთხვევა, რაც ჩვენს ენას ქმედითსა და აქტიურს გახდის, თითოეული ჩვენგანისთვის დიდი საჩუქარია. მიხარია, რომ ჩვენი ენა ასე თამამად და თამამ-თამამ მიმოიქცევა, მიხარია, რომ ამ მიმოქცევებს შეუძლია, აღმოსავლეთის ორ დიდ „ვეშაპს“ თავისი ცოდნით მოაწონოს თავი, კიდევ ერთხელ დაგვიახლოვოს და დაგვაახლოვოს. მიხარია და აღმოვაჩინე, რომ აღმოსავლეთმცოდნეობა ჩვენს ქვეყანაში უფრო მასშტაბურ ხედვას იტევს, ვიდრე ევროპეში, რაკილა უძველესი კულტურები თავის თავში მოიცავდნენ ყველა მხარეს და ორიენტაციას.

არაბულისა და სპარსული ენების მუსიკალობით სავსეს, ამ ორი უდიდესი, გემივით ჩაძირული კულტურის კიდევანდნ, უფრო დიდი დიაპაზონი ეშლება, უფრო დიდი საჭვრეტელი ეხსნება და ამიტომაც მისი პოეზია სხვა ენების სიტკბოს ინსპირაციით კი არ შემქნილა, არამედ, მხოლოდ განაყოფიერდა, გაივსო და სამყაროს გადასწავდა ჩვენებურად, ქართული სიუხვით და დიდსულოვნებით. ამიტომ გიორგი ლობჯანიძე რომელიმე სპარსელ ან არაბ პოეტს კი არ მაგონებს, მით უმეტეს, ადრეული თუ გვიანი შუასაუკუნეებიდან, არამედ მსოფლიო პოეტს, ყველა დროის უდიდეს ჰუმანისტს, კოსმოპოლიტიზმის სიდიადით სავსეს, ყოვლად არააღმოსავლელს, არამედ ამერიკელ უოტ უიტმენს, მსოფლიოს რომ ესალმებოდა დიდი და „ახალი“ ქვეყნიდან.

მასშტაბები დიდი მადლია ხელოვანისთვის, მით უფრო ახლა, როდესაც მსოფლიოს უდიდესი ნაწილი მის ენაზე, უიტმენის ენაზე ლაპარაკობს. არც კი ვიცი, იქნებოდა უიტმენი ის, ვინც იყო, ინგლისურად რომ არ ეწერა, ამერიკაში რომ არ დაბადებულიყო, ინგლისურ ენას მსოფლიოს უდიდესი სივრცე რომ არ დაეპყრო და ამ ენაზე რომ არ იხსნებოდა მთელი მსოფლიოს დღევანდელი ეკონომიკური თუ კულტურული თვალსაწიერი. რაც არ არის, არც ვიცი და ვერც დავიფიქრობ, მაგრამ როდესაც მუქისოდენა ქვეყანაში დაიბადები, მუქისოდენა ხალხი იმეტიყველებს შენს ენაზე და შენი თვალთახედვა მსოფლიოს გადასწავლება, ვიცით, რომ ეს პოეტის თვალსაწიერია და იმ ენასა და ხალხსაც უკვდავყოფს, ვინც ამ ენათა ჯგუფსა და ამ გეო-პოლიტიკაში „განათავსა“ ბედმა თუ ბედისწერამ.

სასიხარულოა, რომ ის ენა ვიცით, ყოველ შემთხვევაში, იმდენი მაინც, რომ სხვა მრავალთან ერთად, გიორგი ლობჯანიძის ლექსის სიღრმეს ჩავწვდეთ და გულში გავიტაროთ. ასე მგონია, ქართულს უხარია, როცა ასე ექცევიან თავნება და გაბედული პოეტები. მას იღებენ, აღლობენ, კარგად ზეუენ, ათვინიერებენ და რაღაც ფორმას, არცთუ ისე მყარსა და არცთუ ისე მყიფეს, ყველას სათავაზობენ. არც დაიმსხვრევა, არც დაიმტვრევა, მოირგებს ასეთ ფორმებს და კიდევ ერთხელ დაიბადება. ეს მხოლოდ მისი ერთ-ერთი შესაძლებლობაა, მხოლოდ ამ კაცის ხელიდან გამოსული და ამ კაცის ბავთაგან წარმოქმნილი.

ეს ენასა და მის დიაპაზონზე, მაგრამ ლექსი უთემოდ არ თქმულა და ჩვენც უნდა ვთქვათ, რომ თემები, რომლებსაც ავტორი ააქტიურებს, იმდენად საყოველთაო და სამარადჟამოა, რა დრო უნდა დადგეს ისეთი, რომ მასზე ფიქრი თუ მასზე წერა აღარ ისურვონ. სამშობლო, რომელსაც სახე შეზღაღვია, მეგობარი, რომელიც მომკვდარა და გვენატრება, მეგობარი, რომელიც ცოცხალია, მაგრამ უფრო მეტად გვენატრება, რაკილა მოუხელთებელია, უსახ-

სრობა, რომელიც პოეტის მარადი ხედვია, მით უფრო, საქართველოში, ხორციელი ვნებები თუ სულიერი ტკივილები — ერთერთი განმსჭვალულნი და ერთმანეთზე აღმატებულნი. რა აღარ სტკივა პოეტს, რომელიც „ერთი ცრემლით მეტია ჩვენზე“.


ეს წიგნი ტკივილების წიგნია, ტკივილების მანიფესტაცია და ნავსაყუდელი.

უფრო პოეტურად ანუ უფრო მეტაფორულად აჯობებდა მასზე დანერა, მაგრამ როგორც გამომდის, ისე ვწერ. რატომღაც მთელი ჩემი განცდები ასე დალაგდა, მწყობრად, ერთობ პროზაულად და მეც არ ვებრძვი. იქნებ იმიტომ, რომ ამ პოეტური ფორმის მინიჭებამდე პოეტის ალელვების საგნები ძალიან პროზაულები და საცოდავებიც იყვნენ, მაგრამ ლექსმა ასე გააკეთილშობილა და, საერთოდ, სალექსო ფორმებისთვის რომ არ მიეკვლია ადამიანს, რა უნდა ყოფილიყო ჩვენი ყოფა?! — ერთი გაბმული დარდი და ბოღმა, რომელიც ყველაფერს ნალექავდა. ეს ხუმრობასავით, რომელშიც ნახევარი სიმართლე მაინც დევს.

კრებული ავიღოთ, ყდიდან დავიწყოთ და ბოლომდე მივდივით.

მაკო ჯანჯიბუხაშვილი

ჩამი (გ)ლოჯანიძე, ჩამი უიტმენი...



სათაურად გამოტანილი „არაბულის მასწავლებელი“ უკვე პოეტური ნოუ-ჰაუა, რომლის კონოტაცია ორ მსხვილ ხედს წარმოაჩენს – ასე აქტუალურსა და ყურადსაღებს. ერთი თავად არაბული ენაა, რომლის ხსენება უამრავ ასოციაციას აღძრავს, დანყებული ჩვენი ისტორიული წარსულიდან, ჩვენი კულტურული მემკვიდრეებიდან, დამთავრებული არაბული ენისა თუ არაბული სახელმწიფოების თანამედროვე კონოტაციით. ალბათ, ისტორიული მნიშვნელობისა და თანამედროვე მდგომარეობის გამო, ამ კულტურის განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელოვნების გამო ჩვენთან ურთიერთობისას, ამჟამად კი – მთელს მსოფლიოსთან, ამ სიტყვის ძირის ხსენებისას ყოველთვის ჩნდება მრავალმხრივი, ურთიერთგამომრიცხავი ასოციაცია და მის ყველა სემანტიკას არსებობის ლეგიტიმური უფლება აქვს, თვით ყველაზე აგრესიულსაც. არაბული ერთდროულად არის დახვეწილი, ჯიშინი, ლამაზი, მშვენიერი, იდუმალი და, საუბედუროდ, საშიშიც. ასეთი პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულის, თუნდაც, სრულიად „მშვიდობიანად“ გამოტანა ლექსის და, მით უმეტეს, წიგნის სათაურში, თავისთავად განსაზღვრავს წიგნის „ბედისწერას“ და, როგორც ვატყობთ, ეს ბედისწერაც ისეთივე მრავალპლანობიანი და საინტერესო უნდა იყოს, როგორც არის სიტყვა „არაბული“ ჩვენს მესხიერებაში. ხოლო კაცი, რომელიც პოეტია და, ამავე

დროს, არაბულის მასწავლებელი, ისევე მასშტაბურად უნდა ფიქრობდეს და ისეთივე პოეტური მასშტაბურობით უნდა გამოირჩეოდეს, როგორც არაბული და როგორც, ზოგადად, მასწავლებლის, გურუს, მენტორის, მოძღვრის როლი ითავსებდა ოდითგან დღემდე. ამ მასშტაბურობისა და სიღრმის გამო ეს კრებული სერიოზულ მოვლენად მესახება თანამედროვე წიგნების ზღვაში და ვისურვებდი, ყველა ოჯახს ჰქონოდა მისი წაკითხვის და გააზრების საშუალება.

რატომ ვანიჭებ ამ წიგნს ასეთ დიდსა და სერიოზულ მისიას.

პოეტური ფორმებით და მეტაფორათა გამოგონებით „სითავხედით“ ველარავის გააკვირვებს დღევანდელი პოეტი, მით უმეტეს, საქართველოში, სადაც ყველა პოეტი დანტა და სადაც დანტეზე დიდი პოემა უკვე შექმნილია (პოეტური ფორმის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, სხვა მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ შედარება „ღვთაებრივ კომედიასთან“ და მათ შორის პირველ-მეორეობაზე ლაპარაკი სისულელედ მიმაჩნია), სადაც „ივლისისფერი ყინვის თასეზე“ და „არაჩვენებური ხილვების“ სინამდვილეზეც დანერილა. მოკლედ, პოეტური

ფორმით გაკვირვების უამი კარგა ხნის დასრულებულია, არც გენიოსობის შესაძლებლობა არსებობს, მხოლოდ მედიუმი შეიძლება იყოს პოეტი თუ, ზოგადად, ხელოვანი. რა აღარ ვნახეთ და, მათ შორის, ფორმათა ისეთი „დეფორმალიზაცია“ კი, რომ ხანდახან ფორმა თავისი უფორმობით უფრო გამოაგნებულა, ვიდრე სხვათა მიზანით შექმნილი ეპიგონური ქმნილებები. ესეც ფორმაა, რასაც სიურრეალიზმი, სუპრემატიზმი თუ სხვა დეკადენტიზმები გვთავაზობდნენ, ხოლო „შავი კვადრატი“ ფორმათა განუსაზღვრელი პოტენციის შესაძლებლობადაც შეგვიძლია აღვიქვათ და ფორმათა უკიდურეს ამონურვადაც, გააჩნია, საიდან „მიანათე“, „შავი კვადრატი“, დღეს კიდევ უფრო მძაფრი შინაარსით რომ დატვირთულა.

ამიტომ ვამბობ, ფორმით ველარავინ გაგვაოცებს და არც გიორგი ლობჯანიძის კრებულს ექნება ამის პრეტენზია, მაგრამ ფორმაში თუ მხოლოდ ლექსის მხატვრულ ხერხებს არ ვიგულისხმებთ, რომელიც ვერსიფიკაციური თავისებურებებით გამოირჩევა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ლექსები თავისი ფორმით, რაკილა ერთადერთი ავტორის მიერ შექმნილი რეალობებია (ავტორის საკითხს აღარ ჩავუღრმავებთ), მხოლოდ ერთჯერადი და განუმეორებელი არიან, მხოლოდ ამ ერთი პოეტის ტკივილებზე აკინძულან, მხოლოდ მისი გულის სისხლი უსვამთ და ამიტომაც მისი ხმით აღწევენ ჩვენს ყურებამდე თუ გულისყურამდე.

რა იქნებოდა არაბულის მასწავლებელი, მხოლოდ არაბული ენის მუსიკა, მისი „ფაყალა“ ზმნის (რომელიც კეთებას ნიშნავს) თავისებურებები რომ ენახებოდა და ის არაბეთი არ გახსენებოდა, შაჰიდებს რომ ზრდის და არა მხოლოდ იმ ერთი უდიდესი ქვეყნის ხალხს ეხება 11 სექტემბერს, არამედ მსოფლიოს აზანზარებს თავისი საშინო დაბნელებით და ყველა, ვისაც ამ ენაზე მეტყველება შეუძლია, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას ამ ანტიკულტურული პოლიტიკის ნიაღში დაბადებულ აგრესიაზე. ასე ესმის ქართველ არაბულის მასწავლებელს, მით უფრო, პოეტს. არა მხოლოდ სხვებზე პასუხისმგებლობა, არამედ მათზეც, ვინც ამ „ხარაკირს“ ეწირება შურისძიების ცეცხლით აყვანილი. ლექსი „შაჰიდები“ ისეთივე ტკივილით არის დანერული, როგორითაც კოხინჯრობისას ნანახი დეგრადირებული თანამემამულეების ღრეობა, თუ უფრო მეტი ტკივილით – არა, რადგანაც ერთგანსულიერება დაცემულა, მეორეგან კი სულ-

საც და ხორცსაც ერთად ელევინა.

მსოფლიო მასშტაბების ჭრილობი კიდევ ერთი მარადი თემა მიუყვება ლექსების კრებულს – მეგობრობა, მეგობრის სიყვარული, მისი დაკარგვის სევდა და მისი სიცოცხლით სიხარული, განშორების და დაკარგვის შიში და ის სავსეობა, რასაც ამგვარი ოდინდელი კულტურული კომუნიკაციის ფორმა აძლევდა ადამიანს. ერთგვარი ვნებით და ემოციით არის სავსე მეგობრებისადმი მიძღვნილი ლექსები და რაოდენობითაც იმდენად შთამბეჭდავია, რომ უსათუოდ ძალიან განსხვავდება ჩვენი მარტოსული პოეტების ვაებისაგან. გიორგი ლობჯანიძის ლექსის სისხლსავსეობა და პოეტური „ხორციელება“ ძალიან ჰგავს აღმოსავლურ კულტურას ზოგადად – მდიდარს, ხორციულს, უხვსა და ბარაქიანს. სადაც მინას იმაზე დიდი ვალი და ფუნქცია აქვს, ვიდრე მოფარფატი პოეტებს ესმით. ამიტომაც არის ძალიან ნაღდი და ფარისევლობისგან თავისუფალი, რომ კი არ კეკლუცობს და ზე-ზე-ზე-ზე კი არ გვაოცნებებს, აქაურობას ავარაყებს უხვი ფერებით, რომელიც მინაზე ბევრად მეტია და ბევრად უფრო „ჩვენიანი“. მინის პოეტია გიორგი ლობჯანიძე, მინიერი ადამიანის ხატება შეჰყვარებია, მაგრამ მინის განსულიერება უფრო რთული და უმადური საქმეა, ვიდრე პელებისა და ყვავილების საგალობლების უფურთული.

ის უფრო მახსოვს, უიტმენი როდის შემეყვარდა და როდის განმსჭვალა სამარადისოდ ჩემი გული, ვიდრე გიორგი ლობჯანიძე. უფრო სწორად, არც მახსოვს, როგორ, კონკრეტულად რით შემოვიდა ან უკვე ჩემი მეგობარი ჩემს მესხიერებაში თუ ჩემს გულში, მაგრამ ის კი ვიცი, რომ უიტმენი ჩემთვის მეხის დაცემა იყო, მაგრამ ისეთი კი არა, წარმართულ-ზეგისებური, ნაფლეთებად რომ გაქცევს, არამედ, მეხი, რომელიც დაგეცემა, გამოგანართობს და სხვა პოეტების გაგონებისას ყურიც „გაგიდლებს“. ამიტომაც, უიტმენი ჩემი საკუთრება მგონია და როდესაც ვინმეს მას მივამსგავსებ, უფრო სწორად, როდესაც ვინმემ მას გამახსენებს, ვხვდები, რომ მანაც ან უიტმენის მეხი „იგემა“, ანდა უბრალოდ, იმ პოეტთა ვარსკვლავზე დაიბადა, მსოფლიო რომ უყვართ და არასოდეს ემუქრებათ ვინრო სივრცეში გამომწყვდევა. უიტმენი ჩემი საზომია ადამიანობის, განღმერთობის, თანამედროვეობის, კეთილშობილების, მარადიული თანამგზავრობის. გიორგის ლექსებმა თავისი დიდი სიყვარულით და მასშტაბურობით სწორედ უიტმენი გამახსენა და არა რომელიმე აღმოსავლელი და არა იმიტომ, რომ მათ ნაღდი პოეტები აკლდათ, არა, უბრალოდ, თანამედროვე დიდი სამყაროს ხმა ამერიკელი კოსმოპოლიტის ერთი გაფურცდა და ეს არის თანამედროვეობის დეტერმინანტი, თანამედროვეობისა, რომელსაც შესაძლოა აღმოსავლური სიბნელით ცათამბჯენებიც კი ჩამოუმსხვრიო და ათასობით მშვიდობიანი კაცი მოუკლა, მაგრამ ისე დადგება ფეხზე, რადგან მარადიულად მიმართავს მსოფლიოს მის ენაზე მეტყველი ულამაზეს-თვალეზიანი კაცი Salut au monde! ჩვენ კი, პატარები, ვის ენასაც მხოლოდ მისი მოსახლეობის მცირე პროცენტი თუ იყენებს სწორად და მართებულად, დროდადრო ვხვდებით მოშობილი პოეტებისა, რომელნიც თავიანთი დიდი თვალსაწიერიდან მაინც ახერხებენ და თამამად შესძახებენ მთელ დედამიწას: გაგიმარჯოთ ყველას! მე თქვენ მიყვარხართ! და ძალიან მიხარია, რომ ამჯერად, ამ შემთხვევაში ეს არის პოეტი, რომელსაც ქართველის გარდა, მსოფლიოს ორ დიდ ენაზე შეუძლია მისაღება მთელი ცივილიზებული სამყაროსადმი. ეს პოეტი კი აქ ცხოვრობს, ამ ქალაქში და ყველა მარტოსულს უწვდის ხელს, როგორც უიტმენი მთელ მსოფლიოს...

\*\*\* ქალაქი, სადაც ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთზე, დიდ გაუგებრობაში არის ჩაძირული... ათას ლამეში გამოკეტილი ვარსკვლავი ვარ და მხოლოდ იმას ვაგუნათებ, ვისაც სხვისა კი არა, თავისი თავისაც ველარ გაუგია, ვინც მარტოობის ნისკარტებით არის აკენილი.



შუალამისას სიმღერის ხმა შემომესმა:

„მონადირისგან დაჭრილი წერო, სხვის ბაღ-ბოსტანში სულს

რომ ლაფავდი,

მე რა ვიცოდი, შენ თუ წერო ხარ, მონადირისგან დაჭრილი წერო“...

ხმაზე ვიცანი. ამ სიმღერას თავის რადიო-პიესაში თავადვე ასრულებდა. სხვათა შორის, კარგად მღეროდა. რაღაცნაირად თბილი, სიმშვიდის მომგვრელი და სულში ჩამწვდომი ხმა ჰქონდა.

თავდაპირველად მეგონა, რომელიმე მეზობელს რადიო ჰქონდა ჩართული და ამ ძველ პიესას გადმოსცემდნენ, მაგრამ თანდათან ხმა რომ ჩემს კარს მოუახლოვდა, აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. თუმცა ფიქრი ვინ მაცადა, დაუკაკუნებლად შემომილო კარი, ნებართვა არც ითხოვა, ისე შემოვიდა. თან უზარმაზარ კიდობანს მოათრევდა. ნამძინარევი თვალებს ვიფშვნიტდი და გაცოცხლებული შევყურებდი.

ისეთი ახლო ურთიერთობა არასოდეს გვქონია, რომ გაუფრთხილებლად მსტუმრებოდა, თანაც შუალამისას.

30 წლის წინ გავიცანი „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში. იქ ჩემი მეგობარი ლელა ნიქარიშვილი მუშაობდა და მეც ხშირად ვსტუმრობდი. კარგი დრო იყო, უდარდელი... სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ რედაქციაში სახელდახელო პურ-მარილი იმართებოდა ხოლმე. ნუგზარი ამ ყველაფრის სული და გული იყო თავისი შეუდარებელი სიმღერით და გულის სიღრმეიდან ამოთქმული სადღეგრძელოებით. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, აღარ შევხვდებოდით (თუმცა მის მეუღლესთან ვმეგობრობდი).

წლების შემდეგ მარტყოფში შევხვდით ერთმანეთს.

მასხოვს, იალნოს მთის შესახებ იკითხა რაღაც და შემდეგ დიდხანს გაჰყურებდა დაფიქრებული. მწერლური ალღო კარნახობდა, რომ უბრალო მთა არ უნდა ყოფილიყო. მართლაც, იალნოს დასავლეთ კალთაზე დღათვის მამათა მონასტერია, სადაც იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატი ინახებოდა (ამჟამად ეს ხატი დაკარგულია და, როგორც ამბობენ, გამოჩნდება „საჭირო დროს“), რომელიც ასურელ 13 მამათაგან ერთ-ერთ წმინდა მამას – ანტონ მარტომეყოფელს ჩამოუბრძანებია საქართველოში. აქვეა მისი სვეტ-კოშკიც, სადაც ეს წმინდა მამა ყოფილა დაყუდებული.

მაშინ გავიფიქრე, რომ ამ მთის შესახებ ნამდვილად რამეს დანერდა, რომელიმე მოთხრობაში გამოიყენებდა... თითქოს უცებ დრო გაჩერდა. სივრცეიდან თვალწინ მოვივლიე სტრიქონებმა გამიბრინეს, მაშინ ვერ მივხვდი, რა იყო ეს – ჩემი წარმოსახვა თუ რაღაც სხვა? აი, ახლა, ლამის 15 წლის შემდეგ ვხვდები, რომ ეს ჩემი მომავალი ესსეს სტრიქონებად უნდა ქცეულიყო...

ისევ ღამისეულ სტუმრობას დავუბრუნდეთ და ხის კიდობანს, ერთი შეხედვით უბრალოს რომ ჰგავს, სინამდვილეში კი „უძვირფასესი საგანძურია“. სხვა თუ არაფერი, თუთის ხისაა და თავად მისგან ვიცი, თუთის კიდობანი პურს დიდხანს ინახავს. მან ეს ამბავი თავის პაპისგან იცოდა, პაპამ კიდევ თავის მამა-პაპისგან, ალ-

ბათ. თანაც მის დამზადებას რამდენი შრომა სჭირდებოდა...

„თუთას შემოდგომაზე ან ზამთარში მოსჭრიდნენ და დამორავდნენ. გაზაფხულზე სამასალე ხის მოჭრას ერიდებოდნენ, რადგან ამ დროს ხე სუსტია და მისგან დამზადებული ნივთი უსათუოდ გასკდება. ამასთან, ხე ძველ მთვარეზე უნდა მოეჭრათ, თორემ ახალ მთვარეზე მოჭრილს ჭია უჩნდებოდა.

თუთის მორს სამხერხაოზე წაიღებდნენ, დახერხავდნენ და ფიცარს მშრალში ისე დააწყობდნენ, რომ თანაბრად გამხმარიყო, არ დაბრუნდებოდა. სულ ცოტა ერთ თვეს მაინც ელაგათ ვერც ერთი თვის შემდეგ დურგალს მიუტანდნენ. დურგალი იმ ფიცრებს გარანდავდა, გაასუფთავებდა, ღარს ამოუღებდა, ზომაზე დახერხავდა და კიდობანს ააწყობდა“.

კიდობანი წინასწარ მომზადებულ განსაკუთრებულ ადგილზე დაიდგებოდა და შიგ პურს ინახავდნენ...

სწორედ ეს თუთის ხისგან დამზადებული კიდობანი ახლა ჩემს ოთახში დგას და მისი მომტანიც იქვე იატაკზე მოკალათებულია. ცნობისმოყვარეობა არ მასვენებს: ნუთუ კიდობანში „ჩათაკული მახლიანი პურები“ გამომასპინძლებდა? ის კი სულაც არ ჩქარობს, გამომცდელ მზ-

თამარ იაშვილი

ღამის სტუმარი

ერას არ მაშორებს, თითქოს მამონებებს, მზად ვარ თუ არა „საჩუქრის“ მისაღებად. ოთახში პურის მადისალმძვრელი სურნელი დატრიალდა...

ვისაც ნუგზარ შატაიძის „პურის მოთხრობა“ წაუკითხავს, დაემთხინება, ალბათ, რომ სერიოზული ნაშრომია, თითქმის სამეცნიერო. ავტორს ზედმიწევნით აღუწერია პურის გამოცხობის პროცესი (ფქვილის გაცრიდან დაწყებული ცომის თონვით ჩაკვრით დამთავრებული): ხორბლის მოყვანა, მიწის მოხვნა, თესვა, დაფარცხვა, მოსავლის აღება, ძნებისა და ზვივნების აგება, ნისქვილი... მართლაც რომ შესაძლებელია სიზუსტეა, მცირე დეტალიც კი არ გამოორჩენია. თუმცა ვერც ერთი სამეცნიერო ნაშრომის კითხვა ვერ მოგანიჭებთ იმ სიამოვნებას, რასაც ამ მოთხრობისგან იღებთ, (თავად ავტორს „პურისა“ რომ დაურქმევია), ვერ გავრძობინებთ ჯეჯილის „კურდღლაობას“, მზეკაბანით ჩაგვირისტებულ მწიფე ყანების სიმფონიას და ხობაბუნების სილამაზეს „მორთულ-მოკაზმულ, მომლოდინე პატარძალს“ რომ დამსგავსებოდნენ, ვერ მოგასმენინებთ მწყერების ქვიტკიროს და ჭრიჭინების „კრიმანჭულს“.

ეს მხოლოდ „პურის მოთხრობას“ შეუძლია, მხოლოდ ნუგზარ შატაიძეს ძალუძს, ისე გაქციოთ საკულტო რიტუალების თანამონაწილედ, რომ მის გმირებთან ერთად ტკბილი, „ძარღვების მომდუნებელი ორთველაც იმდროით“ და საუკუნეს მიტანებული, დაბრმავებული გუთნისდების – ილა ხიზამბარელის სევდაც გაიზიაროთ დანგრეული თონეების, მოშლილი წისქვილების, გამქრალი კალოსა და კვერის, ხარისა და გუთნის, ტაბიკისა და აპურის გამო.

ახლა შემოდგომა – მოსავლის აღების დრო და ტკივილამდე მძაფრდება სევდა: გლეხკაცი მიწას ველარ უვლის, მოუხვნელი და დაუთესავი რჩება, სამყოფი ხორბალი აღარ არის და პურიც უცხო ქვეყნიდან შემოტანილი უხარისხო ფქვილით ცხვება...

უნებურად გარდასულ დღეთა ნოსტალგია შემომანვა და ჩემს თვალწინ ისევ გაირბინეს სურათ-ხატებმა, როგორც თავად მწერალს წარმოუდგა ძველი კიდობანის ნახვისას, თითქოს ის ბნელი სხვენი კინოთეატრის ჩაბნელებული დარბაზი ყოფილიყო...

„ზოგჯერ გაიღვებდა დიდი ხნის წინათ გარდასულ, საყვარელ ადამიანთა სახეებიც, იმათი მზეზე გახუნებული თავშელები, სპეტაკი ხილაბანდები, ნაბდის ქუდები, მატყლის წინდები... ისინი რახანია წასულიყვნენ, სათითაოდ გაკრეფილიყვნენ და თან წაეღოთ დაკოჭრილი, მაგრამ მაინც ლბილი და ალერსიანი ხელები, მტკივანი სახსრები, მუქდაკლებული თვალები, გატეხილი გულები“...

„ზოგჯერ გაიღვებდა დიდი ხნის წინათ გარდასულ, საყვარელ ადამიანთა სახეებიც, იმათი მზეზე გახუნებული თავშელები, სპეტაკი ხილაბანდები, ნაბდის ქუდები, მატყლის წინდები... ისინი რახანია წასულიყვნენ, სათითაოდ გაკრეფილიყვნენ და თან წაეღოთ დაკოჭრილი, მაგრამ მაინც ლბილი და ალერსიანი ხელები, მტკივანი სახსრები, მუქდაკლებული თვალები, გატეხილი გულები“...

„ზოგჯერ გაიღვებდა დიდი ხნის წინათ გარდასულ, საყვარელ ადამიანთა სახეებიც, იმათი მზეზე გახუნებული თავშელები, სპეტაკი ხილაბანდები, ნაბდის ქუდები, მატყლის წინდები... ისინი რახანია წასულიყვნენ, სათითაოდ გაკრეფილიყვნენ და თან წაეღოთ დაკოჭრილი, მაგრამ მაინც ლბილი და ალერსიანი ხელები, მტკივანი სახსრები, მუქდაკლებული თვალები, გატეხილი გულები“...

...პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს... პური და ღვინო – როგორც ჭემ-მარიტებასთან ზიარების სასწაული.

„ღვინის მოთხრობა“ ნუგზარ შატაიძეს არ დაუნერია, თუმცა რომ დაენერა, საუკეთესოდ დანერდა, მასზე უკეთ ვერავინ „მოეფერებოდა“ ამ ღვითურ სითხეს. გახსოვთ, „მოლხინო“: „გადააცალა კაცმა ქვევრის პირს საფენი და გამოჩნდა ღვინის მუქი, ლაპლაპა ზედაპირი. უცებ, რაღაც სასწაულის ძალით, ის ზედაპირი აშხივლდა, ამოყარა ზემოთ წინწკლები და ზედ პატარა, მოცახცახე წრეები დაიჩინა. ამოჩქროლდა ღვინის საამო სურნელიც, მოედო მთელს მარანს... მოლოცვლებით თაფრაბრლები დავცქერით ქვევრის ყელში მოლიციციე ღვინოს და იმისი სურნელით გაბრუებულები ხმას ვეღარ ვიღებთ.“

მოლოცვლებით ვიდექითო – ამბობს – ღვინის სურნელით გაბრუებულებით, და აი – „ხელში გალიციციელებული ჭიქა მიჭირავს, ვილოცები, მერე პირთან მიმაქვს და ვსვამ... ვგრძნობ, როგორ მცემს ღვინის წინწკლები სახეში, რანაირად მიშლამავს ენასა და სასას სქელი სითხე, როგორ ნელ-ნელა მიხურდება ლოყები, ყურები... ცარიელ ჭიქას ხონჩაზე ვდგამ და გაკვირვებული ჩავიცქირები ქვევრში.

ჩვენი მასპინძელი კი უკვე დიდ, შავფერა ჩაფს აყურყუმელავებს ღვინოში, აბუყბუყებს, ავსებს და ზემოთ რომ ამოსწევს, იმას წკრილით გასდის გამჭვირვალე ნვთები.“

...ახლა ახალგამომცხვარი პურის სუნით გაბრუებული ღვინის წინწკლებს ვგრძნობ სახეზე და „ზიარებისთვის“ ვემზადები. ისიც ხვდება, რომ უკვე მზად ვარ „საჩუქრის“ მისაღებად და კიდობანს თავს ხდის.

...პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს...

ჰოი, საოცრებავ! კიდობნიდან ერთმანეთის მიყოლებით ამოაქვს ძველი, გაცრეცილ-გაყვითლებულ ფურცლებიანი წიგნები და იატაკზე აწყობს. მერე ფურცლავს და კითხვას იწყებს...

მისი ერთი პატარა ნოველა გამახსენდა, თავისი სოფლის სამკითხველოზე რომ წერდა. მართალია, მე თბილისის სკოლა დავამთავრე, მაგრამ ჩემი სკოლის პატარა ბიბლიოთეკა ისე ჰგავდა მწერლის მიერ აღწერილს, რომ ვერაფრით განასხვავებდით ერთმანეთისგან და როგორც ნუგზარ შატაიძე შორეულ წარსულში, მეც ათი წლის ასაკში ბიბლიოთეკარობაზე ვოცნებობდი. ის კი არა, უჩუბრად ხასხასა ნითელ ტუჩის საცხსაც კი ვისვამდი, რომ ჩვენს ბიბლიოთეკარს დავმსგავსებოდი...

ნოველას სვედიანი დასასრული აქვს: სოფელში ჩასულ მწერალს სამკითხველო დანგრეული დახვდება ხოლო წიგნები „საფრედ“ დატაცებული... „ხშირად ვფიქრობ ამაზე... ვფიქრობ, მაგრამ სასიკეთო ვერაფერი მომიფიქრებიაო“, – ამბობს ავტორი.

...და აი, მოიფიქრა, როგორც ჩანს. მთელი სოფელი ოჯახ-ოჯახ მოუვლია, გადაჩრჩინილი ძველი წიგნები მოუგროვებია, პურის კიდობანში ჩაუწყვია და ჩემთვის მოუტანია... მოუტანია, როგორც პური ჩვენი არსობისა...

მისი ნაკითხულიდან მხოლოდ ფრაგმენტები დამამახსოვრდა. მას შემდეგ რამდენჯერმე გადავიკითხე მწერლის მოთხრობები, თუმცა მსგავსი ვერაფერი ვიპოვნე. მივხვდი, ჯერ კიდევ დაუნერულ ნოველებს მიკითხავდა, „აჭაშნიკება“.

თურმე რამდენი დარჩენია დასაწერიო...

პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს... ახლა ხომ ეს „პურიც“ უცხოეთიდან შემოგვაქვს. ზოგი მართლაც ხარისხიანი „ფქვილით გამოცხვარი“ (ნათარგმანები), ძირითადად კი უხარისხო, მაკვანი და მავანი საუკეთესოდ რომ „ასალეხს“. და მკითხველსაც რაღა დარჩენია?! ხორბალი თუ არ დათესე, ვერც მოიძკი... ამიტომაც უფრო ხშირად „სხვის პურს“ ვჭამთ და ეს სულაც აღარ გვანუხებს.

და ყველაფერთან ერთად „დავინყებას მისცემოდა უამრავი სიტყვაც და მართა-

ლია, მინა ისევ იმოსებოდა მწვანე ბალახით, ისევ ჭიკჭიკებდნენ და უსტვენდნენ ჭრელი ჩიტები, მაგრამ ახლა იმათ სახელეები აღარ ჰქონდათ – უსახელოდ ყვაოდნენ, უსახელოდ ჭიკჭიკებდნენ...

ნუგზარ შატაიძე სწორედ ამ დავინყეებული სიტყვების აღდგენას ცდილობს. ის თავისი საოცრად მდიდარი ლექსიკით გვხიბლავს, გვაჯადოებს, ზღაპრის ბურუსში გვხვევს...

ის არ გვიკითხავს მორალს, არასოდეს გვარიგებს ჭკუას, ის თავად განიცდის, უხარია და სტკივა თავის გმირებთან ერთად, მათთან ერთად ცხოვრობს...

შატაიძე „კეთილი“ მწერალია. მას ყველა უყვარს... უყვარს ადამიანები და თანაუგრძნობს მათ, უყვარს ცხოველები, ჩიტები, ბალახები და ყვავილები... მკითხველიც მის შემოქმედებას ემოციურად იღებს, თანამონაწილედ, თანაგანცდილი ხდება.

ხშირად მწერალი თავად არის თავისი ნაწარმოებების მთავარი გმირი (ან იქნებ არც არის და მე მეჩვენება ასე?!).

მისი „ბებერი მგელი“ ჩემი საყვარელი ნოველაა (შედეგია, მე თუ მკითხავთ). რატომღაც მგონია, რომ წერის დროს შატაიძე თავს იმ მგელთან აიგივებდა, თავად იყო, საკუთარ სატკივარზე წერდა... და როცა იგრძნო, „რომ იქ, იმ გაღმა ნაპირზე მისთვის განკუთვნილი ადგილი გამონთავისუფლდა, გამონთავისუფლდა იმავე ნაპირის სურვილითა და იდუმალ ნებით“ („გაღმა ნაპირი“), და როცა „ბოლოს, ნეტარებისმომგვრელმა, უცხო ბურუსმა ჩამოიარა, უკანასკნელად ასწია თავი, წამოიწია და გაცოცხლებლად დაინახა, როგორ მიჰქონდა ვარდისფერ ნისლს მისი ბებერი, უსიცოცხლო სხეული შორეული ქვეყნებისაკენ“ („ბებერი მგელი“).

ან იქნებ მშობლიური მიწის სიყვარულმა სძლია, არსადაც არ წასულა, უბრალოდ „ზემოთ აუყვა. ნელი, მძიმე ნაბიჯით აიარა ბალახგადავლილი ბილიკი, თავში ავიდა და ვაშლის დაფუტურობებულ კუნძულზე ჩამოჯდა. იჯდა და უცნაურ ბურუსში წასული უყურებდა ვენახს, სიადანაც რაღაც სვედიანი სიმშვიდე მოდიოდა. ის სიმშვიდე მის დაკემსილ გულს მალამოდ ედებოდა“ („ვენახი“).

იქნებ ახლაც იქა ზის და გადმოჰყურებს ვენახს (ვისაც ნუგზარი თავის ერთი ხელისგულსიოდენა ეზოში თალარის ქვეშ პატარა სკამზე ჩამომჯდარი უნახავს, ეს არ გაუკვირდება).

იქნებ ჩვენც გადმოგვეყურებს... ხანდახან კი გვესტუმრება ხოლმე შუალამისას.

იმედით მაქვს, ისევ მოვა, რადგან დაუმშვიდობებლად წავიდა. თანაც კიდობანი ჩემთან დატოვა. და როგორც ვიცი, ბავშვობაში როცა უფროსებზე გამწყურალი კარს გაიჯახუნებდა და სახლიდან წავიდოდა, დედა მიაძახებდა: სად მიდიხარ, აქ მოგიყვანს პურის კიდობანიო... და ისიც ყოველთვის ბრუნდებოდა.

გამთენიისას ისე უეცრად გაქრა ჩემი ოთახიდან, მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი. თუმცა სადარბაზოდან კარგა ხანს კიდევ მოისმოდა მისი სიმღერა:

„მე რა ვიცოდი, შენ თუ წერო ხარ, მონადირისგან დაჭრილი წერო“...





I  
 იმ საყოველთაო პოლემიკის ფონზე, რომელმაც კარგა ხანია, დიდი საგამომცემლო სახლებიც მოიცვა – ხმაურიანი სახელების „შექმნაში“ რომ უფრო არიან გამეცადინებულნი, ვიდრე ღირსეული ავტორების გამოვლენაში, ან ხშირად, როქის პრინციპით ინერტულად იმეორებენ ძველ გამოცემებს – არაერთგზის დადასტურდა, რომ გამომცემლობის ჭეშმარიტი საქმიანობა ძიებაა და წიგნის პოპულარიზაციაში პატარა გამომცემლობები გაცილებით ნაყოფიერად ენევიან. თუმცა აქ განზოგადებისაგან თავს შევიკავებდი, ვინაიდან სანინალმდეგო შემთხვევებიც მქონია, მაგრამ ზემოთქმულის თვალნათელ დასტურად თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ „გამომცემლობა ლადოლი“, რომელიც წინამდებარე პოემით — „ჯაკომო პონტი“ — იტალიელ მკითხველს თანამედროვე ქართული პოეზიის უმნიშვნელოვანესი ფიგურის, 2011 წლის ნობელის პრემიის კანდიდატის დათო მალრადის შემოქმედებას სთავაზობს.

პოემა „ჯაკომო პონტი“, რომელსაც ზაზა შათირიშვილი ბოლოსიტყვაობაში „მრავალუბრობრივ ეპიკურ ისტორიას“ უწოდებს, ჩემი აზრით, უსათუოდ იმსახურებს ნაკითხვას არაერთი მიზეზის გამო: უწინარესად იმიტომ, რომ წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით, ღირსსაცნობი და მონოლითური მხატვრული ნაწარმოებია (რაზეც ქვემოთ ვისაუბრებ), მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, იმის გამო, რომ წარმოაჩენს ფუნდამენტურ საკითხს – ურთიერთობას პოეზიასა და საზოგადოებას შორის; ამასთან ერთად, გვთავაზობს ურთიერთობას განსხვავებული კულტურული ტრადიციების მქონე ორ ქვეყანას შორის, და ეს ბუნებრივია – ასე ხდება ხოლმე, როცა ლიტერატურული ნაწარმოები უცხო ენიდან ითარგმნება.

იმას, ვინც თანამედროვე იტალიურ და, ზოგადად, დასავლურ პოეზიას კარგად იცნობს, საკუთარი თვალთახედვის დიოპტრის (ზუსტი სარკის) ადაპტირება და ყურადღების განსხვავებულად მომართვა მოუწევს, რათა პოემა „ჯაკომო პონტის“ მოსასმენად საგანგებოდ მოემზადოს. არ მინდა, ეს ჩემი ნათქვამი ხობტად ან კრიტიკულ შეფასებად გაისმას, ან იმ ბანალურ ფრაზად ჩამომერთვას, ხშირად რეცენზიებში რომ შეხვდებით, მაგრამ იმას კი დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ამ პოემის ფესვები უდავოდ ეპიკურ ჟანრშია საძიებელი (შემთხვევითი არ არის, რომ ჯულიანო ლადოლი წინასიტყვაობაში პომეროსთან ავლებს პარალელს) და აღფრთოვანებას იწვევს თავისი განმარტებელი ბუნებრივობით, რაც თითქმის წარმოუდგენელია იტალიაში და, საერთოდ, დასავლურ სამყაროში.

რატომ?  
 უმთავრესად იმიტომ, რომ „ჯაკომო პონტის“ ეპიკური მონათხრობი იმთავითვე ნათელყოფს ავტორის მრწამსს, მეტიც, ავტორისავე ცხოვრების მაგალითზე საცნაურს ხდის, რომ საზოგადოებაში პოეტის უმნიშვნელოვანესი და შეუცვლელი ფუნქცია აქვს. ამის დასტურად საკმარისი იქნებოდა პოემის შემდეგი პასაჟების მოხმობა: „ვდგავარ იქ, სადაც ქარიშხალია და ანგელოზი არის ნაცემი; ქარებთან შებმა ჩემი ვალია...“ (გვ. 44) და კიდევ: „ჩემი კანონი – სიტყვის კონანი,/შევიკონე, როგორც საუკუნენი“ (გვ. 45). ეს ფუნქცია საქართველოში არსებული რეჟიმის – რომლის უშიშარი ოპოზიციონერია მალრადი – და გამაღებელი კონსუმიზმის (მომხმარებლობის) ეპოქის მიერ სადავო გამხდარა, უკიდურესად გაუფასურებულა, მეტიც – გათელილა.

მოვლენათა ამგვარ ვითარებაში იკვეთება დრამატიზება ერთი მხრივ პოეტის ფიგურისა და მეორე მხრივ ხელისუფლებისა, რაც მთელი ნაწარმოების მთავარი სიუჟეტური ხაზის ფუნქციას ასრულებს და არაერთგზის გაუქმდებდა ორივე მხარის მწვავე დაპირისპირების ფონზე. ხელისუფლების ძალა კორუმპირებული სასამართლოშია, რომელსაც „ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ოდნე დანამატს“ (იტალიური გამოცემის ბოლოსიტყვაობა, გვ. 94); და რომელიც ცდილობს, დაადუმოს პოეტი ჯაკომო პონტი; ეს უკანასკნელი, ჩემი აზრით, არამხოლოდ ალტერ-ეგოა მალრადისა, (სიტყვა „პონტი“, როგორც შესავლიდან შევიტყობთ, „ფიქციას“ ნიშნავს), არამედ კულტურისა და მშვენიერების

ხორცმესხმული სიმბოლოც გახლავთ.  
 ასე რომ, მალრადი ჭეშმარიტად ერის სახელით ლაპარაკობს, იმ ერისა, რომლის განუყოფელი ნაწილია და რომლის თავისუფლებისათვის იბრძვის, ქრისტიანულ რწმენაში განმტკიცებული ჰუმანურობით: „თქვენ – დამნაშავეს ეძიებთ ჩემში, მე – ადამიანს დამნაშავეში“. ისევე, როგორც ბალკანელი პოეტის სიდრანის (აბდულაჰ სიდრანი, პოეტი, პროზაიკოსი და სცენარისტი. დაიბადა 1944 წელს სარაევოში. მთარგმნელი), უნგრელი რადნოტი (მიკლოს რადნოტი, უნგრელი ებრაელი პოეტი, დაიბადა 1909 წელს; 1944 წელს ნაცისტებმა დახვრიტეს საკონცენტრაციო ბანაკში. მთარგმნელი) და სხვა არაერთი დიდი პოეტის შემოქმედებაში, მალრადის პოეზიაშიც ისტორია იმაზე მეტად რეალურია, ვიდრე სინამდვილეში; ჩავგვრას და ცენზურას ადგილი აქვს ყოველდღიურ რეალობაში და ელიოტიდან მოყოლებული ევროპული მოდერნიზმის მიერ თავს მოხვეული კომპლექსური ფილტრები (ირონია, ალუზიები, ავტორის ხმის დისპერსია – განხვევა) ერთხელ და სამუდამოდ ინგრევა. როგორც ბოლოსიტყვაობაში ზაზა შათირიშვილი შენიშნავს, დათო მალრადის პოეტიკა „ხაზგასმულად სადა და ვიდე კასტილიონე დათო მალრადი — ქართველი პოეტი და მოქალაქე. პოემა „ჯაკომო პონტი““

და ტრადიციულია“, რითაც საქართველოში შეჭრილ მოდერნიზტებს და მათ გავლენას უპირისპირდება, რამეთუ „სალიტერატურო კანონი ისლამურია“ (იტალიური გამოცემა, გვ. 89).

მალრადის პოეტიკასთან ღრმა სიახლოვის განცდით, თავის შთაბეჭდვად და მგზნებარე წინასიტყვაობაში ლადოლი მწვავედ აკრიტიკებს „მეოცე საუკუნის პოეტურ ექსპერიმენტებს, ძალა რომ გამოაცალა პოეზიას, სიტყვა სინამდვილისგან განძარცვა და უარყო პოეზიის ჭეშმარიტი მონოდება, რომლის არსიც ადამიანთან ადამიანზე საუბარია“ (გვ.5 იტალიური გამოცემა). ამიტომაც მიმაჩნია, რომ ლადოლის ეს ინიციატივა – ქართველი პოეტის წიგნის დასტამბვა – კიდევ ერთი დასტურია მის მიერ სწორად წარმართული საგამომცემლო საქმიანობისა, რისი მოწმე ადრეც გავმხდარვარ; მაგალითისთვის, ჩემ მიერ რეცენზირებული ანდრეა იტალიანოს პოემა და ახალგაზრდა ავტორთა პოეტური ანთოლოგიაც იკმარება. ამ წიგნებში წარმოჩენილი პოეზია ღრმა კომუნიკაბელურობით ხასიათდება, რაც tout-court (უბრალოდ, რბილად რომ ვთქვათ) უპირისპირდება არამხოლოდ ავანგარდისტულ იდეოლოგიას, არამედ, თვით შედარებით ზომიერი ავანგარდისტების შემოქმედებით-სტილისტურ ხელნერსაც. ცხადია, წინამდებარე რეცენზიის მიზანი ამაზე მსჯელობა არ არის, მაგრამ აქა-იქ ნამოჭრილი სპორადული პოლემიკა არ კმარა და დროა, ამ მნიშვნელოვანი თემის ირგვლივ საფუძვლიანი დისკუსია გაიმართოს.

მანამდე კი ასეთ შეკითხვას დავსვამდი: შესაძლებელია თუ არა, ან მისასაღმებელი მაინც, მსგავსი ფანრის პოეზია იტალიაში, სადაც კულტურა, პოლიტიკური ვითარება და ისტორიული ფაზა ქართული სინამდვილისგან არსებითად განსხვავდება. უდავოა, საუკეთესო სამოქალაქო პოეზია გვაქვს (სერენი, ფორტინი, პაზოლინი, როვერსი, დი რუშო, მეზა და აქ უთუოდ ვახსენებდი დე ანდრეს თავისი ლექსი-სიმღერით „მიცვალებულთა კვირადღე“, თუმც ამით სრულებითაც არ მინდა, პოეტებსა და ავტორ-შემსრულებელთა შორის დიდი ხნის წინ დაწყებულ კამათს ცეცხლზე ნავთი დავასხა ამ ჩვენს ისედაც პოლემიკის სასაპარეზოდ ქვეულ ქვეყანაში). და მაინც იტალიაში პოეტი ნაკლებად ჰეროიკულ ფიგურად წარმოჩინდება, ერთიდაც გამოწვევას, გაცილებით პასიური და დამცრობილიც, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არ ერიდება მოდერნიზმის მიერ დამცვირებული სტილისტური განხვევებისგან გადახვევას.

ფაქტია, რომ ინტელექტუალის (და პოეტის) ფუნქცია ორმოცდაათ წელზე მეტია, კრიზისის განიცდის და დღესდღეობით ლამის გაუჩინარებულია: აქედან გამომდინარე, თავისთავად გასაგებია, რომ არსებული ვითარების შეგუების და გულგაბეზობის, ანდა ჰეროიკულობის მოკლევ-

ული მარგინალიზების მაგალითები უფრო მეტია, ვიდრე ისეთი „ძლიერი“ (მაგრამ თავის კონტექსტში ბუნებრივი) პიროვნებებისა, როგორც მალრადი. ქართველი პოეტის ამგვარი პოზიციის გადმოტანა, ყოველგვარი დამცავი მექანიზმის და დადაპტაციის გარეშე, იტალიური პოეტიკის დისკურსში ბევრ კრიტიკულ შეხედულებას, ზოგჯერ თავისებურად გამართლებულსაც, ვენებას მიაყენებდა.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მსგავსი პროცესი პოლემიკის გამოწვევას, საზოგადოებრივი ხასიათის ხელახლა შექმნას არ გამოირცხავს და ვინდო კოლექტიურ სიკეთედ შემობრუნდეს, მაგრამ იტალია, როგორც კოლექტივი – ამისთვის ჯერ მზად არ არის. ეს პიპოთეზა სიფრთხილით, კონკრეტული ტექსტების, რეალური პოეტური პროდუქციის გამოწვლილით განხილვის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს, რაც, ვიმედოვნებ, მომავალში განხორციელდება.

ეს ვრცელი შესავალი იმისათვის დამჭირდა, რომ ჩვენი მკითხველი კულტურული და ლიტერატურული დებატებისადმი ინტერესს თუ არ იჩენს, ჭეშმარიტ პოეზიასთან ზიარების სურვილი მაინც

რდება. ამგვარად, მეორე თავის „სასამართლო დარბაზის“ სტრიქონებში ჯაკომო პონტი კავკიანური ბრალდებებისგან ამაყად იცავს თავს (თუმც, ჯერ არ ვიცით, რაში სდებენ ბრალს პოეტს): „მე, მოქალაქე, ჯაკომო პონტი, როგორ, რა გზითაც გინდა მთაროთ, რასაც მამბობლობთ, ეგ არი პონტი, პონტი არ არი, რომ ვალი-არო“ (გვ. 27 იტალიური გამოცემა). ადვოკატის მიმართ გამოთქმული სარკაზმი („ეს ადვოკატიც ერთ ადგილს აქნევს, კარგად სცოდნია მუცლური ცეკვა“ (გვ. 27, იტალიური გამოცემა) საყოველთაო უნდობლობის გამოხატულებაცაა მათ მიმართ, ვისაც სიმართლის დაცვა ევალება, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა და სიმამაცე აკლია.

თავად პოეტი გახლავთ „ბოცმანი, ქალაღის ნავების ფლოტის“ – ამ სტრიქონმა უნებურად გამახსენა მსგავსი პოეტური ხატი ეუჯენიო მონტალეს ლექსისა, რომელიც მეგობარ პოეტს კამილო ზბარბაროს მიუძღვნა: „ფერად ქალაღებს კეცავს ზბარბარო, თავნება ბავშვი, რომ ააშენოს ციციქა ნავები ქალაღის ფლოტის“.

მთელ წიგნს ამშვენებენ რელიგიური, ისტორიული თუ მითოლოგიური ღირსსახსოვარი პერსონაჟები: იესო, მოსე, სოკრატე, აქილევსი, პრომეთე, რომელთაც, ეპიკური ტრადიციის თანახმად, წარსულიდან გამოიხმობს ავტორი და აწმყო-სთან დიალოგში ჩართავს; სწორედ მათგან იღებს ესტაფეტას ის პერსონიფიცირებული იდეალი, რომელსაც ჯაკომო პონტი წარმოადგენს. აქ მთავარი გზავნილი არის ძმობა და თანასწორობა („დე, თეთრი ირმის დავკარგო კვალი/და პოეზიის მფარავდეს ცა ნუ!/თუ ერთნაირად არ მივცე ვალი/ფერმკრთალ მადამს და ხალიან ხანუმს.“ გვ.38). საქართველო – აღმოსავლეთისა და დასავლეთის კარი, ბუნებრივია, მრავალ ეთნოსთა თავშეყრის მიწაა, რომლის პერსონიფიცირებას პოეტი საკუთარ თავში ახდენს: „ვარ ერთი წყლის ორი სათავე,/გნებავთ, დამარქვით ბოსფორის სრუტე“ (გვ.42).

მალრადის სოციალურ-კულტურული ბრძოლა ორ ფრონტზეა გაშლილი: შიდა და გარე ფრონტზე. ქვეყნის შიგნით არიან ცრუ პატრიოტები, რომელნიც: „იკვლევენ ჩვეულ ცუნცულ-სუნსულით/ ტოლსტოის სისხლის შემადგენლობას“ (გვ.48). ქვეყნის გარეთ კი დასავლური ამოებება: „გუჩი“ გვთავაზობს ახალ სუნამოს“ და „შანელმა კატებს დაუთმო სახლი“, მაშინ როცა „იაპონიას მისწვდა ცუნამი“ და „ლიბიამ გახსნა ახალი ფრონტი“.


პოემის არაერთი პასაჟის მოტანა შეიძლება, სადაც ავტორი ერთი ოსტატური მონასმით, მთელი სიმძაფრით ახასიათებს პოლიტიკის, სექსის, ფარისევლობის მანკიერებას: „შეყვარებადი საუბრობს გოგო,/ლიბერალიზმის მომდგარი ქაფით“ (გვ.52); ანდაც „რეფორმის“ (გვ.53) სტრიქონები, ეპიგრამის ფანრში რომ არის გადანაცვლები და დღეს იტალიურ პოეზიაში, ვეჭვობ, მსგავსი დაიძებნოს. თუმცა პოემას არც ლირიული და აღმსარებლობითი ტონი აკლია, თუნდაც ასეთი: „კრძალვით ვეტრფავდი საყვარლის მერდისს,/არა ვპრანჭავდი კეკლეცად ხაზებს,/დღესასწაული მტკიოდა, – ვწერდი, /შეკავებული ცრემლების ზღვარზე“.

ის, რამაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ვისურვებდი, ხშირად მეხილა იტალიურ პოეზიაში, მოქნილი სტრიქონები და მათი ინტონაციური მრავალფეროვნება: მწვავე პოლემიკური ტონიდან დაწყებული მედიტაციურ აღსარებად და ეს ყველაფერი გადმოცემულია ბრწყინვალე სტილისტური პომოგენურობით (თანაზომიერებით), რაც პოემას მთლიანობას, მონოლითურობას ანიჭებს (ცხადია, ვითვალისწინებ იმ ფაქტს, რომ საქმე თარგმნილ პოეზიასთან გვაქვს და რაკი ორიგინალის ენას არ ვიცნობ, სიფრთხილეს ვიჩენ გადაჭარბებულ შეფასებაში).

მთავარი ის არის, რომ საქმე გვაქვს ლადოლის მართლაც მისასაღმებელ ინიციატივასთან, რომლითაც შესაძლებლობა გვეძლევა, ჩვენი, ძალიან ხშირად ვინრო საზღვრების მიღმა გავიცნოთ ჭეშმარიტი და ღირსშესანიშნავი პოეტი.

თარგმანი 11

თარგმანი 11  
 თარგმანი 11  
 თარგმანი 11



გაუჩნდეს. სწორედ ასეთად მესახება დათო მალრადის პოეზია, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

II  
 გაღაპრებულნი წიგნი და მივყვეთ ლექსის მდინარეებს. პოემის პირველსავე თავში სათაურით „წინასიტყვაობა“ თვალში გვეცემა პოეტური ენის სისადავე და დამაჯერებლობა: „ეს კაცი ეგრე ლაპარაკობს,/ ეგრე წუხს, ეგრე ლაპარაკობს,/სულის სარჩოდ და საბარაქოდ“. „უბრალოდ, ეგრე ლაპარაკობს“ (გვ. 19, იტალიური გამოცემა). დაწერილი პოეტური ლექსიკა, რომელიც ამბავს ბუნებრივი და არა ხელოვნური ხერხებით გვანვინებს („ლაპარაკობს“), კომპენსირდება ელემენტარა სინტაქსური წესრიგის ვარიაციებით, რეპრიზის ეფექტით, რაც მონოტონურობას თავისთავად გამოირცხავს.

ვრცელ თავში „პროლოგი“ მწარე გულგატეხილობა გამოსჭვავს: „ახალ კოსტუმსაც დაედო მტვირი, არც რამე ხდება საამკოსტუმე“ (გვ. 21, იტალიური გამოცემა), და კიდევ, უსარგებლობისა და ინერციის (რაც მაგონებს ვიტორიო სერენის ლექსს „დაუსრულებელი კვირადღე“, რომელშიც ომის შემდგომი იტალია აღწერილი) აშკარა განცდას იწვევს ამ უმშვენიერესი სტრიქონების ინტონაცია და სახეები: „ჩვენ კი, ჩვენ ალბათ ჩვეულ მეთოდით/ მყრალი არაყით გავიყვანთ სანგარებს,/ აბა, რა უნდა გავაკეთოთ!-ი, შევადგენთ ლამაზ ქალებს ნაკრებს“ (გვ. 24, იტალიური გამოცემა).

თუმცა პოემის მთავარსაქმელი – დიალოგის დრამატიზაცია პოეტსა და არსებულ ხელისუფლებას შორის, რომელსაც დასაწყისში გაკვერთი შევებ, პირველივე თავის შემდეგ („ნუთისოფელი“) სცნაუ-





ოქტომბრის დასაწყისში, ჩვეულებრივად, მწერალთა სახლის ფეისბუქის გვერდზე გამოქვეყნებული აფიშის საშუალებით, არაერთი საინტერესო ღონისძიების შესახებ საზოგადოებას წინდანი ეწყა და მრავალმა ადამიანმა უმაღლესი „მონობით“ დაადასტურა დასწრების სურვილი და მზადყოფნა. თუმცა 6 ოქტომბრის საღამოს მასპინძელი, პოეტი და მთარგმნელი გიორგი ლობჯანიძე, როგორც თავად აღნიშნა, მანც არ ელოდა, რომ ათეულობით კაცისგან შემთავლილი ვირტუალური „მომონს“, ანუ, ამ შემთხვევაში, „მოვდივარ“, იმდენივე ან უფრო მეტად ამიანს შეკრება მწერალთა სახლის სარკეებიან დარბაზში. მესამე კრების, „ბაბუნაძეების თაგული“ დასტამბიდან ათი წლის თავზე გამოსულმა ახალმა წიგნმა „არაბულის მასწავლებელი“ მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია და პრეზენტაციაზე გიორგის მართლაც ძალიან ბევრ გულშემატკივარსა და დამფასებელს მოუყარა თავი. ძალიან მიხარია ამდენ ხალხს რომ გხვდავთ, ჩემ თავზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ როცა პოეზიას შეუძლია, ასე გაავსოს დარბაზი, ესე იგი, რაღაც კიდევ ფეთქავს ამ ქვეყანაში — განაცხადა საღამოს მასპინძელმა.

„არაბულის მასწავლებელი“ გამომცემლობა „საუნჯემ“ გამოსცა. წიგნის პრეზენტაციაზე გამომცემლობა და მისმა ხელმძღვანელმა თანამედროვე ქართული პოეზიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებისა და ზრუნვისთვის დიდი მადლობა მიიღეს ავტორისგან. გიორგი ლობჯანიძემ მადლიერება გამოხატა წიგნის დიზაინის ავტორის, თეა აკობიას და პოეტ მარიამ ნიკოლაურის მიმართ. ამ უკანასკნელის მონადინებით აქამდე გამოქვეყნებულმა ლექსებმა მაგიდის უჯრიდან წიგნის ფურცლებზე გადაინაცვლეს, როგორც პოეტისგან მოთხრობილი ფერადოვანმა სიზმრებმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრაზე, ორი სამყაროს ურთიერთობაზე, ორი საპირისპირო სანყისის სვლაზე ერთმანეთისკენ. ამგვარ ქარგაზეა გაშლილი ბევრი ლექსი კრებულიდან. არც სიზმარი მისხენებია შემთხვევით, რადგან ავტორმა ლექსის წერა სწორედ სიზმარს შეაძარა, ღამეულ ზმანებას, რომელსაც რამდენიმე მეგობარს თუ გაანდობ მხოლოდ. იქნებ ამიტომაც არ ჩქარობს ხოლმე ახალი კრებულების გამოცემას და უფრო ხშირად თარგმანს შეფარებული გვესაუბრება. თუმცა, როგორც საღამოს სტუმარმა, ლია სტურუამ აღნიშნა — როგორ კარგადაც უნდა იცოდეს გინდ უცხო, გინდ მშობლიური ენა, როგორადაც უნდა ფლობდე თარგმანისა თუ წერის ტექნიკას, არაფერი გამოვა, თუ არ ხარ კარგი პოეტი. ამიტომაც არ გაკვირვებია ქალბატონ ლიას გიორგი ლობჯანიძისგან კარგი ლექსი. თბილი სიტყვები არ დაიშურეს სხვა გამომსვლელებმაც, მათ შორის იყო ეთერ თათარაიძე, რომელმაც ასე შეაფასა მწერალი: „ის ჩვენს კულტურას დიდ დონედ უდგას, ამას მომავალში უფრო დააფასებენ, ჩვენ ხომ ასეთი ხალხი ვართ. მოუარეთ გიორგი ლობჯანიძეს“...

\*\*\*

ბიძი შაჰნაზარის არაჩვეულებრივი თარგმანების კიდევ ერთხელ მოსმენის სურვილმა მწერალთა სახლში მრავალ ადამიანს მოუყარა თავი. ამ დარბაზში სი-

საქართველოს მწერალთა სახლში, ინტენსიური სარესტავრაციო სამუშაოების პარალელურად, შემოქმედებითი საღამოები, ავტორებთან შეხვედრები, ახალი გამოცემების პრეზენტაციები გრძელდება. ალბათ, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ხშირად სტუმრობენ მაჩაბლის ცამეტს, განსაკუთრებით ცხოველია განცდა, რომ თბილისის საესე და მდიდარი ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობს.

## ვირტუალურიდან რეალურ „LIKE“-მდე

ტყვის თქმას თავისი წონა და ფასი აქვს — ბრძანა შეხვედრის დასაწყისში ბატონმა გივიმ და შემდეგ, მთელი საღამოს განმავლობაში, ფეხზე მდგომმა იკითხა თარგმნილი ლექსები. სთხოვდნენ, დაბრძანებულყო, დაესვენა, მაგრამ ამ დარბაზს ვერ ვაკადრებ, ვიჯდე და ასე ვისაუბროო. თანდათან მსმენელის თვალწინ საოცარ ქართულზე ამეტყველდა „დიდი პოეტების ერთი პატარა ნაწილი“. არ აქვს მნიშვნელობა, შეძლებს თუ არა ქართველი მკითხველი ორიგინალის ენაზე ნაიკითხოს ის ნაწარმოებები, სომეხმა ავტორებმა რომ შექმნეს, ვინაიდან თხზულებათა საოცრად ქართული ჟღერადობის, ფორმისა თუ ხასიათის გამო, ექნებათ განცდა, რომ ლექსებს დედანში ეცნობიან ან ისინი ქართულადაა დაწერილი. თარგმანის მთავარი ღირსება ხომ სწორედ ესაა. აკი ბრძანა კიდევ საღამოს მასპინძელმა — ალბათ, როგორც ყველა სხვა მთარგმნელს, ყოველთვის მქონდა და მაქვს შინაგანი მღელვარება, იქცევა თუ არა ჩემ მიერ თარგმნილი ტექსტები იმ ლიტერატურის ნაწილად, რომელსაც ქართული ლიტერატურა ჰქვიაო. ნაკითხულმა თარგმანებმა კიდევ ერთხელ თავადვე გასცეს პასუხი ამ შეკითხვას.

საღამო XIII-XIV საუკუნეების ცნობილი სომეხი ლირიკოსის, ნაჰაპეტ ქუჩაკის ლექსით გაიხსნა და თანდათან, პოეზიასთან ერთად, თითქოს ხილული გახდა ისტორიის ის ძაფები, ქართულ და სომხურ კულტურებს რომ აკავშირებს ერთმანეთთან. გაჟღერდა XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო სომეხი პოეტის, პარუიერ სევაკის ლექსები, ასევე IX საუკუნის სასულიერო ჟანრის ავტორისა და დიდი მოაზროვნის, გრიგორი ნარეკაციის „გოდებები“. ბატონმა გივიმ საინტერესოდ მოუთხრო დამსწრეთ იმ შინაგანი სირთულეების, განცდების შესახებ, „გოდების მატინეზე“ მუშაობას რომ უკავშირდებოდა — ნარეკაციის მთარგმნელი ხომ მასავით შეკრული უნდა ვყოფილიყავი რწმენით, სულიერების სიღრმეებს უნდა ჩავენდომოდიო. ალბათ, ყველა მთარგმნელს, დიდი შემოქმედისა და ღრმა რელიგიური მოაზროვნის წინაშე მდგარს, ერთხელ მაინც განუცდია მსგავსი რამ, გასჭირვებია, გაებედა თარგმანთან შებმა, გაძნელებია თანავტორობა, მაგრამ შემდეგ დაუძლევი შინაგანი წინააღმდეგობანი. ბატონი გივისთვის მეგობარ პოეტს უთქვამს — გივი, განაგრძე თარგმნა. იცოდე, ნარეკაციის ცოტაც დიდი არისო. ასე გაცხადდა ქართველი მკითხველისთვის გრიგორი ნარეკაციის ნააზრევი.



საღამოს მასპინძელმა საზოგადოებას სომეხი და რუსი პოეტების ლექსების ძველი და ახალი თარგმანები წაუკითხა. იმ

დღეს სტუმრებმა საყვარელ მთარგმნელთან შეხვედრითა და პოეზიით იჯერეს გული...

\*\*\*

ბრძანადაა პროექტი ბავშვები მწერალთა სახლში და ტრადიციული შეხვედრები მაკა მიქელაძესთან. ყოველ შაბათს სარკეებიან დარბაზში სასწაული ხდება — იქაურობა საათნახევრის განმავლობაში წარმოსახვის, გამოგონების ადგილად იქცევა და შეკრებილი პატარების თვალწინ, და მათივე მონაწილეობით, წიგნის სამყარო დაშლილ ტექსტებად, პერსონაჟებად, ნახატებად, ფურცლებად ჯადოსნური გზებით იწყებს აკინძვას, ერთიან სახეს იღებს და წიგნად გარდაიქმნება. ამ პროცესსა და თამაშში ბავშვებს ქალბატონი მაკა და სხვა მიწვეული სტუმრები ეხმარებიან. სწორედ თამაშ-თამაშით „დაინერა“ წიგნები ლელა ცუცქერიძესთან, ვასო გულეურთან, გურამ პეტრიაშვილთან, მიხეილ ანთაძესთან, მხატვარ ნინო ჩაკვეტაძესთან ერთად. ყოველ ჯერზე ქალბატონი მაკა პატარებს წარმოსახვის ფერად ნარმოუდგება, ის ხან მთის ლავანდისფერი კუდიანი დედაბერია, ხან კატისებრთა ოჯახის ლურჯ-მწვანე მრავალკუდა, ხან — რა და ხანაც — რა.



იმ დღეს, 12 ოქტომბერს, მწერალმა მოგზაურის სახე შექმნა — პატარებს ჭოგრიტით, კომპასით, ქუდათა და სათვალით „შემოსილი“ გამოეცხადა და ბავშვებთან ერთად, უკვე მერამდენედ, ლექსისა თუ მოთხრობის მდინარეში შეცურა. ამ მხატვრული ჯადოსნობისთვის მწერალთა სახლის ოქროსფერი, სარკეებიანი დარბაზი სწორედ რომ შესაფერი ადგილია, იქ ყოველ შაბათს პატარებს საშუალება აქვთ, თავად გასცენ პასუხი ბავშვობის უმთავრეს შეკითხვას: „როგორ კეთდება?“ აი, ასე... და მოაქვთ ხელნაკეთი წიგნები, ნახატებით გაფორმებული ფურცლები, სტებლერით შეკრული „გამოცემები“ ან რეჟულში ჩაწიკნიკებული გამოგონებები.

იგეგმება შეხვედრა გამომცემლებთან და გამომცემლობის ყველა რგოლის მუშაკთან, რათა ბავშვებმა იცოდნენ, რამდენად შრომატევადია ეს საქმე და, როგორც ქალბატონი მაკა ამბობს, უყვარდეთ არა მხოლოდ კითხვა, არამედ წიგნც. „შაბათობას“, ძირითადად, 6-8 წლის ბავშვები სტუმრობენ, თუმცა 12 წლისანიც სიამოვნებით უსმენენ ავტორებს და თანავტორები ხდებიან. მწერალთან შეხვედრის დიდი ნაწილი ნაწარმოების კითხვას ეთმობა. უკითხავენ, სანამ არ მოწყინდებთ, შემდეგ კი პერსონაჟებისა და სიუჟეტების გამოგონებას ბავშვები იწყებენ. პროცესით თითქოს ნაკლებად ინტერესდებიან შედარებით უფროსი ბავშვები, მოზარდები, რომელნიც კომპიუტერში დაეუფლნენ წიგნის აგების ტექნიკას. კომპიუტერთან მუშაობის შესწავლას, მართალია, პროექტიც ითვალისწინებს, მაგრამ იქამ-

დე მნიშვნელოვანია, პატარებმა გაითავისონ, რომ მონიტორსაც „სჭირდება“ კლასიკური კანონებით დაწერილი ტექსტი, „სჭირდება“ გამოგონი და სასვენი წიგნების გამოყენების ცოდნაც კი.

რამდენიმე ხნის წინ მაკა მიქელაძის მიერ „მწვანე სკოლაში“ დაწყებული პროექტი — გახდი წიგნის ავტორი — ახლა უკვე მწერალთა სახლში გრძელდება. ქალბატონი მაკა, გარდასახული სხვადასხვა გმირად, ყოველ შაბათს პატარა მწერლებს ელის, პატარები კი უფროს მწერლებთან შესახვედრად მოიქარაიან...

\*\*\*

მწერალთა სახლი კვირაობითაც ღიაა ლიტერატურისთვის, წიგნისთვის. 13 ოქტომბრის კვირადღე მანანა ღუმბაძის წიგნის პრეზენტაციას დაეთმო. „გზებით დაღარული ჩემი ხელისგული“ გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა. ქალბატონმა მანანამ, როგორც სჩვევია, დადებითი ენერგიით დამუხტა მთელი დარბაზი, ხალისით აავსო იქაურობა. საკუთარ წიგნზე ბევრი არაფერი უთქვამს — იცინებთ, გაერთობით, თავს შეიქცევთ კითხვით, მერე კი, შეგიძლიათ, გადაადგოთო. თუმცა სიყვარულით დაწერილ წიგნებს არასოდეს აგდებენ. მკითხველი მათ ძნელად ელევა. მანანა ღუმბაძესაც ასეთი ტექსტები აქვს — თბილი, მსუბუქი, სევდანარევიც. როგორც პრეზენტაციის სტუმარმა, მაყვალა გონაშვილმა თქვა, თითოეული ადამიანი გენეტიკური ყულაბაა, წინაპართა კარგითა და ცუდით, ღირსებაცა და ნაკლებიც მასში წვეთწვეთადაა დაგროვილი. მანანასაც ადამიანების მიმართ დიდი სიყვარული მამისგან მოსდგამსო. პრეზენტაციას პოეტი პიტერ პულმანიც დაესწრო, მან განსაკუთრებული პატივისცემით ისაუბრა მწერალზე, ადამიანზე, მეგობარზე. პიტერ პულმანს მკითხველი ქალბატონი მანანას ახალ წიგნშიც შეხვდება. ის რამდენიმე მოთხრობის მთავარი პერსონაჟია. „გზებით დაღარული ჩემი ხელისგული“ სამი მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე მოგონებებს — ინდოეთში, როდოსსა და თურქეთის პატარა სოფელ ქაში გატარებულ დღეებზე, იქ გაცდილზე გვიყვება. ახლო თუ შორეული მოგზაურობები ცხოვრების გზებია და ავტორის ხელისგულზე არა მხოლოდ მისი, ზოგადად, ადამიანების გავლელით თუ გასაველელი გზები იყრის თავს, იკვეთება, ხელისგული დედამინასავით ვრცელია, სიყვარულით გადაშლილი. აკი ამბობს კიდევ ავტორი: „ბედის ხაზებით დაღარულ ჩემს ხელისგულს დავეყრებ, უსასრულო გზებს ვხედავ, კოსმოსიდან დანახულ დედამინას შავს, გზები და გზავჯვარედინები ერთმანეთში იხლართებიან, სცილდებიან და კვლავ კვეთენ ერთმანეთს. გზები კრეფენ ჩვენს იმედებს, ოცნებებს, იმედგაცრუებებს და ჩემს პატარა ხელისგულში უყრიან თავს. მიჭირს ამდენის მართო ზიფა, გალმა ნაპირიდან გეცახით, ჩემო დებო და ძმებო! გზავჯვარედინზე გელით ჩემი დიდი ოცნებით, იმედით, ნუხილითა და იმედგაცრუებით. იარეთ სწორი გზით, დახლართულით, თუნდაც ბილიკით, ოლონდ მოდით და თქვენი იმედი და ოცნება გამიზიარეთ“...

### მომავალი თამარ ჟურნალი







2013 წლის ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობა 13 ოქტომბერს დასრულდა. წიგნის კიდევ ერთი, მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი ფორუმი ისტორიის ნაწილად იქცა და, ამავე დროს, ახალ საქმიან თუ შემოქმედებით კავშირებს, იდეებსა თუ ინიციატივებს დაუდო დასაბამი. ათწლეულების განმავლობაში, ყოველ წელს, სულ უფრო მეტი და მეტი წიგნი გარშემო იკრებს უამრავ სტუმარს, გამომცემელს, მწერალს, მთარგმნელს, ლიტერატურულ აგენტს, მკითხველს. ამ ხალხისთვის ქართული წიგნი პირველად დაახლოებით ათი წლის წინ გადაიშალა, როცა საქართველოს დელეგაცია, მოკრძალებული წარმომადგენლობით და წიგნის არცთუ დიდი არჩევანით, პირველად ჩავიდა ამ ღონისძიებაზე. მას შემდეგ სულ უფრო და უფრო ვზრდით მასშტაბებს, ეროვნული სტენდის გარშემო მეტ უცხოელ დამთავალიერებელს ვიკრებდით და თანდათან ქართულ მწერლობას უცხოელი მკითხველი უმრავლდებოდა. კულტურის მესვეურები, გამომცემლები, მწერლები ხომ მთელი წელი ემზადებიან ფრანკფურტისთვის და ის ფაქტი, რომ 2013 წლის 9-13 ოქტომბერი საქართველოს დელეგაციისა და, ზოგადად, ქართული კულტურისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვფიქრობ, იმ შრომისა და ძალისხმევის შედეგია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ, თითოეულმა გამომცემელმა, მწერალმა თუ მთარგმნელმა წელს, და საერთოდ, გასული წლების განმავლობაში რომ გასწია. დიახ, ქართული დელეგაცია პირველი დიდი წარმატებით, დიდი ჯილდოთი დაბრუნდა ფრანკფურტიდან — გერმანიის ეროვნული ლიტერატურული პრემია ახალგაზრდულ ლიტერატურაში გადაეცა რომანის — „გათვლა“ — ავტორს თამაზ მელაშვილსა და გერმანულ ენაზე რომანის მთარგმნელს ნათია მიქელაძე-ბახსლიანს. პრემიაზე წარდგენილი ექვსასამდე მხატვრული ტექსტიდან ქართული ნაწარმოების გამორჩევა არა მხოლოდ მისი ავტორისა და მთარგმნელის, არამედ ზოგადად, ქართული მწერლობის გამარჯვებაა.

საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე უპრეცედენტოდ მასშტაბურად წარდგა — ორმოცეცხვიანი დელეგაცია, თხოთმეტი მწერალი, ოცდასამი გამომცემლობა, უცხო ენაზე თარგმნილი თხუთმეტი ქართული ნაწარმოები, გამოცემებით მდიდარი ქართული ეროვნული სტენდი, დატვირთული კულ-



# ქართულ მწერლობას უცხოელი მკითხველი მოუმრავლდა

ტურული პროგრამა — პრეზენტაციები, შეხვედრები, დისკუსიები, საჯარო კითხვა. უცხოენოვანმა საზოგადოებამ ქართული მწერლობა წელს უფრო ახლებურად, საინტერესო კუთხეებიდან დაინახა. გიორგი კეკელიძემ ზვიად რატიანთან ერთად „ფორუმ-დიალოგის“ ფარგლებში მსმენელს შესთავაზა თემა „ნაბიჯები — ქართული პოეზია საბჭოთა დროიდან დღემდე“. გამომსვლელებმა ისაუბრეს ქართულ პოეზიაზე, ნაიკითხვს ლექსები, გამართეს დიალოგი სტუმრებთან და ძალზე ცოცხალი პოეტური გარემო შექმნეს. მთავარმა მომხსენებელმა გიორგი კეკელიძემ, შეიძლება ითქვას, საერთაშორისო კულტურული ტრიბუნა გამოიყენა და წიგნის ბაზრობის სტუმრებს, კერძოდ, ფორუმ-დიალოგში მონაწილეებს, რუსული ოკუპაციის თემა შეახსენა მაისურზე დატანილი წარწერით: Russia, stop creeping annexation of Georgia. პროზაიკოსებმა კი — ზურაბ ქარუმიძემ, კოტე ჯანდიერმა, თეონა დოლენჯაშვილმა, ნატო დავითაშვილმა, ირაკლი სამსონაძემ უცხოელებს „პოლიფონიური ქართული პროზა“ მოასმენინეს, მონაწილეობა მიიღეს საჯარო კითხვაში და მსმენელთან დისკუსია გამართეს. ინტერესის გარეშე არ ჩაუვლია ბესო ხვედელიძის წიგნი — „თავის გემო“ — გერმანულენოვანი თარგმანის პრეზენტაციას, მკითხველი შემოიკრიბა ანა კორძაია-სამადაშვილის წიგნის — „მე, მარგარიტა“ — თარგმანის წარდგინებამ, ირაკლი სამსონაძის „ყურთბალიშიდან“ გერმანულ ენაზე გაჟღერებულმა ფრაგმენტებმა, სხვა მწერლების მიერ საკუთარი თხზულებებიდან ნაკითხულმა ამონარიდებმა... საკუთარი წიგნების პრეზენტაციას უზაბავშო ლიტერატურა მკითხველს ბონდო მაცაბერიძემ გააცნო. ქართველ ავტორებს საუკეთესო მოდერაცია გაუწიეს მანანა თანდაშვილმა და ალექსანდრე კარტოზიამ. ბატონი ალექსანდრეს

მონაწილეობითვე გაიმართა არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გერმანულ გამომცემლებთან, დაიწყო მათთან მოლაპარაკება გრძელვადიან პროექტებზე, რაც უახლოეს მომავალში გერმანულენოვანი ბაზრის ქართული ლიტერატურით გაჯერებას ითვალისწინებს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ის თარგმნილი ქართული წიგნი, რომელსაც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მისული უცხოელი მკითხველი წელს გაეცნო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ითარგმნა, მათ შორის იყო გერმანიის ეროვნული პრემიის ლაურეატის, თამაზ მელაშვილის „გათვლა“. მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა სამინისტროს მიერ გამოცემული ლიტერატურის კუთხე, სადაც წინა წლებთან შედარებით, მეტი თარგმნილი წიგნი წარადგინეს. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წიგნისა და ლიტერატურის განვითარების პროგრამების ხელმძღვანელის, დეა მეტრეველის თქმით, სამინისტრო უმთავრეს პრიორიტეტად ასახელებს სწორედ თარგმანების ხელშეწყობას, დაფინანსებას. პროგრამა-მაქსიმუმი წელიწადში ორმოცამდე წიგნის თარგმნა და უცხოეთში გამოცემა.

მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების ამგვარი მობილიზება სწორედ რომ დროული და აუცილებელია, ვინაიდან სულ მალე საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგება. ამის თაობაზე, ფრანკფურტის ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაციამ, მინისტრ გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით, ოფიციალური შეხვედრა გამართა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მესვეურებთან, იურგენ ბოსსა და ტობიას ვოსთან. იმისთვის, რომ დაწყებული საქმე



ბოლომდე მივიდეს და წარმატებით დაგვირგინდეს, მხარეები შეთანხმდნენ იმ მოსამზადებელ სამუშაოებსა და ვალდებულებებზე, რაც ქართულმა მხარემ წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის მიმართულებით უნდა განახორციელოს. საქართველოს სურვილი და ამბიციია, 2015 წელს ლონდონის წიგნის ბაზრობის მარკეტ-ფოკუს ქვეყანა გახდეს. ამასთან დაკავშირებით, გაიმართა შეხვედრა ლონდონის წიგნის ბაზრობის დირექტორთან, ჯექს ტომასთან და ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენლებთან, დაისახა სამინისტროსა და ლონდონის წიგნის ბაზრობის ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული გეგმები. კარგა ხანია, კულტურის სამინისტროს პრიორიტეტი ევროპულ სივრცეში ქართული ლიტერატურისა და საგამომცემლო სექტორის სრულად წარდგენა და ქართული წიგნის დასავლურ ბაზარზე ღირსეულად დამკვიდრებაა. ასე რომ, წლევანდელი ფრანკფურტი არა მხოლოდ კულტურული და ლიტერატურული მიმართულებით იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი, არამედ საქმიანი კონტაქტების სიმრავლითა და მაღალი დონის შეხვედრებითაც გამოირჩეოდა.

მნიშვნელოვანი იყო შეთანხმება ორი პროექტის განხორციელების თაობაზე. ერთ-ერთი — საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალია, რომელიც თბილისში უნდა გაიმართოს. მისი ორგანიზების საკითხებზე მოლაპარაკებები გრძელდება, უახლოესი შეხვედრა სტამბულში დაგეგმილი. მეორე პროექტი კი საქართველოს წიგნის ერთიანი სადისტრიბუციო ქსელის გამართვას გულისხმობს, რომლის განხორციელებაშიც ქართველ გამომცემლობებს პოლანდიური კომპანია CD დაეხმარება.

ქართული დელეგაცია წელს პირველად დაესწრო ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობის ოფიციალური შეხვედრებისა და პრეზენტაციებისთვის განკუთვნილ ბიზნეს საუბრეს, რომელზეც შედგა შეხვედრები საქართველოს საგანმანათლებლო და საგამომცემლო სექტორებით დაინტერესებულ უცხოელ გამომცემლებსა და ლიტერატურულ აგენტებთან. იმ უცხოელ გამომცემელთა რიცხვი, რომელნიც ქართული ლიტერატურით ინტერესდებიან, სულ უფრო იზრდება.

როგორც მოგახსენეთ, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა 13 ოქტომბერს დასრულდა, თუმცა მზადება მომავალი წლისთვის უკვე დაწყებულია.

მომზადა თამარ ჟურულმა





**I  
დინასტიური ქორწინება**

ქართველების გონებაში სამუდამოდაა აღბეჭდილი ლომობიერი და სათნო მონარქი ქალის სახე, რომელმაც აკრძალა სიკვდილით დასჯა, რომელიც ფეხშიშველი, ჯვრით ხელში მიუძღოდა და ლოცავდა საომრად მიმავალ ლაშქარს, რომელიც ლატაკებს გამოუდებებდა ასაჩუქრებდა არა ნაალაფართო, არამედ საკუთარი ნივთებითა და ქონებით, გამოუდებებდა მარხულობდა და ლოცულობდა; განსაცდელის უამსკი დილამდე ლიტანიობდა სასულიერო კერებთან ერთად. ის იყო მეფე, რომელიც ქვერივ-ობოლს იწყობდა და ეკლესიამონასტრებს აშენებდა... თუმცა არსებობს თამარის მეორე სახეც, რომელიც რუსთაველის პერსონაჟ ნესტანთან ასოცირდება. ეს თამარი არსებობდა დინასტიათაშორისი ქორწინების მსხვერპლია, ქაჯეთის ციხეში გამოკეტილი, რომელსაც არათუ არანაირი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა, არამედ მოკლებული იყო ყოველგვარ ადამიანურ თავისუფლებასაც.

აი, თამარის მეორე სახე, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველს თავში უნებლიედ ებეჭდება. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რაზე მეტყველებს ქაჯეთის ტყვეობა? ან ვინ აწყობდა იმ დინასტიურ ქორწინებებს, რომლებიც ხშირად ტრაგიკულად მთავრდებოდა მონარქებისთვის?

დინასტიათაშორისი ქორწინებების მომწყობთა შესახებ ისტორიკოსთა ნაშრომებში ბევრს ვერაფერს ნაწიკითხავთ, რადგან უმეტესწილად ეს გავლენიანი ადამიანები ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდნენ. არადა, სწორედ მათ ეკუთვნოდათ ძალაუფლების გარკვეული წილი, ისინი ქმნიდნენ ისტორიას. არსებობდა გარკვეული ორგანიზებული ძალა, რომელიც მონარქებზე ზემოქმედების ეფექტურ საშუალებად პოლიტიკური მოტივებით დაქორწინებას მიიჩნევდა. ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას პეტრე პირველის უფროსი ვაჟის, ალექსის უიღბლო ქორწინება წარმოადგენდა. ალექსეი არამართლმადიდებელ პრინცესაზე დაქორწინების სასტიკი წინააღმდეგე იყო, მაგრამ ის პროტესტანტ შარლოტაზე მაინც დააქორწინეს. ეს კონფლიქტი მამა-შვილს შორის შემდგომში კიდევ უფრო გაღრმავდა. პეტრე პირველს არ მოსწონდა ალექსის ახლო ურთიერთობა ბოიარებთან და მისი სწრაფვა ეკლესიური ცხოვრებისკენ. უფლისწულის გარშემო წრე იკვრებოდა. ავი ნანათარქობით შეპყრობილმა უფლისწულმა 1716 წელს მამას წერილობით სთხოვა, ბერად აღკვეცის ნება მიეცა, ის ტახტს თავის უმცროს ნახევარძმას პეტრეს უთმობდა. თუმცა უფლისწულის თხოვნა არც ამჯერად დააკმაყოფილეს. როგორც ჩანს, პეტრე პირველსა და ანტიკლერიკალურ ძალებს, ბერ-მონაზვნობას რომ ებრძოდნენ, თვით ბერად აღკვეცილი ალექსისაც კი ემზოდნენ. ამ უარის შემდეგ უფლისწულმა თავშესაფარი უცხოეთში იპოვა, თავის ნათესავ ჩარლზ მეექვსესთან. ის, ფაქტობრივად, პოლიტიკური დევნილი გახდა. თუმცა მისი დევნილობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა — ალექსეი რუსეთში ჩამოიყვანეს (ხელშეუხებლობის გარანტიით). ეს გარანტია რომ ფიქცია იყო, მალევე გაირკვა, რადგან 1718 წელს მას წამებით ამოხადეს სული. ალექსეი პეტრეს ძის სიკვდილით დასჯა ჩვეულებრივი მოვლენა არ იყო. სწორედ ამ დროს გახდა ნათელი, რომ რუსეთი მკვეთრ მართლმადიდებლურ ორიენტაციაზე უარს ამბობდა. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი რუსი ხალხი კვლავ მართლმადიდებელი რჩებოდა, მაგრამ პეტრე პირველის „კულტურული რევოლუციის“ წყალობით რუსი არისტოკრატია თანდათანობით ეროვნულობაგამოცილი ინტერნაციონალურ მასად უნდა ქცეულიყო. ამის ნათელ დადასტურებას ალექსეი პეტრეს ძის სიკვდილით დასჯა წარმოადგენდა. ვანა, ისეთს რას ითხოვდა რუსი უფლისწული, რისი შესრულებაც არ შეიძლებოდა?! მართლმადიდებელ მეუღლეს, ბერად აღკვეცას, ძირძველ რუს არისტოკრატიასთან სიახლოვეს... თუმცა მას ეს ყველაფერი დაუშალეს.

გლობალიზაციის პროცესი მხოლოდ რუსეთში არ მიმდინარეობდა, მსგავსი მოვლენები შეინიშნებოდა ინგლისში, სა-

ფრანგეთში... გლობალისტების მიზანსამეფო ოჯახზე კონტროლი წარმოადგენდა. ისინი ცდილობდნენ, თავად მოეწყობათ დინასტიური ქორწინებები, საჭიროების შემთხვევაში კი საიდუმლოდ შეეცვალებათ სამეფო დინასტია. ამ პროცესებმა ასახვა ჰპოვა ალექსანდრე დიუმას, ვიქტორ ჰიუგოსა და სხვა მწერლების შემოქმედებაში. არსებობს გადმოცემა, რომ ალექსეი ტოლსტოიცი აპირებდა პეტრე პირველის შესახებ სიმართლის დაწერას, მაგრამ მას რატომღაც დაუშალეს. მაინც რა საიდუმლოს მალავს რუსეთის ისტორია? ეს საიდუმლო თავად პეტრე პირველის დაბადებას ეხება. როგორც ცნობილია, ერეკლე პირველმა, კახეთის მეფემ, თეიმურაზი (შემდგომში თეიმურაზ II) ჯერ კიდევ ცხრა წლის ასაკში დატოვა კახეთის მმართველად, თავად კი პაპის, თეიმურაზ პირველის დავალებით რუსეთში გაემგზავრა. მაგრამ „შემთხვევითად“ წინა ავაზაკნი და მათ მოსრეს პირითა მახვილისათა ყრმანი ერეკლესნი“, ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“. დატყვევებული ერეკლე პირველი ყაჩაღებმა რუსეთის ხელმწიფეს მიუყვანეს. შემდეგ ბოიართა

**თემურ გაბუნია**

# სამეფო კოდექსის წინააღმდეგ

კრების ერთ-ერთი ოქმიდან ვგებულობთ, რომ ეს „ძვირფასი ტუსალი“ პეტრე პირველის მამა გამხდარა. ვერაფერს იტყვი, ნამდვილად ზღაპრული სიუჟეტი! შემთხვევით მოხდა ეს ყველაფერი თუ ამაში ვიღაცის ხელი ერია? ეს კითხვები დღესაც პასუხგაუცემელია, თუმცა ერთი რამ ცხადია, ამგვარი არაოფიციალური ქორწინებებით ყოველთვის გარკვეული პიროვნებები სარგებლობდნენ. ისინი დედოფალს მფარველობდნენ და, შესაბამისად, სამეფო ოჯახზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებაც ეძლეოდათ.

არანაკლებ საინტერესოა ოფიციალური დინასტიური ქორწინებებიც. მათ, როგორც წესი, გავლენიანი ადამიანები აწყობდნენ, რომლებსაც სახელმწიფოებრივის გარდა, საკუთარი ინტერესებიც ამოძრავებდათ. თამარის ეპოქაში, მაგალითად, ახალფეხადგმული ბურჟუაზიისა და ვაჭართა კლასის ინტერესებს ყუთლუ-არსლანის დასი გამოხატავდა. არსებობდა მეორე, ე.წ. პარტიაც, რომელიც სამხედროების ზედაფენის ინტერესებს გამოხატავდა. ამ ორ დაჯგუფებას შორის თამარის გამეფებისთანავე კულუარული დაპირისპირება დაიწყო, რომელიც გვირგვინის დავით სოსლანზე დაქორწინებისას სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდა. რა საფუძველი ჰქონდა ამ დაპირისპირებას? ცნობილია, რომ თამარის პირველი ქორწინება თბილისის ამირასა და დიდვაჭრების ინიციატივით მოხდა. როგორც ჩანს, ექსორიაში მყოფი რუსი უფლისწულის ქართულ სივრცეში მოხვედრას ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ცარიელი დერეფანი იყო დარჩენილი. ამ ტერიტორიას ათვისება უნდოდა. დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობასა და თბილისელ დიდვაჭრებს, ბუნებრივია, საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიისა და ვოლგა-დონის აუზისკენ გაფართოება უნდა ნდომოდათ. ექსორიაში მყოფი რუსი უფლისწული ამ შემთხვევაში იდეალური კანდიდატი იყო. როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, მას ემორჩილებოდა „სამასნი მთავარნი რუსთანი“. მამისგან დევნილი უფლისწული ბიძასთან აფარებდა თავს ყივჩაღთა მეფის ქალაქ სევირში, რაც თავისთავად კარგი პლაცდარმი უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთით გაფართოებისთვის.

რა მოხდა იური ანდრიაის ძის თამარის ქმრობის ორწლიან პერიოდში? როგორც „ქართლის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რუსი უფლისწულის ლაშქრობე-

ბი ძირითადად მიმართული იყო კარისა და კარნიფორისკენ ვიდრე ბასიანამდე. ის იბრძოდა საქართველოს საზღვრების გაფართოებისთვის შავშეთისა და კლარჯეთის სამხრეთით, ბასიანისკენ, იმიერ ტაოსკენ, მაშინ როდესაც ამ ორწლიან პერიოდში მხარგრძელებმა დალაშქრეს დვინი. ამრიგად, იური ანდრიაის ძის საქართველოში ყოფნის ხანმოკლე პერიოდში უკვე იკვეთებოდა პრიორიტეტები. დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის არისტოკრატის, რუს უფლისწულსა და თბილისელი დიდვაჭრების ნაწილს საქართველოს გაფართოება იმიერ ტაოსკენ და ლაზეთისკენ სურდათ, პერსპექტივამ ჩრდილოეთისკენაც. მაშინ, როცა მეორე პარტიას, ანუ დაჯგუფებას მონოფიზიტი მხარგრძელების მეთაურობით ანისი, დვინი, ხლათის მიმართულებით უნდოდათ სამხედრო ოპერაციების ჩატარება. ეს მეორე დაჯგუფება ეჩმიაძინისგან იმართებოდა, და ბუნებრივია, მაჰმადიანთა ხელში მყოფი სომხური ტერიტორიების გათავისუფლებით იყო დაინტერესებული. სწორედ მათ ინტერესებში შედიოდა რუსი უფლისწულის დისკრედიტაცია და საქართველოდან გაძევება, მესხეთისა და დასავლეთ საქართველოს პატრიოტულად



თაურობდა, რომელსაც ამირსპასალარობა და სომხეთის მბრძანებლობა ეწადა. მართალია, „ისინი კარველებმა“ მხარგრძელების კლანს ვერაფერი დააკლეს, მაგრამ ამბოხების შემდეგ დარბაზის როლი მაინც მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამიერიდან მეფე ამ ე.წ. პარლამენტის დაუკითხავად ვერცერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. სახელმწიფო მოხელეების დანიშვნა სწორედ დარბაზთან ერთხებაობით უნდა მომხდარიყო.

**II  
თამარის ეპოქა**

მეფე თამარი, როგორც ეს მისი გარდაცვალების შემდეგ გამოაშკარავდა, დიდ დამანგრეველ ძალებს აკავებდა თავისი სათნო ხასიათით, შორსმჭვრეტელობითა და ღვთისმოსაობით. მეფის სიკვდილის შემდეგ თითქმის ყველა სფერო მოიშალა: სამხედრო, სასულიერო და ეკონომიკური. ეფექტურად ვეღარ მოქმედებდა სამხედრო დაზვერვა. ზოგიერთ ეპარქიაში მღვდლები ჯვრისწერისას ისეთ დიდ გასამრჯელოს ითხოვდნენ, რომ ახალგაზრდებს ცოლის მოყვანის ხალისიც კი ეკარგებოდათ. თავი ნამოყვეს მანიქეველებმა, სუფიებმა და სხვადასხვა თეოსოფიური და ეზოთერული საძმობის მიმდევრებმა. ლაშაგიორგის ეპოქა მათი ზეობის ხანა იყო.

მეზობელი ქვეყნებისა და პოტენციური მტრების შესახებ არანაირი ცნობების მოპოვება რომ არ ხდებოდა, ეს ნათლად გამოჩნდა მონღოლების ოცი ათასიანი რაზმის შემოსვლისას. საქართველოს სამხედრო ძალის ლიდერებმა მონღოლების შესახებ იმდენად არაფერი იცოდნენ, რომ ისინი თავდაპირველად ქრისტიანებად კი მიიჩნიეს.

თამარის მეფობის ორმოცი წელი — ეს იყო გლობალური ბოროტების შეკავებისა და მასთან ბრძოლის ხანა, მაგრამ მხოლოდ შეკავების და ბრძოლის და არა გამარჯვების, რადგან თამარი არ ყოფილა აბსოლუტური მონარქი, თავისი სურვილისამებრ რომ ემართა პროცესები. ის დამოკიდებული იყო არა მხოლოდ გარკვეულ პოლიტიკურ დაჯგუფებებზე, არამედ ზეეროვნულ ძალებზეც. გლობალური ბოროტებას რუსთაველმა კარგად მოარგო სიტყვა ქაჯი, რომელიც არა მხოლოდ გრძნულს ნიშნავს, არამედ ჰაერის სულსაც. „ღმერთო, გვიხსენ ჰაერის მცველთა ხელთაგანო“, ნათქვამია ლოცვაში. ვინ არიან ეს ჰაერის მცველები? „ესენი არიან ეშმაკნი“, ვკითხულობთ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ლექსიკონში, რომლებიც „ოდეს გადმოითხინეს, უბოროტესნი ჯოჯოხეთად შთახდენ და უდარესნი ჰაერთა შინა დაშთენ, რომელნი მუნცა იტანჯებიან. მათგან არს საოცრებათა ჩვენება, და ფეთება, ღამე კაცთა მრავალსახედ ჩვენება... მსოფლიონი (მათ) ქაჯად და ჭიმკად სახელსდებენ“.

ნიშანდობლივია ისიც, რომ რუსთაველი საუბრობს არა ერთ ქაჯზე, არამედ ქაჯებზე, ანუ ერთმანეთთან შეკავშირებულ „ერთად რებულ გრძნულებზე“, რომლებსაც კუნძულზე ჰქონდათ ციხესიმაგრეები. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ციხესიმაგრეში იყო გამოკეტილი ნესტანიც.



პოემაში ქაჯები არც ინდოელები არიან, არც არაბები ან გულანშაროელები. მათ ეროვნება არ აქვთ. ეს არის რაღაც ინტერნაციონალური ძალა, რომლის მოქმედების არეალიც მთელი მსოფლიოა. მის დასამარცხებლად ჩვეულებრივი იარაღი არ კმარა. ამაზე ნათლად მეტყველებს ტარიელის მიერ დაფლული იარაღის ზარდახშიდან ამოღების ეპიზოდიც, რომელთან მისასვლელადაც ორმოცი კარის შეღწევაა საჭირო. დევების იარაღი ჩვეულებრივი საჭურველი არაა, ესაა საიდუმლო სიბრძნე შენახული უკანასკნელი ჟამისთვის. ამ იარაღის დროზე ადრე ამოთხრა სახიფათოცაა, ზარდახშია წერია: „თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, დღე იყოს იგი ძნელიო! უმისჯამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკვლელიო“. ამრიგად, აქ საუბარია ტაბუდადებულ სიბრძნეზე, რომლის „უმისჯამისოდ“ ანუ, ვადაზე ადრე, გამჟღავნებაც სისხლისღვრას გამოიწვევდა და ზიანს მოუტანდა კაცობრიობას.

საერთოდ, ისეთი დიდი პოეტების შემოქმედებაში, როგორებიც არიან ჰომეროსი და რუსთაველი, რამდენიმე შრეა: ისტორიული, რელიგიური, მისტიკური... ნესტანი ჩვეულებრივი ადამიანი არაა, ეს თავად მისი სახელიდანაც ჩანს: ნესტანდარე-ჯეჰანა. ამავე მსოფლიო „არამქვეყნიურს“ ნიშნავს. ამრიგად, ნესტანი ისევე, როგორც ელენე და მედეა, რაღაცით უფრო მეტნი არიან, ვიდრე „ანდარე-ჯეჰანები“, ანუ ჩვეულებრივი არსებები. ასე რომ, ვეფხისტყაოსანი უფლისწული იბრძვის არა მხოლოდ მინიერი ქალის, არამედ რაღაც უფრო დიადისა და ამაღლებულის მოსაპოვებლად... რუსთაველის პოემა თავისუფალი სიყვარულის ერთგვარი ჰიმნია, რომელიც თავისი არსით სახელმწიფო სამართლით გამყარებული დინასტიური ქორწინებების წინააღმდეგაა მიმართული.

კონფლიქტი სწორედ ტარიელისა და ნესტანისთვის არასასურველი ქორწინების ჩაშლითა და უცხო ქვეყნის უფლისწულის მკვლელობით იწყება. რომ არა სასიძოს გამოჩენა, ყველანი ბედნიერად იცხოვრებდნენ, ინადიმდებდნენ, სიყვარულით დაქორწინდებოდნენ და საერთოდ არაფერი ცუდი არ მოხდებოდა. მაგრამ, ალბათ, ამ შემთხვევაში არც „ვეფხისტყაოსანი“ დაინერგებოდა. პოემაში დახატული ინდოეთის სამეფო ძალიან ჰგავს XII-XIII საუკუნეების საქართველოს, „ვეფხისტყაოსნის“ გმირები კი — სამეფო ოჯახის წევრები: ნესტანი — თამარს, ფარსადანი — გიორგი მესამეს, რუსუდანი — დავარს... თუმცა არსებობს კიდევ ერთი ისტორიული პირი, ჰერეთის ერისთავი შოთა კუპარი, რომლის შესახებაც გამორჩეულად შეიძლება ვისაუბროთ. ცხადია, ბევრი არ ეთანხმებოდა პავლე ინგოროყვას, რომელიც ამტკიცებდა: შოთა რუსთაველი „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენები ჰერეთის ბაგრატიონი შოთა კუპარიაო, მაგრამ ტარიელი ძალიან რომ ჰგავს ჰერეთის ერისთავს, თავისი პოლიტიკური

სტატუსით, ეს ეჭვგარეშეა. საქართველოში ოდითგანვე ბაგრატიონების ორი შტო არსებობდა, ქართლისა და ჰერეთის. ჰერეთის ბაგრატიონების საგვარეულო სახელი იყო შოთა, ისევე, როგორც კლდეკარის ერისთავი ბაღვაშებისა — ლიპარიტი. პავლე ინგოროყვას აზრით, სწორედ ჰერეთის ამ ბაგრატიონს ზრდიდა სამეფოდ დემნა უფლისწულის გამეფების მოწინააღმდეგე გიორგი მესამე, რომელსაც დედოფალ ბურდუხანისგან შვილი კარგა ხანს არ ჰყოლია. თამარის გაჩენამ მეფის გეგმები ძირფსვიანად შეცვალა და ჰერეთის ერისთავიც ყველას მიაგინყდა.

საგულისხმოა, რომ ასაკობრივი სხვაობა ნესტანსა და ტარიელს შორის გახდა შემდგომში რუსთაველის დაბადების თარიღის განმსაზღვრელი. მკვლევრებმა იგულისხმეს, რომ ნესტანი თამარი იყო, შოთა კი — ტარიელი. ასე დადგინდა პოეტის 800 წლის იუბილის დანიშვნის თარიღიც. აი, რამდენად რეალისტურად მიიჩნევდნენ მეცნიერები შოთას უკვდავ პოემას. დაუზბრუნდეთ ისევე ტარიელის სტატუსს. ინდოეთი პოემაში, ისევე, როგორც თამარისდროინდელი საქართველო, შვიდ სამთავროდ იყო დაყოფილი. აქედან ექვსი დიდი ხნის გაერთიანებული იყო, მეშვიდე კი (ჰერეთ-კახეთი, რომელიც მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს შემოუერთდა საქართველოს) დანარჩენ სამთავროებთან გაერთიანების პროცესში იმყოფებოდა. ამრიგად, ჰერეთის ბაგრატიონებს დემნა უფლისწულის გარდაცვალების შემდეგ, ნესტანი, გარკვეული პრეტენზიები უნდა ჰქონოდათ სამეფო ტახტზე, მაგრამ შეეძლო კი ჰერეთის ერისთავს თამარის ქრობა?

თამარი ორივე შემთხვევაში ძალით გაათხოვეს. პირველი ქმრის მოყვანა აბუ-ლასანისა და ზორაბაბულის დროზე გადამწყდა, მეორისა კი — მამიდა რუსუდანის. თამარი იური ანდრიას ძის წინააღმდეგი იყო. ის ითხოვდა, ჯერ დავაკვირდეთ ამ უცხო ქვეყნის უფლისწულს, გავარკვიოთ, რა ზნისაა და ეს საქმე მერე გადაწყვიტოთ. არც მეორედ გათხოვებისას გამოუჩენია გვირგვინოსანს დიდი ერთუზიანი. „მონამე არს ჩუენდა ღმერთი, აროდეს ყოფილა გული ჩემი მონადინე ქმროსნობისა, არცა პირველ, არცა ანუ...“ — ბრძანა მან. ვის ეკუთვნოდა მეფის გული? ამ კითხვანზე პასუხი ალბათ ისევე „ვეფხისტყაოსანში“ უნდა ვეძიოთ. თინათინს თავისი ხელქვეითი ავთანდილი უყვარს, ნესტანს კი — ინდოეთის მეშვიდე სამეფოს უფლისწული ტარიელი. თინათინისა და ნესტანის პროტოტიპი მეფე თამარია.

რატომ დასჭირდა რუსთაველს ამ ორი პერსონაჟის დახატვა? შედარებისთვის: რუსთაველს სურდა, თამარი თინათინივით ლაღი და თავისუფალი ყოფილიყო თავის არჩევანში და არა ნესტანივით უფლებათაყრდელი, დამონებული და მგლოვიარე. პოემაში არაბეთი იდეალური ქვეყანაა, დახვეწილი პატრონ-ყმური ურთიერთობებით. თინათინს არც მამიდა დავარი ჰყავს და მას არც ძალით ათხოვებენ უცხო ქვეყნის უფლისწულზე. რუსთაველს სურდა, ქართველი ქალი, თუნდაც მეფე, ქართველ კაცზე დაქორწინებულიყო, თავისუფლად, ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე, როგორც ეს არაბეთში ხდებოდა. რამდენად რეალური იყო პოეტის ოცნება? შეიძლებოდა თუ არა, თამარი ჰერეთის ბაგრატიონზე დაქორწინებინათ? ბაგრატიონთა სამართლის კოდექსის თანახმად, ქართველ მეფეებს თავიანთ ქვეშევრდომებზე დაქორწინება ეკრძალებოდათ. ამას გარკვეული მიზეზებიც ჰქონდა. მეფის რომელიმე ფეოდალის ასულთან

შეუღლებას შეიძლება გამოენჯინა ამბიციების გაღვივება საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში. შეიცავდა თუ არა ბაგრატიონთა სამართლის კოდექსის ამ მუხლის დარღვევა რაიმე რეალურ საფრთხეს? გავიხსენოთ გიორგი ბრწყინვალის მაგალითი, გიორგი დემეტრე თავდადებულს ნათელა ჯაყელისგან ჰყავდა. მონღოლების ბატონობის პირობებში ეს ბუნებრივიც იყო, ექსტრემალურ პირობებში ქართველ მეფეებს აღარც მოეთხოვებოდათ ამ ძველი კანონის დაცვა... და მაინც, რა მოუტანა გიორგი ბრწყინვალის მმართველობამ საქართველოს? ყველაფერი კარგი. ქვეყანა გაერთიანდა და კვლავ დავით აღმაშენებლის საზღვრებში აღდგა. მაგრამ რა მოხდა შემდეგ? მესხ დიდებულებს თანდათანობით მართლაც გაუჩნდათ ამბიციები, ისინი უკვე საქართველოს დანარჩენ კუთხეების მმართველებს ზემოდან დაჰყურებდნენ, საქმე ეკლესიურ განხეთქილებამდეც კი მივიდა. ჯაყელები ვეღარ ეგუებოდნენ მცხეთის პირველობას. ისინი ცდილობდნენ, აეგოთ სვეტიცხოველზე დიდი ტაძარი, უცხოეთიდან მოეწვიათ ეპისკოპოსები და მცხეთის რელიგიური დაქვემდებარებიდან გამოსულიყვნენ. 1483 წელს კი ეს ყველაფერი არდეთის ბრძოლით დამთავრდა, რის შედეგადაც ქართლის მეფესთან დაპირისპირებულმა სამცხის ათაბაგმა ყვარყვარე ჯაყელმა თითქმის ოთხი საუკუნით ჩამოაცილა ეს ისტორიული კუთხე საქართველოს.

არსებობდა სხვა მიზეზებიც, რომლებიც ამ კოდექსის არსებობას ამართლებდა. მეფის რომელიმე ქართველი დიდებულის ასულზე დაქორწინება კუთხური ამბიციების გაღვივების გარდა ცოლის ნათესავების ფაქტორის გაჩენასაც გამოიწვევდა. მეფის ცოლის ნათესავები დანაშაურობდნენ, დაიწყებდნენ სამეფო კარზე ინტრიგების ხლართვას, რაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ცუდად იმოქმედებდა. საბოლოოდ, ეს ასეც მოხდა. XV საუკუნეში, როცა საქართველო დაქუცმაცდა, მეფის ნათესავების ფაქტორმა, მართლაც რომ კომიკური ხასიათი მიიღო. სამეფო დოკუმენტებს უკვე ხელს აწერდნენ არა მხოლოდ მონარქი, არამედ მისი მეუღლე, ცოლისძმა, ცოლისდა, ბიძა, ბიცოლა და ა. შ. ამრიგად, ბაგრატიონების სამართალი კატეგორიულად და სრულიად სამართლიანადაც კრძალავდა მონარქების ქართველ ქალზე ქორწინებას. თამარ მეფეზეც იგივე სამართლებრივი ნორმები ვრცელდებოდა, სწორედ ამის გამო შეუძლებელი იყო მისი ჰერეთის ბაგრატიონზე დაქორწინება.

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის, ტარიელის ტრაგედია სწორედ ამ პრობლემას უკავშირდება. ტარიელი კლავს უცხო ქვეყნის უფლისწულს, რომელზეც ნესტანი უნდა დაქორწინონ. რუსთაველის გმირებისთვის ქორწინების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი სიყვარულია. „სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეყვანნი, ამას უღერენო“, ამ პრინციპით ცხოვრობდნენ პოემის გმირები.

ბაგრატიონები თავიანთ პირად ცხოვრებას სახელმწიფოს ერთიანობასა და კეთილდღეობას სწირავდნენ. ეს მომეტი ჩადებული იყო მათი სამართლის კოდექსშიც. მაგრამ გავიდა დრო და ეს კოდექსი, ფაქტობრივად, შეუსრულებელი გახდა. მონღოლეთის შემოსევამ, ბიზანტიის დაცემამ და საქართველოს ისლამური ქვეყნების გარემოცვაში მოხვედრამ შეუძლებელი გახადა ქართველი მეფეებისთვის შესაფერისი ქრისტიანი მეუღლის გამოძებნა. საქართველოც, უამრავ მიზეზთა გამო, პატარ-პატარა სამთავროებად და სამეფოებად დაიშალა. ამიერიდან ქართველი მეფეები სიყვარულითაც ქორწინდებოდნენ. ასევე სიყვარულით თხოვდებოდნენ ჩვეულებრივი ქართველი ქალებიც, რომელთაგანაც ბევრი თამარი ერქვა. მათ კი მზითვებში „ვეფხისტყაოსანს“ ატანდნენ. რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? ალბათ იმაზე, რომ რუსთაველმა, მართალია, საუკუნეების შემდეგ, მაგრამ მაინც გაიმართლა.

## ვიდას მარკუნასი სიკვდილი

ჩემი სპორტული ფეხსაცმლის გახუნებული ლანჩის ქვეშ ხალისიანად ღრჭიალებდა გზაზე დაყრილი ხვინჭი. მეჩხერი ტყის მიღმა, სადაც კაცი იშვიათად თუ გადააწყდება სოკოს, პეპელასა თუ ნადირს, უკვე ვლანდავდი განაპირა სახლებს, როცა გზაზე ის გამოვარდა. დაფეთებული მორბოდა, თითქოს ვიღაც მოსდევდა. გამოქანდა და პირდაპირ ჩემ ხელებში ამოჰყო თავი. სახლამდე ასე ხელშიაყვანილი ვატარე.

საცხოვრებელი მამის მიერ გაურანდავი ფიცრებისგან საგანგებოდ შეკრულ ყუთში მივუჩინეთ. მამამ ყუთს საგულდაგულოდ დააჭედა სახურავიც და იმ დღიდან მან ჩვენი თან დაიდო ბინა. ყუთი მოვათავსეთ დიდ და ვრცელ ქვით ნაგებ ფარდულში, სადაც მეზობლები ბოცვრებს ამრავლებდნენ, სადაც თივას და ათასგვარ იარაღს ინახავდნენ და სადაც მუდმივად იდგა რკინისა და ობის სუნი. აქვე აყენებდნენ მეზობლები თავიანთ ველოსიპედებს, რომლებიც ფარდულის ჭერქვეშ უტყვავდნენ ელოდნენ პატრონებს, გარეთ გასულები კი სულ სხვადასხვა ხმაზე იწყებდნენ ნრიპინს, ღრჭიალს და ჭრაჭუნს. ამ ხმების მიხედვით მე თითოეული მათგანის ცნობა შემეძლო.

ვცდილობდით, გამოგვეკვება. ხის ყუთის სახურავში საგანგებოდ დატოვებულ ხვრელში კომბოსტოს, სტაფილოს, მყუნას ვუტენიდი... არაფერს ჭამდა, ჩუმად, ალბათ მოზუზული იჯდა ყუთის რომელიმე კუთხეში მიკუნჭული... იმერთადერთი, პატარა ლიობიდან ძნელი დასანახი იყო.

მართალია, ვცადეთ, რომ ჩვენი ნადავლის შესახებ არავის შეეტყო, მაგრამ იმავე საღამოს ყუთის ირგვლივ ჩვენი ეზოს ყველა ბავშვმა მოიყარა თავი. ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი გაურანდავი ფიცრების ხაოიან ზედპირს ეკვროდნენ, ხვრელში ჩაჭყეტას ლამობდნენ და ერთმანეთს ადგილისთვის ეცილებოდნენ, სულ ფუჭად — ყუთში ისე ბნელოდა, რომ ვერაფერს ხედავდნენ და მხოლოდ წვეტიანი ხიჭჭები ესრობოდათ ხელისგულსა და ლოყებში. ქვის შენობაში ნესტისა და გაღვივებული კარტოფილის სუნი იდგა. უკმაყოფილო ბავშვები დასცინოდნენ ყუთს, დასცინოდნენ ერთმანეთსაც და, თუმცა, სახლებში ნოყიერი და ცხელ-ცხელი კერძები ელოდათ, ფანჯრებში გადმოკიდული დედები კი უკვე კარგახანია სადღადად უხმობდნენ, მიუხედავად შორედებოდნენ ხის ყუთს და მის უჩვეულო ბინადარს.

ყუთის არსებობას ნელ-ნელა ყველა მიეჩნია. მას ყურადღებასაც აღარ აქცევდნენ, აღარ აინტერესებდათ და მხოლოდ ხანდახან თუ მიუტანდნენ რაიმე სასუსნავს: მინაური ძეხვის ნაჭერს, ლორს ანდაც ყველს, მაგრამ ყუთის ბინადარი მაინც ჯიუტობდა და პირს არაფერს აკარებდა... ნელ-ნელა მისადმი ინტერესი მინელდა და ბოლოს სრულიად ჩაეცხრა.

ჩვენი სახლის სხენში, პანანინა, მყუდრო ოთახში, ერთი მარტოხელა მოხუცი კაცი ცხოვრობდა. მშვიდი და მხიარული ხასიათის გამო ის მთელ სახლს უყვარდა. მოხუცი არასოდეს არაფერზე ჩიოდა, არავიზე ბრაზობდა და არ ნუნუნებდა. მას ერთადერთი ცხვარი ჰყავდა. უფრო სწორად, ყველამ ვიცოდით, რომ ცხვარი მისი იყო, თორემ პირუტყვს მთელი სახლი უფლიდა და პატრონობდა. რადგან ცხვარიც ქვის ფარდულის ბინადარი იყო, მისი პატრონი კი იშვიათად გამოდიოდა მინიდან, ცხვარზე, ძირითადად, მეზობლებს უწევდათ ზრუნვა. მას ლამაზი, რუხი ბენვი, შავი ცხვირი და, ღმერთმანი, ძალიან ლამაზი, წყლიანი თვალები ჰქონდა.

ზედ მყუდრო ნამქერივით მედო საბანი, ვინეკი და ყურს ვუგდებდი ფანჯრის ჩარჩოს ხაფანგში მომწყვდეულ ანჩხლ ქარს, რომელიც აქეთ-იქით აწყვდებდა და თავის დახსნას ცდილობდა. მის გარდა ჩვენ უზარმაზარ სახლში სხვა — ორპირი ქარიც ბუდობდა და, ვინ იცის, უკვე დამცხრალი და რომელიმე ხვრელში მოკალათებული, ისიც ყურს უგდებდა ახალგაზრდა ჯიუტი ქარის ბობოქრობას და ბოროტად ხარობდა: ოდეს-მე შენც დაჩანანაკებდი, შენც ძლივს იჩრებ ამ ჭუჭყიან, დამპალ იატაკზე, შესაბრაღისად ინკავნკავებ საკვამურში, სადაც აღსარებასავით მოაგროვებ მჭვარტლს, ხოლო საკვამურს თუ თავს დააღწევ, ზედ კარის ზღურბლზე, კარში მოყოლილს ამოგვრება სული...





დასასრული

იმ ქარიან ღამეს ვილაცამ ექვს ბოცვერს გამოსჭრა ყელი. მათმა პატრონმა ექვსი ყუთის ბინადარზე მიიტანა და ბუზღუნით მოგვადგა. უსიამოვნება კი ავიცილეთ თავიდან, მაგრამ დანაშაული მაინც ყუთში გამოწყვდებულს დაბრალდა. ვიცოდით, ამ ამბის მერე ზოგიერთი მეზობელი აღმაცერად დაგვიწყებდა ყურებს.

ზედმინეებით დავათვალიერეთ ყუთი, რომელსაც ზამთარში მამამ სქელი ბოჭკო შემოახვია, მაგრამ რაიმე ნიშანს, იმის დამადასტურებელს, რომ ის ყუთიდან გამომძვრალიყო, ვერ მივაგენით.

— ეი, შენ, მანდი! — ბოცვერების პატრონმა ნიხლი ჰკრა ყუთის ფიცრებს და თვითონვე გაშეშდა, თითქოს საკუთარი თავხედობით დამდურულიყო. შენობაში ისეთმა მდუმარებამ დაისადგურა, რომ ნამით მომეჩვენა, თითქოს მთელი არსებით ვგრძნობდი გაურანდავი ფიცრების და კედლების გლუვი ქვების სუნს.

მეორე დღეს კი... ცისკრის ხანს ეზოში, ჩვენი ფანჯრების წინ, დეკემბრის თოვით გაქვავებულ მიწაზე ეგდო სასტიკად დამახინჯებული და თითქმის შუაზე გაგლეჯილი ქათამი. საბრალო, საკუთარი კი არა, რომელიღაცა სხვა არსების ხმით შემზარავად ყვიროდა და აქეთ-იქით ანცდებოდა. თითქოს გაქცევა და ფორთხვა სურდა, ანდაც აფრენა... მისი ეს ფუჭი მცდლობა თავზარდამცემი რამ იყო. ამასობაში თოვაც დაიწყო. ქათამი მთელ ეზოს უშურველად სწირავდა საკუთარ სისხლს, რომელიც გაყინულ მიწაზე მიმოღვრილი მყინვარად ყინულის მბრწყინავი მოსახამით იფარებოდა. თითქოს მინას მიყინვიანო. იქვე ერთ ადგილას ფუთფუთებდნენ დანარჩენი, სალსალამათი ქათამები. თეთრსა და ყავისფერ ბუმბულებს ზამთრისთვის შეუფერებელი ნაზი ნიავი უწნავდათ. ესენი ჩვეულებრივი ქათამები იყვნენ. მათ არასოდეს მოსვლიათ აზრად, რომ სადმე გვერდით ან მოპირდაპირე ქუჩაზე, სხვა ეზოებში სხვა ქათამებიც თუ დაიარებოდნენ. ტყუილები და სურვილები მათთვის უცხო იყო. ისინი არც შურისძიების ჟინს აუტანია ოდესმე. არც ჰქონდათ საამისო მიზეზი... არც შიში იცოდნენ რა იყო. განა, ქათამები და ბოცვერები ფიქრობენ, რომ სიკვდილთან პირისპირ შეხვედრა ფიცხელ ომში მოუწევთ? ყოველგვარი შიშის გარეშე, შესაშური სიმშვიდით და უსაზღვრო ნდობით შესცქერიან ისინი დიასახლისის ხელში ჩაბღუჯულ ცულს.

გულგრილი ქარი ჯერ კიდევ წენავდა მათ ბუმბულს და მხოლოდ ერთი კედელს აკრული ქათამი სასონარკვეთით აფრიანებდა დასისხლიანებულ ფრთას, თითქოს, აჯანყების დრომა ყოფილიყო, ხოლო თეთრი თვალები მიუწვდომელი ზეცისკენ აღუპყრო.

მდუმარებასა და თოვალში მთელი ზამთრით გაირინდა ჩვენი პატარა დაბა. თოვლი კი ისეთი ნამდვილი იყო, ისეთი, რომ ვერაფერს შეადარებდი — ვერც ფეხილს, ვერც დალაქის ფუნჯზე ნათხაპნილ საპარს ქაფს, ვერც შაქრის პუდრს — იდო ჩვეულებრივი, ნამდვილი თოვლი და მორჩა. თბილი, უზარმაზარი ბათინკის ქვეშ მას საამო ჭრატუნე გაუდიოდა, მისგან მშვენიერი გუნდები კეთდებოდა და ისე ქათქათებდა, ნამდვილ თოვლს რომ შეეფერება, ოღონდ ეს ყველაფერი ჩვენ სულ არ გვახარებდა. ჩვენს წინააღმდეგ პირი შეეკრა ყველას: ჩვენს ორნახევარსართულიან სახლს, კიდევ რამდენიმე კერძო სახლს შორიანხლოს, სხვენს და უქვე კარგა

ვიდას მარკუნას (დაიბადა 1962 წელს) ლიტველი მკითხველი, უპირველესად, როგორც ბრწყინვალე მთარგმნელს, ისე იცნობდა — მას ინგლისური, გერმანული, პოლონური და რუსული ენებიდან 36 წიგნი აქვს ნათარგმნი. მაგრამ მარკუნასის მიერ 2001 წელს გამოქვეყნებულმა მოთხრობების პირველივე კრებულმა მას აღიარება მოუტანა. მეორე და კიდევ უფრო წარმატებული კრებულები — „რეპორტაჟი კვერცხიდან“ — მარკუნასმა მხოლოდ 2012 წელს გამოსცა.

საკუთარ ნაწარმოებებზე მწერალი ამბობს, რომ ისინი მთლიანად მის წარმოსახვას და ამ წარმოსახვით თამაშს ეფუძნება და არავითარ შემთხვევაში — ფაქტებს. რეალური ცხოვრებიდან მის მოთხრობებში სხვება მხოლოდ დეტალები, რომელთათვისაც იგი სიამოვნებით იგონებს კონტექსტებს...

გთავაზობთ ვიდას მარკუნასის მოთხრობას — „სიკვდილი“, რომელსაც ლიტვამში ძალზედ პრესტიჟული ანტანას ვაიჩულაიტისის სახელობის პრემია მიენიჭა.



ვიდას მარკუნასი

სიკვდილი

ხნის წინ საცხოვრებლად ათვისებულ რაღაც მიწაზე, ესე იგი, ყველა მეზობელს. ზოგიერთ მათგანს კიდევ თავისი მეზობლები ჰყავდა, იმათ კი, თავის მხრივ, ქუჩის მეორე მხარეს ჰყავდათ მეზობლები. ჩვენ პატარა დაბაში კი საკმარისად იყო ქუჩები... თითქოს ეს არ კმაროდა, ჩვენს მეზობლებს სხვა ქალაქებშიც ჰყავდათ ნათესავები, იმ ნათესავებს კი — მეზობლები და სხვანათესავები, ნაცნობები და თვის-ტომები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა ქალაქებშიც ცხოვრობდნენ და თავადაც ჰყავდათ არა მხოლოდ მეზობლები, არამედ დეიდები, მეგობრები და ბიძაშვილ-მამიდაშვილები უცხოეთში და ამდენ მეზობელ-ნათესავ-მეგობრის და შორეული ნაცნობების ბრბოში, ამდენ უცხო ადამიანში, რომლებიც ერთმანეთს აბანოში თუ შეხვედებოდნენ, ერთი ისეთი კაციც აღმოჩნდა, ვიღაც კოსმონავტთან რომ ჰქონდა მიმოწერა...

თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, მე და მამამ დიდად არასოდეს გვადარდებდა კოსმოსი...

როდესაც ღამეული ჭირხლი გადამდნარი ქონის სქელ ფენად მოედებოდა ფანჯრებს, მე მიწაზე საჭერიტინოს ვაკეთებდი, რომ ქვის ფარდულისთვის მეცქირა. მაინტერესებდა, ის იქ თავს როგორ გრძობდა. მთელი ეზო ზეციური სახნის ღინღლს დაეფარა. თოვლი პირველ სართულამდე აღწევდა. კაცი იფიქრებდა, სახლი ზამთრის ღრმა ძილს მისცემიაო. დღე-ღამე ისე გავიდოდა, არაფერი გატოვებოდა, იშვიათად თუ გაიგონებდი სრუნუნის ნამძინარე წრიბინს, კარის ანჯამის ჭრიალს ანდა რომელიმე საკვამურიდან ამოვარდნილ მშრალ დახველებას. მე და მამას კი გარს გვერტყა მხოლოდ ჩვენი კუთვნილი სიჩუმე. ზამთრის მახრობე-ლა მსხლის ნაჭერივით პირდაპირ გულზე გვადგა ეს სიჩუმე.

მზად ვიყავით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაგვეცვა თავი, მაგრამ მეზობლის სურდოიანი ბაფშები ქვის ფარდულის ღია კარიდან მხოლოდ ხის ყუთს თუ დასცხებდნენ გუნდებს. ვიცოდი, ღამლამობით ის ხვერლთან იჯდა და სევდით შეპყრობილი უცქერდა თოვლით დაფენილ ეზოს, ცის შავ ხავერდზე მიყინულ ვერცხლისფრად მოკამკამე ვარსკვლავებს, ჩვენსა და

ჩვენი მეზობლების ფანჯრებს. ნეტავ, თუ იცოდა, რა იყო სუნი ან ფერები? თუ გრძობდა სიცივეს? ფიქრობდა თუ არა, რა საჭირო იყო წელიწადის ოთხი დრო? უნყოდა კი — რა იყო სიყვარული? იცოდა კი ძილის, სიზმრის, სისხლის გემო?

გაზაფხულისპირს, როცა წყაროები აჩუხჩუხდნენ, ვისმენდი, როგორ დნებოდა თოვლის ნარჩენი, დედამინის გამლვარ გულში როგორ ინავლებდა ძილი და ყველა წყენა, როგორ ფეთქავდა და არემარეს როგორ ახმაურებდა დაბრუნებული სიცოცხლე. ნაკადულები წყაროებისკენ მიისწრაფვოდნენ. სხვა ეზოების და ქალაქების გავლით წყაროები მდინარისკენ იქაროდნენ, მდინარეებს კი, კიდევ უფრო შორს, ზღვებისკენ ეჭირათ გეზი. იმ ზღვებისკენ, მე რომ არასოდეს მენახა... აი, სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ, ყუთი გავგვხსნა და სულ მცირე ხნით, მუხლის გასაშლელად ის გარეთ გამოგვეშვა.

მამამ ცუდით ფრთხილად ააგლიჯა ყუთს სახურავი. ხის გულურების ჩრდილი გვიფარავდა მის სამყოფელს, რომელშიც ჩრდილის გარეშეც წყვედადი მეფობდა და ისე ჩანდა, თითქოს, ყუთში იმაზე დიდი სივრცე იყო, ვიდრე, სინამდვილეში შეიძლებოდა, ყოფილიყო. ინერციით უკან დახივით, ასე უკან დახევივით გადავიარეთ ტალახიანი ეზო და ბინაში ავედით. საკუთარი ფანჯრიდან ყუთს ჩვენი უძილობით დატანჯული კეთილი მეზობელი ქალი ადევნებდა თვალს.

სახლში ჩემი თავი კარგად არ მახსოვს, მგონი, ვთვლივდი, თუ ნიგნს ვკითხულობდი. მამა დივანზე იწვა, ხელში გამლილი გაზეთი ეჭირა, მაგრამ, ჩემი არ იყოს, ისიც, აშკარად სხვა რამეზე ფიქრობდა. ორივე ვცდილობდით, წარმოგვედგინა, როგორ ამომძრავებდა ის მთელი ზამთრის განმავლობაში უმომძრავოდ მყოფ სხეულს, როგორ იცელქებდა, როგორ იკოტრიალებდა სველ ბალახში, როგორ აძვრებოდა ხეზე ან ბელურებს როგორ გამოედევნებოდა... ეს გრძელი და კამკამა დღე იყო. საღამოს მამამ ისევე დააჭედა სახურავი.

გაზაფხული სულ უფრო ბობოქრობდა. ღამეები უკან იხვედნენ, ინავლებოდნენ; გამშრალ მიწაზე და კედლებზე ჩრდილების გახუნებულ ლექს ტოვებდნენ. მთელი წლით მიყრილი საგნების, ღობეების და

კედლების ირგვლივ ბალახი ინვერებოდა და ჭექა-ქუხილი, თუმცა კი გვარიანად აზრიანებდა ჩვენი ფანჯრების მინებს, სულ არ გგვრიდა შიშს.

ერთხელაც, გამთენიისას, როცა ღამეული ბინდი ჯერ აკრეფილი არ იყო, ყველა ცხვრის შემზარავმა ბლავილმა გაგვალვიდა. მთელი სახლი აფორიაქდა. სულ მალე ჩვენს კარზე მთელი ძალით დააბრახუნეს. კარში არავინ იყო. ვილაცამ ბოლმა გადმონთხია და გაგვერიდა. დერეფანსა და სამზარეულოებში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და, თითქოს რაღაცას ელოდნენ, მეზობლები. ვერავინ ბედავდა ეზოში ჩასვლას. იქ, ალყაფთან ცხვარი ბორგავდა და შეშლილივით ბლაოდა. თენდებოდა. პირუტყვს არაფერი სჭირდა. მხოლოდ მალა, სხვენში, მისი პატრონი ბერიკაცი გარდაცვლილიყო.

დრო ვიხელთე და სხვებისგან მალულად პირველი ავძვერი სხვენში.

მაგიდაზე, ვითომც არაფერი მომხდარაო, მალვინარა ნიკნიკებდა. თუჯის ღუმელიდან სითბო მოდიოდა. მიცვალებული საწოლში, თბილი სახნის ქვეშ ოდნავ თავმობრუნებული იწვა და შუშაქვეყული თვალის კუთხით მიცქერდა. ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. მისი სიცოცხლეში სასიამოვნო მოყვითალო სახე სულ არ დაემანჭა ტკივილს. ჩანდა, რომ სიკვდილის წინ მოხუცის სხეული კონველსიებს არ დაეტანჯა და არც სული შეეხუთა ცოდვებს. ოთახში შემოჭრილმა ორპირმა ქარმა ჩაგუბებული მძიმე ჰაერი გაფანტა და მოხუცის თეთრი თმის ხეველებს გაეთამაშა. ფანჯარაში დიდი თეთრი ღრუბლის ნაგლეჯი მოჩანდა. ქვემოდან ისევ ისმოდა დაქანცული ცხვრის ყრუ კვენესა. ის არ უნყოდა, რომ მის პატრონს არც ტკივილი და არც შიში უგრძენია. პატრონი უბრალოდ დაწვა და წავიდა.

მეზობლებმა თავისი გაიტანეს და მე და მამას კატეგორიულად აგვიკრძალეს დაკრძალვაში რაიმე მონაწილეობის მიღება — ახლოსაც არ გავვიკარეს. შეწყდა ყოველგვარი ურთიერთობა ჩვენსა და სახლის დანარჩენ მაცხოვრებლებს შორის. იმაზეც მადლიერები ვიყავით, რომ არ გავგაძვევს და სხვაგან არ მოგვიხდა გადაბარება.

ყუთს მივაკითხეთ. მის სახურავში ხვერილი იყო ამოჩხილი, შიგნით კი აშკარად ეტყობოდა რაღაც ძლიერი ქიმიკატის კვალი. მისი ბინადარი იქ აღარ იყო. გაქრა. გვიან შემოდგომამდე ვეძებე, სანამ პირველი ძლიერი ყინვები დაიწყებოდა. ერთხელ ვილაცამ თქვა: ჩვენი მდინარის სიბქვაზე მოკალათებული თევზებს იჭერსო. მაშინვე იქით გავვარდი, მაგრამ, დინებას აღმა აყოლოდა რამდენიმე თევზის თეთრი მუცლის გარდა, ვერაფერი მოვკარი თვალი. მას მერე მის შესახებ არაფერი გავიგია. აბა, გაზეთში განცხადებას ხომ ვერ გამოვაქვეყნებდით: დაიკარგა...

ნელ-ნელა მეზობლებიც დაწყნარდნენ და ჩვენს შორის ჩვეული თბილი და მეგობრული ურთიერთობა აღდგა. ეზოში გამუდმებით ისმის შინაური ფრინველის ხმა, ხოლო ქვის ფარდულში ძველებურად შეშის და კომბოსტოს წნილის სუნი დგას. დღეები ჩვეულებრივად მიდიან, ქრებიან და კედლებზე, სახურავებსა და ღრუბლებზე სინათლის მკვეთრ ზოლებს ტოვებენ.

ეგვეც არაფერი. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ვერასოდეს შევიტყობ, თუ როგორ გამოიყურება ის.

თარგმნა არჩილ ქიქოძემ



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com